76

დიდი ცოდვა



ბათუმი - 2016

მთარგმნელი:

გიორგი კამლაძე

მთავარი რედაქტორი:

ზურაბ მიქელაძე

თეოლოგიური რედაქტორი:

უშანგი ბოლქვაძე

კორექტორი:

ბადრი შანთაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

უშანგი ბოლქვაძე

ISBN:
978-9941-0-8430-0

თარგმნილია:
«Büyük Günahlar» Imam Zahabi

წიგნი გამოცემულია საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაციის მიერ, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს რეკომენდაციით.

ერქამის გამომცემლობა: 2016 - წელი

76

დიდი ცოდვა

بِسْمِ اللّٰهِ الرَّحْمَنِ الرَّحِيمِ

შესავალი

ბისმილლაჰირ რაჰმანირ რაჰიმ!

ოჰ, გამჩენო, გაგიადვილე ჩვენი საქმეები და მოგვეცი შენი წყალობა!

შეიხი, იმამი, ჰაფიზ შამსუდდინ მუჰამმედ ბინ აჰმადი ბინ ოსმან აზ-ზაჰაბი ამბობს:

„ქება-დიდება ალლაჰს, რომელმაც რწმენით გაგვაკეთილშობილა! ქება დიდება ალლაჰს ზეგარდმოვლენილი წიგნისთვის, მისი შუამავლებისთვის, ანგელოზებისთვის და მის მიერ მოცემული ბედისწერისთვის! დაე, დალოცოს ალლაჰმა მუჰამმედი, თავისიანები და თანამიმდევრები! დაე, დაგვაჯილდოვოს ალლაჰმა მარადიულ ცხოვრებაში მათთან მეზობლობით!

იმედი გვაქვს, რომ წიგნი, რომელიც დაწვრილებით აღწერს დიდ ცოდვებს, სარგებელს მოიტანს. დაე, ალლაჰმა, თავისი წყალობით, ცოდვებისგან დაგვიფაროს.

ყურანში უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„თუ გაე-***

მიჯნებით მძიმე ცოდვებს, რაც გეკრძალებათ, მოგიტევებთ ჩვენ ცოდვებსა თქვენსას და ღირსეულ შესასვლელში შეგიყვანთ თქვენ!“ *(სურა ნისა, აიათი 31)*

ამ აიათში უზენაესი სამოთხეს ჰპირდება მათ, რომლებიც დიდ ცოდვებს თავს არიდებენ.

სამყაროთა გამჩენი ასევე ბრძანებს: ***„და რომელნიც გაურბიან მძიმე ცოდვებს და სიბილწეს, როცა განრისხდებიან, პატიობენ.“*** *(სურა შურა, აიათი 37)*

„და რომელნიც გაურბიან მძიმე ცოდვებს და სიბილწეს, გარდა მცირედი ცოდვებისა, უეჭველად, ღმერთი შენი ყოვლად მიმტევებელია.“ *(სურა ნეჯმი, აიათი 32)*

უკეთილშობილესი შუამავალი ﷺ ბრძანებს: *„თუ დღეში ხუთი დროის ლოცვას და პარაკევის ლოცვას შორის მონაკვეთში დიდი ცოდვები ჩადენილი არ გექნებათ, მაშინ შესრულებული ეს ლოცვები პატარა ცოდვების პატიების მიზეზი გახდება.“ (ბუჰარი, ქითაბ-უთ-თაჰარათი, 233)*

დიდი ცოდვების არსის გამოკვლევის ტვირთი ჩვენ დაგვაწვა. დიდი ცოდვების ჩამონათვალის საკითხი სადაოა. ზოგიერთი სწავლული ამბობს, რომ ისინი შვიდია და ამის დამამტკიცებლად ალლაჰის შუამავლის ﷺ შემდეგი სიტყვები მოჰყავთ: *„ერიდეთ შვიდ დამღუპველ ცოდვას: მრავალღმერთიანობას, ჯადოქრობას, მკვლელობას, ობლის ქონების ხელყოფას, პროცენტით ცხოვრებას, ბრძოლის ველიდან გაქცევას და წესიერ ქალზე ცილისწამებას“.*

ასევე გადმოგვცემენ იბნ აბბასის სიტყვებს დიდი ცოდვების რაოდენობის შესახებ: „მათი რაოდენობა

უფრო სამოცდაათია, ვიდრე შვიდი“. უდავოდ, მან ჭეშმარიტება თქვა.

ზემოთმოყვანილ ჰადისში ცოდვების ჩამოთვლა დახურული არ არის. დიდ ცოდვებს ასევე შესაძლოა, მიეკუთვნებოდეს ის ქმედებები, რომელთათვისაც მიწიერ ცხოვრებაში გათვალისწინებულია შარიათით დასჯა, ასე მაგალითად, ადამიანის მოკვლა, მრუშობა და ქურდობა, ასევე ისეთი ცოდვები, რომელთა ჩადენისთვისაც იმ ქვეყანად დასჯა, უზენაესის რისხვა და წმინდა შუამავლის წყევლაა შეპირებული.

ამავე დროს უნდა განვმარტოთ, რომ ცოდვები თავისი არსით, შესაძლოა, იყოს მეტად ან ნაკლებად მძიმე. ალლაჰის შუამავლის მიერ ჩამოთვლილ ცოდვებში მრავალღმერთიანობაც (შირქი) არის. როგორც ვიცით, შირქს (სხვა ცოდვებისგან განსხვავებით) ადამიანი მარადიულ ცეცხლში ყოფნამდე მიყავს და პატიების შესაძლებლობას გამორიცხავს.

ყურანში ნაბრძანებია: ***„უეჭველად, არ მიუტევებს ალლაჰი მისთვის თანაზიარის გაჩენას, და მიუტევებს სხვა ყველაფერს, ინებებს ვისაც“.*** *(სურა ნისა, აიათი 116)*

„უეჭველად, ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუხდის, იმას აუკრძალა ალლაჰმა სამოთხე და მისი თავშესაფარი ცეცხლია“. *(სურა მაიდე, აიათი 72)*

ზემოთ მოყვანილი არგუმენტები უნდა განვაზოგადოთ. ერთხელ, ალლაჰის შუამავალმა ﷺ თანამიმდევრებს ჰკითხა:

„გაცნობოთ, რომელი ცოდვები ითვლება უფრო მძიმედ?“ და ეს სიტყვები სამჯერ გაიმეორა. მათ

უპასუხეს: „რა თქმა უნდა, ალლაჰის შუამავალო!“ მაშინ მან თქვა: „ესენი არის მრავალღმერთიანობა და მშობლების არდაჯერება“. როდესაც ამ სიტყვებს ამბობდა, ის გვერდზე იწვა, შემდეგ ადგილიდან წამოდგა და დაამატა: „ერიდეთ სიცრუეს!“ ის ამ სიტყვებს მანამდე იმეორებდა, სანამ იძულებულნი არ გავხდით, გვეთქვა: „ოჰ, ნეტავ გაჩუმდებოდეს!“ (ბუჰარი, მუსლიმი)

ალლაჰის შუამავალმა მძიმე ცოდვებს შორის ტყუილის თქმაც ახსენა, თუმცა მის მიერ ჩამოთვლილ შვიდ დიდ ცოდვას შორის ეს ცოდვა ისევე, როგორც მშობლების არდაჯერება, არ არის.

ავტორისგან

პირველი დიდი ცოდვა

ალლაჰისთვის მოზიარის დაწესება

შირქი— ეს არის ალლაჰისთვის მოზიარის დაწესება და უზენაესთან ერთად მათთდამი თაყვანისცემაც, ანუ მათი გაღმერთება. გაღმერთებული საგანი ან არსება შეიძლება იყოს ადამიანი, მზე, მთვარე, შუამავალი, შეიხი, ჯინი, ვარსკვლავი, მმართველი და ა.შ. უზენაესი ალლაჰი შირქის შესახებ ამბობს:

„უეჭველად, ალლაჰი არ მიუტევებს, რომ თანაზიარნი გაუჩინონ მას, და მიუტევებს ამის გარდა ყველაფერს, ინებებს ვისაც. და ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუჩენს, მაშინ უდიდეს ცოდვას სჩადის!“ *(სურა ნისა, აიათი 48)*

„...უეჭველად, ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუხდის, იმას აუკრძალა ალლაჰმა სამოთხე და მისი თავშესაფარი ცეცხლია...“. *(სურა მაიდე, აიათი 72)*

იმ ადამიანის ხვედრი, რომელიც სხვა ღვთაებებს ეთაყვანება და წარმართად მოკვდება, ჯოჯოხეთში ყოფნაა. ხოლო ის ადამიანი, რომელიც ამ ქვეყანას გულში რწმენით დატოვებს, ყველა თავისი ცოდვისა და მათ გამო სასჯელის მიუხედავად, საბოლოო ადგილი სამოთხეა.

გადმოგვცემენ ალლაჰის შუამავლის შემდეგ სიტყვებს:

„გინდათ შეიტყოთ ცოდვათა შორის უდიდესის შესახებ? ეს შირქია!“. *(ბუჰარი, ქითაბ-უშ-შეჰადათი 2654, მუსლიმი ქითაბ-ულ-იმანი 87)*

სხვა ჰადისში შუამავალი მუჰამმედი ამბობს: *„ერიდეთ შვიდ დამღუპველი ცოდვის ჩადენას“ და მათ შორის შირქიც დაასახელა.* *(ბუჰარი, ქითაბ- ულ-ვესაია 2766)*

მომდევნო ჰადისი აბუ ბაქრმა გადმოსცა: „ერთხელ, ალლაჰის შუამავალმა ﷺ თანამიმდევრებს უთხრა: *„გაცნობოთ, რომელი ცოდვები ითვლება ყველაზე მძიმედ?“ და ეს სიტყვები სამჯერ გაიმეორა. მათ უპასუხეს: „რა თქმა უნდა, ალლაჰის შუამავალო!“ მაშინ მან თქვა: „ესენი არის მრავალღმერთიანობა და მშობლების არდაჯერება“, შემდეგ ის ადგილიდან წამოდგა და რამდენჯერმე გაიმეორა: „უფრთხილდით სიცრუეს!“ აბუ ბაქრმა კი დაამატა: „ჩვენ იძულებულნი ვიყავით, გვეთქვა: „ოჰ, ნეტავ გაჩუმდებოდეს!“* *(ბუჰარი, მუსლიმი)*

* * *

2-ე დიდი ცოდვა

ადამიანის მკვლელობა

ყურანში ნაბრძანებია: ***„და ვინც მორწმუნეს მოკლავს განზრახ, ჯოჯოხეთია მისი საზღაური, სადაც დარჩება მუდმივად. განურისხდა მას ალლაჰი და დაწყევლა იგი და გაუმზადა მას სასჯელი საშინელი!“*** *(სურა ნისა, აიათი 93)*

„ხოლო რომელნიც, როცა შემოწირულობას გასცემენ, არც ფლანგავენ და არც ძუნწობენ, საშუალოს ირჩევენ მათ შორის, ისინი არ მოუწოდებენ სხვა ღვთაებებს, გარდა ალლაჰისა, და არ კლავენ სულს, რომელიც აკრძალა ალლაჰმა, გარდა სამართლის აღდგენისა. და არ მრუშობენ. ვინც იქმს ამას, სასჯელს გადაეყრება!

მისი სასჯელი აღდგომის დღეს გაორმაგდება და დარჩება მარად დამცირებული! ეს არ ეხება მათ, ვინც მოინანია, ირწმუნა და სამართლიანად მოიქცევა. მათ ავ საქმეებს ალლაჰი კეთილით შეცვლის, რამეთუ ალლაჰი შემწყნარებელია, მიმტევებელია!“ *(სურა ფურყანი, აიათი 67-70)*

„და როცა ცოცხლად დამარხულ გოგოს ჰკითხავენ: თუ რომელი ცოდვისთვის მოიკლა“. *(სურა თექვირი, 8-9)*

უკეთილშობილესმა შუამავალმა თქვა: *„უფრთხილდით, შვიდ დამღუპველი ცოდვის ჩადენას“*

და მათ შორის მოიხსენია „იმ ადამიანის მკვლელობა, რომლის მოკვლაც, თუ არა კანონის მიხედვით, ალლაჰმა აკრძალა“.

ერთხელ, ჩვენ შუამავალს ﷺ ჰკითხეს: *„რომელი წარმოადგენს უდიდეს ცოდვას?“ მან უპასუხა: „მოზიარის დაწესება ალლაჰისთვის, რომელმაც გაგაჩინა“. თანამიმდევრებმა ჰკითხეს: „შემდეგ?“ წმინდა შუამავალმა უპასუხა: „საკუთარი შვილის მკვლელობა იმის შიშის გამო, რომ ის შენთან ერთად ჭამას დაიწყებს და შენ მშიერი დარჩები“. თანამიმდევრებმა ჰკითხეს: „შემდეგ?“ უკეთილშობილესმა მუჰამმედმა ﷺ უპასუხა: „მეზობლის ცოლთან მრუშობა“. (ბუჰარი, ქითაბ-უთ-თეფსირი 4477, მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 86: თირმიზი, ქითაბ-უთ-თეფსირი 31ბ)*

ერთხელ, ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„თუ ორი მუსლიმი ერთმანეთის წინააღმდეგ იარაღს აღმართავს და ერთი მეორეს მოკლავს, ორივე ჯოჯოხეთში აღმოჩნდება“ თანამიმდევრებმა ჰკითხეს: „ალლაჰის შუამავალო, მკვლელთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელია, მაგრამ რაშია მოკლულის დანაშაული?“, რაზეც მან უპასუხა: „მასაც მისი მოკვლის განზრახვა ჰქონდა“.*

კაცობრიობის სიამაყემ ﷺ ასევე თქვა: *„სანამ ადამიანი იმ მკვლელობის თანამონაწილე არ გახდება, რომელიც უზენაესმა აკრძალა, ის სიმშვიდეში იცხოვრებს“.*

(ჰადისი ასეთი ვერსიით ვერ მოიძებნა. მაგრამ „მუსნედში“ (4/418) უთბე ბინ ჯუჰარი ამბობს: „მე გავიგონე, როგორ თქვა ალლაჰის შუამავალმა: „არ

არის ისეთი ალლაჰის მონა-მსახური, რომელსაც ალლაჰი სამოთხის კარის გავლით არ გაუშვებს, იმათ გარდა, რომლებმაც მას მოზიარე დაუწესეს და გახდნენ იმ მკვლელობის თანამონაწილე, რომელიც, თუ არა სამართლის მიხედვით, ალლაჰმა აკრძალა". ხოლო იბნ მაჯე „სუნენში" უთბა ბინ ამირას შემდეგ სიტყვებს გადმოგვცემს: „ვინც უზენაესთან ისე მივა, რომ თავის სიცოცხლეში მას მოზიარეს არ დაუწესებს და ნებადაურთველი მკვლელობის თანამონაწილე არ გახდება, ასეთ ადამიანს უზენაესი გამჩენი სამოთხეში შეუშვებს".(იბნ მაჯე 26/18)

ერთხელ, ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„არ გახდეთ ჩემი სიკვდილის შემდეგ ურწმუნოები, რომლებიც ერთმანეთს კისრებს უჩეხავენ". (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ილმი, 121, ქითაბ-ულ-იმანი, 65)*

ბაშირ ბინ მუჰაჯირი გადმოგვცემს, იბნ ბურეიდას მონაყოლს, რომელმაც, თავის მხრივ, ეს ამბავი, საკუთარი მამისგან მოისმინა: *„უეჭველად, უზენაესისთვის მორწმუნის მკვლელობა უფრო მძიმეა, ვიდრე დედამიწის განადგურება". (ნესაი, ქითაბ-უთ-თაჰრიმიდი-დემ, 7/83, 84)*

კაცობრიობის სიამაყემ ﷺ თქვა; *„მორწმუნე სიმშვიდეში იცხოვრებს, სანამ აკრძალულ სისხლს არ დაღვრის". (ბუჰარი, ქითაბ დიიათი 6863)*

„პირველი რისგანაც ადამიანთა შორის განკითხვის დღეს გარჩევა დაიწყება—ეს სისხლისღვრაა". (ბუჰარი, ქითაბ-დიიათი 6864: მუსლიმი, ყესემ, 1678; ან-ნისანი, ქითაბ-უთ-თიჰრიმიდ-დემი, 7/83)

აბდულლაჰ ბინ ამრი გადმოგვცემს, რომ, ერთხელ ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„ცოდვათაგან*

ყველაზე მძიმეა: მრავალღმერთიანობა, ადამიანის მკვლელობა და მშობლების არდაჯერება“. *(ბუჰარი, ქითაბ-ულ-იმანი ვენ-ნუზური 6675)*

უთბე ბინ მალიქის გადმოცემის მიხედვით, ჩვენი შუამავალი ﷺ ბრძანებდა: *„უეჭველად, უზენაესი მორწმუნის მკვლელს ზურგს შეაქცევს“.* *(აჰმად ბინ ჰანბელი, 15/289, ეს ჰადისი შეესაბამება მუსლიმის მოთხოვნებს)*

კაცობრიობის სიამაყე ﷺ აღნიშნავდა: *„ვინც უნდა მოკლან უსამართლოდ, პირველ რიგში ადამის შვილს (მხედველობაშია კაენი) დაეკისრება პასუხისმგებლობის ნაწილი დაღვრილ სისხლზე, ვინაიდან მკვლელობებს სათავე მან დაუდო“.* *(ბუჰარი, ჰადის-ულ-ენბია, 3335; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ყესემ, 1677)*

იბნ ომარის გადმოცემის მიხედვით, ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„კანონით დაცული ადამიანის მკვლელი, ვერ იგრძნობს სამოთხის სურნელს.“* *(ბუჰარი ქითაბ-ულ-ჯიზიეთი ვედ მუვადდა 3166; იბნ მაჯე ქითაბ—უდ დიიათი 2686; ან-ნისანი ქითაბ-ულ-ყესემ, 8/24)*

ბუჰარი და ნესაი აბუ ჰურაირას სიტყვებზე დაყრდნობით, კაცობრიობის სიამაყის ﷺ ნათქვამს გადმოგვცემენ: *„ყურადღება! ალლაჰისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფი ადამიანის სიცოცხლის ხელმყოფი, ალლაჰს დაესხა თავს და სამოთხის სურნელის შეგრძნებასაც ვერ შეძლებს. თუმცა ეს სურნელი მისგან ორმოცი წლით დაშორებულ მანძილზე იგრძნობა“.* *(თირმიზი, დიანეთი, 1403)*

აბუ ჰურაირას გადმოცემით, წმინდა შუამავალი ﷺ ბრძანებდა: *„ის, ვინც მუსლიმის მკვლელობაში თუნდაც ნახევარი სიტყვით დაეხმარება, უზენაე-*

სის წინაშე შუბლზე შემდეგი წარწერით წარსდგება: „მოკლებულია ალლაჰის წყალობას“. (იბნ მაჯე, ქითაბ-უდ-დიიათი, 2660)

მუავიეს სიტყვებით, წმინდა მუჰამმედი ﷺ ბრძანებდა: *„შესაძლოა, ნებისმიერი ცოდვის მიტევების იმედი გვქონდეს, მაგრამ იმედი ნუ ექნება მას, ვინც ურწმუნო მოკვდა ან მუსლიმი მოკლა“. (აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ფითნი ვედ მელაჰიმი 42/71)*

* * *

3-ე დიდი ცოდვა

ჯადოქრობა

ეჭვგარეშეა, რომ ჯადოქარი არის ურწმუნო ადამიანი. ყურანში ნაბრძანებია: ***„მაგრამ ეშმაკები იყვნენ ურჯულონი. ასწავლიდნენ ხალხს ჯადოსნობას“.*** *(სურა ბაყარა, აიათი 102)*

ასწავლის რა ადამიანებს ჯადოქრობას, ეშმაკი ერთადერთ მიზანს ისახავს—მიაღწიოს მათ განკვეთას ალლაჰისგან.

უზენაესი ალლაჰი ანგელოზებზე, ჰარუთზე და მარუთზე, ბრძანებს:

„და გაჰყვნენ ისინი იმას, რასაც ეშმაკები ჩააგონებდნენ სულეიმანის სამეფოს წინააღმდეგ. სულეიმანი ურწმუნო არ ყოფილა, მაგრამ ეშმაკები იყვნენ ურჯულონი. ასწავლიდნენ ხალხს ჯადოსნობას და იმას, რაც ზემოევლინა ორივე ანგელოზს ბაბილონში, ჰარუთსა და მარუთს. მაგრამ ეს ორი ისე არ ასწავლიდა ხალხს, თუ არ ეტყოდნენ: ჩვენ ვართ ცდუნება (გამოცდა თქვენთვის), (ჯადოსნობის შესწავლით) არ იქმნათ ურწმუნონი! და სწავლობდნენ (ადამიანები) მათგან როგორ გაეყარათ ერთმანეთისგან ცოლქმარი, მაგრამ ამით (ჯადოსნობით) ზიანს ვერავის

მიაყენებდნენ, თუ არა ალლაჰის ნება. და სწავლობდნენ იმას, რაც ავნებდა და არ გამოადგებოდა მათ; იცოდნენ ისიც, რომ ვინც ამას ასწავლის, წილი არ ექნება სასუფეველში. და რა ცუდია ის, რაზეც თავიანთი სული გაყიდეს, ნეტავ სცოდნოდათ!“ *(სურა ბაყარა, აიათი 102)*

ჩვენ დროშიც შეიძლება იმ ადამიანების ნახვა, რომლებიც ამ გზით მიდიან. ისინი ფიქრობენ, რომ ის, რითაც დაკავებულნი არიან, მხოლოდ ჰარამია, მაგრამ ისინი ვერ იგებენ, რომ ეს ნამდვილი ურწმუნოებაა. ისინი ცდილობენ შეისწავლონ და გამოიყენონ ალქიმია (ალქიმია-ჯადოქრობის ნაირსახეობა. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ შექმნან რაღაც ახალი, რომელიც მანამადე არ არსებობდა) ვიღაც ჯადოქრობს, რომ ქორწინება გათიშოს ან იმისათვის, რომ ქმარმა ცოლი შეიყვაროს. ვიღაც ერთს აიძულებს, რომ მეორე შეიყვაროს. ყველაფერი ეს შირქი და უმეცრებაა.

ჯადოქრობისთვის დასჯის უკიდურესი ზომა— სიკვდილია, რადგან ჯადოქრობა ეს უზენაესის უარყოფაა.

როდესაც შვიდ მომაკვდინებელ ცოდვას ჩამოთვლიდა, ალლაჰის შუამავალი ﷺ ჯადოქრობასაც ახსენებდა.

ადამიანს თავისი გამჩენის, უზენაესი ალლაჰის უნდა ეშინოდეს და არასწორი გზით, რომელსაც მისი როგორც ამქვეყნიური, ასევე მარადიული სიცოცხლის დაღუპვაც შეუძლია, არ უნდა იაროს.

ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებდა: *„ჯადოქრის სასჯელი-ხმლებით დარტყმაა“.* *(თირმიზინი, ქითაბ-ულ-ჰუდუდი 1460)*

ბუჯეილ ბინ აბადი მოგვითხრობს: *„ხალიფა ომარის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე მისგან წერილი მივიღეთ, რომელშიც ნათქვამი იყო: „მოკალით ჯადოქარი მამაკაცები და ქალები“.* *(აჰმედ ბინ ჰანბელი 1/190)*

აბუ მუსა უკეთილშობილესი მუჰამმედის ﷺ შემდეგ სიტყვებს გადმოგვცემს: *„სამოთხეში ადამიანთა სამი ჯგუფი ვერ შევა: ლოთი, ნათესაური კავშირების გამწყვეტი და ის, ვისაც ჯადოქრის სიტყვების ჯერა“.* *(აჰმად ბინ ჰანბელი)*

იბნ მესუდის გადმოცემის მიხედვით ალლაჰის შუამავალი ﷺ ამბობდა: *„უეჭველად, დაწყევლა და ჯადოქრობა-ეს შირქია“.* *(აბუ დაუდი, იბნ მაჯე)*

ჰადისის არაბულ ვარიანტში გვხვდება სიტყვა *„ატ-ტივალია“.* ეს ჯადოქრობის ერთ-ერთი სახეა და ამას ასრულებენ იმისათვის, რომ ქმარმა ცოლი შეიყვაროს.

საჭიროა, აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ თანამიმდევართა დიდი ნაწილი უმეცარია. ბევრმა, რამდენიმეს გამოკლებით, არც ასეთი ცოდვების შესახებ იცის რამე, და არც იმის შესახებ, თუ რა მკაცრი სასჯელი ელოდებათ მათი ჩადენისთვის. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საჭიროა ამ თემის გახსნა.

ამ პრობლემის გადაჭრაში უნდა დაეხმარონ სწავლულები, რომლებიც ეყრდნობიან რა უზენაესი ცოდნის მონაცემებს, ხელს შეუწყობენ იმათ გათ-

ვითცნობიერებას, რომლებმაც არ იციან. ამასთან უმეცარნი არ უნდა ააჩქარონ და დაამუნათონ. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი ქვეყნები, რომლებმაც არ იციან არაბული და ცხოვრობენ ისეთ სახელმწიფოში, სადაც ურწმუნოება მართავს. (მთარგმნელის შენიშვნა: მოცემული ნაწარმოების ავტორი, იმამი ზაჰავი დაიბადა ძველი შამის ტერიტორიაზე, ქალაქ დიარბაქირში და ცხოვრობდა ჰიჯრით 663-748 წ.წ.). შესაძლოა, ისინი ტყვედ ჩავარდნენ და მუსლიმურ ქვეყნებში გადაიყვანონ, სადაც ისინი ურწმუნოებაზე უარს იტყვიან. მაგალითად მათ იყიდის რომელიმე მდიდარი, რომელიც სათანადო ცოდნას არ ფლობს. ეს მონა, მთელი ძალებით, შეეცდება რწმენის დამადასტურებელი სიტყვები წარმოთქვას და თუ რამდენიმე დღის შემდეგ გაიგებს, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვები, ეს უკვე კარგი და მისთვის საკმარისი იქნება. შემდეგ, შესაძლოა, ის ნამაზის შესრულებას დაიწყებს, მაგრამ ზოგჯერ გამოტოვებს. თუ მისი მფლობელი ღვთისმოშიში იქნება, მას სურა „ფათიჰას“ ასწავლის. ხოლო თუ ის რწმენისგან შორს იქნება, ვინ ასწავლის ამ საცოდავს ისლამის საფუძვლებს, მისცემს ცოდნას ცოდვების, მათგან შორს დგომის აუცილებლობის შესახებ, უზენაესის წინაშე ადამიანის ვალდებულებებისა და მისადმი მსახურების შესახებ?

ადამიანი, რომელიც ცოდვების დამღუპველობის შესახებ ცოდნას მიიღებს და მათ ჩადენას გაურბის, შესასრულებლად აუცილებლის (ფარძების) შესახებ ცოდნას იღებს და ასრულებს, ბედნიერია. მაგრამ ასეთები იშვიათად გხვდებიან. ის ადამიანი, რომე-

ლიც ამ ცოდნას ისე მიიღებს, როგორც ალლაჰის წყალობას, მადლიერი უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, შეიძლება, ითქვას: „ეს ადამიანი თვითონაა დამნაშავე, რადგან არ ცდილობდა გაეგო ის, რაც უნდა გაეკეთებინა“. მაგრამ ეს სავსებით სწორი არ არის: „ჩვეულებრივი ადამიანისთვის ძნელი მისახვედრია, რომ ის ცოდნას საჭიროებს, რომ საჭიროა იმის პოვნა, ვინც მას დაეხმარება. სანამ უზენაესი ადამიანს ცოდნის ნათელით არ გაასხივოსნებს, მასზე პასუხისმგებლობა არ არის დაკისრებული. მაგრამ ამ ცოდნის მიღების შემდეგ ადამიანი პასუხისმგებელია მისი გამოყენებისათვის. უზენაესი ალლაჰი მწყალობელი და შემწყნარებელია. ის ბრძანებს:

„ჩვენ (არასდროს) არ ვსჯიდით (ადამიანებს), სანამ მათთან წინასწარ შუამავალს არ გავაგზავნიდით“. (სურა ისრა, აიათი 15)

ალლაჰის შუამავლის ﷺ ზოგიერთი თანამიმდევარი ეთიოპიაში გადასახლდა. მათი არყოფნის დროს იმის ცოდნა, რა უნდა გაკეთდეს და რა არა, მხოლოდ უკეთილშობილეს მუჰამმედს ﷺ მოსდიოდა, ხოლო გადასახლებულები ამის შესახებ, მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ იგებდნენ. სანამ ეს ცოდნა ამ ადამიანებამდე არ მიაღწევდა, ისინი მიტევებულებად ითვლებოდნენ, ანუ მათ ჰქონდათ საპატიო მიზეზი. ეს ესადაგება ყველა შემთხვევას: სანამ ადამიანმა არ იცის რელიგიური წესები, ის შეწყალებულად ითვლება. უზენაესმა ალლაჰმა უკეთ იცის. (მთარგმნელის შენიშვნა: ისეთი არამუსლიმანური ქვეყნების მოსახლეობა, როგორებიც არის იაპონია და ავსტრალია

შეწყალებულად შეიძლება ჩაითვალოს, სანამ ისინი ისლამის წესებს არ გაიგებენ. მაგრამ ისეთი ქვეყნების მოსახლეობისთვის, რომლის მკვიდრთა უმრავლესობა მუსლიმია, და სადაც დღეში ხუთჯერ ისმის მოწოდება ნამაზისკენ (ეზანი), არცოდნა საპატიო მიზეზს არ წარმოადგენს.)

* * *

4-ე დიდი ცოდვა

ნამაზის უგულებელჰყოფა

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„მათ შემდეგ მოვიდნენ შემდგომნი შთამომავალნი, რომლებმაც მიატოვეს ლოცვა და მიეცნენ ვნებებს. სულ მალე გადაეყრებიან ღეიას,*** (ერთ-ერთი ჯოჯოხეთის სახელი) ***გარდა ვინც მოინანია, ირწმუნა და ჰქმნა სიკეთე. მაშინ ისინი შევლენ სამოთხეში და მათ არანაირი უსამართლობა არ შეეხებათ!“*** *(სურა მერიემი, აიათი 59-60)*

„ვაი, იმ მლოცველებს, ისინი, რომელნიც უგულისყუროდ ასრულებენ ლოცვას!“ *(სურა მაღუნი, აიათი 4-5)*

„(შემდეგ ისინი მათ მიუბრუნდებიან და შეეკითხებიან): ***„რამ მოგახვედრათ თქვენ ჯოჯოხეთში? მიუგეს: არ ვიყავით მლოცველთა შორის“.*** *(სურა მუდდესირი, აიათი 42-43)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„სხვაობა ჩვენსა და მათ შორის ნამაზის შესრულებაშია, ის, ვინც უარს იტყვის ნამაზზე, ურწმუნოებაში ჩავარდება“ (თირმიზი, ქითაბ-ულ-იმანი 2623; ან ნესაი, ქითაბ-ულ-სელათი 1/231, 232;*

აჰმად ბინ ჰანბელი, 5/346; იბნ მაჯე, ქითაბუ-იყამეთ-ესსალათ ვეს-სუნნეთი, 12097; ჰაქიმი, მუსთედრექი, ქითაბ-ულ-იმანი)

კაცობრიობის სიამაყემ ﷺ თქვა: *„სამხრის (იქინდის) ლოცვის უმიზეზოდ გამომტოვებელი ადამიანის საქმეები გაუქმებულია“. (ბუჰარი, ქითაბუ მევაქითი-ის-სალათი, 553; ან-ნესაი, ქითაბ-ულ-სალათი, 1/236)*

„ნამაზი არის ფარდა, რომელიც ადამიანს ურწმუნოებისგან იცავს“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 82; აბუ დაუდი, ქითაბუ სუნენი, 46/78)

„ალლაჰი შეწყვეტს იმ ადამიანის დახმარებას, რომელმაც შეგნებულად შეწყვიტა ნამაზის შესრულება“. (აჰმად ბინ ჰანბელი ,6/421)

კეთილშობილი ომარი ამბობდა: „ისლამთან არაფერი აქვს საერთო მას, ვინც ნამაზს უყურადღებოდ ტოვებს“.

იბნ ჰაზიმი ამბობს: „მრავალღმერთიანობის შემდეგ არ არსებობს იმაზე მძიმე ცოდვა, ვიდრე ნამაზზე უარის თქმა და მუსლიმის მკვლელობა. ამაზე უფლების გარეშე“.

აბუ ჰურაირა გადმოგვცემს ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვებს, რომელმაც აღნიშნა: *„პირველი, რასაც მუსლიმს განკითხვის დღეს მოჰკითხავენ—ეს მისი ნამაზია. თუ ის ნამაზს ისე ასრულებდა, როგორც საჭიროა, ხსნა ელოდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის იმედს დაკარგავს და იმედგაცრუება ელოდება“. (თირმიზი, ქითაბ-უს-სელათი, 411)*

შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ ბრძანა: *„მე მებრძანა მებრძოლა ადამიანებთან მანამ, სანამ ისინი არ დაემოწმებიან, რომ არ არსებობს სხვა ღვთაება, გარდა*

ალლაჰისა, რომ მუჰამმედია მისი შუამავალი და სანამ ისინი ნამაზს არ შეასრულებენ და ზექათს არ გადაიხდიან. გააკეთებენ რა ამას, ისლამის სამართლის მიხედვით, თავიანთ სიცოცხლეს და ქონებას ჩემგან დაიცავენ. დანარჩენი კი ალლაჰისგანაა“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-იმანი, 25, მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 21)

აბუ საიდი მოგვითხრობს: „ერთხელ, ალლაჰის შუამავალთან ﷺ ერთი კაცი მივიდა და უთხრა: „ალლაჰის შუამავალო! გეშინოდეს გამჩენის!“, რაზეც წმინდა მუჰამმედმა ﷺ უპასუხა: *„ოჰ, ადამიანო! შენს ჭკუაზე ხარ? შემეფერება თუ არა, რომ მისი ყველაზე მეტად მეშინოდეს?“* ამ დროს იქვე მყოფმა ჰალიდ ბინ ველიდმა ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალო, ნება მომეცი თავი მოვკვეთო?“ კაცობრიობის სიამაყემ ﷺ უპასუხა: *„ამის აუცილებლობა არ არის, შესაძლოა, ის ნამაზს ასრულებს“.* (ბუჰარი, ქითაბ-ულ მაგაზი 4351: მუსლიმი ქითაბ-უზ-ზექათი 1064)

აბდულაჰ ბინ ომარი გადმოგვცემს ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვებს, რომელმაც ბრძანა: *„ადამიანს, რომელიც ნამაზს არ უფრთხილდება, არც ნათელი დარჩება, არც მტკიცებულება და არც ხსნა. განკითხვის დღეს ასეთი ადამიანი ყარუნის, ფარაონების, ჰამანისა და უბეი ბინ ჰალიფის გვერდით იქნება“.* (აჰმად ბინ ჰანბელი, 2/169; დერიმი, 2/30)

ამ ადამიანების გვერდით ყოფნა აჩვენებს, რამდენად ახლოსაა ურწმუნოებასთან ადამიანი, რომელიც ნამაზზე უარს ამბობს. მაგრამ ალლაჰის შუამავალმა ﷺ მუაზს უთხრა: *„ალლაჰი არ დატოვებს ჯოჯოხეთში იმ ადამიანს, რომელმაც გულწრფელად დაამოწმა, რომ არ არსებობს სხვა ღვთაება ალლაჰის*

გარდა და რომ მუჰამმედი მისი შუამავალია“. (ბუჰარი ქითაბ-ულ-ილმი, 128, მუსლიმი ქითაბ-ულ-იმანი, 32)

ნამაზის თავის დროზე არშესრულება ან მასზე უარის თქმა, ქურდობა და მრუშობა მძიმე ცოდვებია. თუ ადამიანი წინასწარგანზრახვით რამდენჯერმე უარს იტყვის ნამაზზე, უდიდესი ცოდვილი გახდება, ხოლო თუ ეს გაგრძელდება და ადამიანის ერთ-ერთი ჩვეულებათაგანი გახდება, ის დაზარებულთა, უმეცართა და ცოდვილთა შორის იქნება.

* * *

5-ე დიდი ცოდვა

ზექათის გადახდისგან თავის არიდება

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„უთხარი: „მე მხოლოდ ადამიანი ვარ თქვენსავით. ზეშთამეგონა, რომ ღმერთი თქვენი ერთადერთი ღმერთია. მაშ, წარსდექით მის წინაშე ჭეშმარიტი რწმენით და მიტევება შესთხოვეთ მას. და ვაი, წარმართთა მდგომარეობას! რომელნიც არ გასცემენ ზექათს, დიახ, ისინი საიქიოს უარმყოფელნიც არიან“.*** *(სურა ფუსსილეთი, აიათი 6-7)*

„ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! უეჭველად, უმეტესი მწიგნობარი და ბერი უსამართლოდ მიირთმევენ ხალხის ქონებასა და აცდუნებენ მათ ალლაჰის გზიდან. და რომელნიც აგროვებენ ოქროსა და ვერცხლს, ხოლო არ გაიღებენ მას ალლაჰის გზაზე, მაშინ ამცნე მათ მწარე სასჯელი! იმ დღეს გაშანთებული იქნება ჯოჯოხეთის ცეცხლზე მათი ზედაპირი, გაახურებენ და დაიდაღება შუბლნი მათი, და ფერდნი მათნი, და ზურგნი მათნი: აი, ესაა, რაც მოაგროვეთ თქვენი სულისთვის. მაშ, იგემეთ ის, რასაც აგროვებდით!“ *(სურა თევბე, აიათი 34-35)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„თუ ვინმემ, აქლემების ან ძროხების ან ცხვრების მფლობელმა მათთან მიმართებაში აუცილებელი არ შეასრულა, განკითხვის დღეს ის მოთავსებული იქნება სწორ და ფართო ადგილზე. იქ ისინი მას გათელავენ ჩლიქებით, ურ-*

ქენენ რქებით და უკბენენ კბილებით და აქლემების ჯოგი მასზე სიარულს დაიწყებს. იმის შემდეგ, როდესაც მასზე უკანასკნელი აქლემი გაივლის, დაბრუნდება პირველი და ეს მანამდე განმეორდება, სანამ განკითხვის დღე არ დამთავრდება, რომლის ხანგრძლივობა 50 ათასი წლის ტოლია. შემდეგ მას გზას უჩვენებენ—ან ჯოჯოხეთში ან სამოთხეში". (ეს სიტყვები იმ გრძელი ჰადისიდანაა, რომელიც მუსლიმმა გადმოსცა. ქითაბ ულ ზექათი 987)

„თუ ვინმე, სიმდიდრის მფლობელი, მასთან დაკავშირებით აუცილებელს არ შეასრულებს, განკითხვის დღეს ეს საგანძური მის წინაშე დიდი გველის სახით წარსდგება". (მუსლიმი, ქითაბ-ულ-ზაქათი, 987)

აბუ ბაქრი, იბრძოდა რა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ზექათის გადახდას თავს არიდებდნენ, ამბობდა:

„ვფიცავ ალლაჰს, თუ ისინი ჩემთვის თუნდაც თიკნის მოცემას არ ისურვებენ ისე, როგორც ალლაჰის შუამავალს ﷺ აძლევდნენ, ამის გამო მათთან ვიბრძოლებ". *(ბუჰარი,ქითაბუზ ზექათი 1400, მუსლიმი, ქითაბულ-იმანი, 20)*

უზენაესი ალლაჰის ბრძანებს: ***„და ნუ ეგონებათ იმათ, რომელნიც ძუნწნი არიან ალლაჰის ნაბოძები მოწყალების გაღებისას, რომ ეს სიკეთეა (კარგია) მათთვის. არამც და არამც! ეს უარესია (ცუდია) მათთვის. რაც ენანებოდათ, ის შემოეხვევათ (წაეჭირებათ) ყელზე აღდგომის დღეს; და ალლაჰისაა მემკვიდრეობა ცათა და ქვეყნის, და ალლაჰი უწყის, რასაც აკეთებთ!"*** *(სურა ალი იმრანი, აიათი 180)*

აი, რას ამბობს წმინდა შუამავალი ﷺ მათზე, რომლებიც ზექათის გადახდას თავს არიდებენ: *„მე ავიღებ ზექათსაც და ქონების ნახევარსაც მათგან, რომლებიც ზექათის გადახდას თავს არიდებენ. ეს უზენაესის მიერ მონიჭებული ერთ-ერთი უფლებაა“. (აბუ დაუდი, ქითაბ-უზ-ზაქათი 1575; ან-ნისანი ზექათ-უზ-ზაქათი, 5115)*

აბუ ჰურაირა გადმოგვცემს, თუ როგორ გაიგონა ალლაჰის შუამავლისგან ﷺ: *„ჯოჯოხეთში პირველები შემდეგი სამი კატეგორიის ადამიანები შევლენ:*

-საკუთარი ხალხის მჩაგვრელი მმართველი:

-ქონების მფლობელი, რომელმაც მასთან დაკავშირებით აუცილებელი არ შეასრულა;

-ქედმაღალი ღარიბი“ (თერღიბი და თარჰიბ 1/540)

აბულ ჰაფსა აბდულლაჰისგან გადმოგვცემს:

„თქვენ ნამაზის შესრულება და ზექათის გადახდა დაგევალდებულათ“. (თერღიბი და თარჰიბ, 1/540)

* * *

6-ე დიდი ცოდვა

მშობლების არდაჯერება

„და დაგიდგინა შენმა ღმერთმა, რომ არ ეთაყვანოთ არავის, გარდა მისი და კეთილად მოექცეთ მშობლებს. თუ მშობელთაგან ერთ-ერთი ან ორივე მიაღწევს სიბერემდე, არ უთხრა: „უჰ!“ და არ გაუწყრე მათ და ლამაზი სიტყვა უთხარი! და ისინი მფარველობის ქვეშ აიყვანე ლმობიერებითა და თავმდაბლობით და თქვი: ღმერთო ჩემო! პატარაობისას როგორც გამზარდეს, ისე შეიწყალე ესენი!“ *(სურა ისრა, აიათი 23/24)*

„და ვუანდერძეთ ადამიანს სიკეთე მშობლებლის მიმართ. და თუ ისინი შენს წინააღმდეგ იბრძოლებენ, რომ თანაზიარად გამიხადო ის, რისი ცოდნაც არ გაგაჩნია, არ დაემორჩილო მათ. ჩემთანაა თქვენი დაბრუნება და მაშინ გამცნობთ იმას, რასაც სჩადიოდით!“ *(სურა ანქებუთი, აიათი 8)*

როდესაც შვიდი დამღუპველი ცოდვა ჩამოთვალა, ალლაჰის შუამავალმა ﷺ მათ შორის მშობლების არდაჯერებაც მოიხსენია.

მან თქვა: *„უზენაესის მოწყალება ძევს მამის მოწყალებაზე, ხოლო მისი რისხვა—მამის რისხვაზე“. (თირმიზი, ქითაბ-ულ-ბირი ვეს-სილა, 1900; ჰაქიმი მუსდეთრექი, ქითაბ-ულ-ბირ ვეს-სალა, 4/154)*

„მამის მიმართ შენი კარგი დამოკიდებულება, ყველაზე კარგი კარით სამოთხეში მოხვედრის მიზეზი გახდება. ამიერიდან შენზეა დამოკიდებული: შეგიძლია, შეეცადო მისი უფლებების დაცვას და მოხვიდე ამ კარის გავლით, ანაც დააკნინო ეს უფლებები და დაკარგო გზა ამ კარისკენ“. (აჰმად ბინ ჰანბალი, 5/196; თირმიზი, ქითაბ-ულ-ბირი ვეს-სილა, 1901; იბნ მაჯე, 3662)

„სამოთხე დედების ფეხქვეშაა“ (ჰადისი, ზუსტად ამ ვარიანტით, არ მოიძებნა. მაგრამ მსგავსი ჰადისი არის ნესაის ჰადისების კრებულ „სუნენ ენ-ნესაიში“: ერთხელ, ალლაჰის შუამავალთან ﷺ თანამიმდევარი, სახელად ჯეჰიმი, მივიდა კითხვით, რომ შეეძლო თუ არა მას მონაწილეობა მიეღო სამხედრო ლაშქრობაში: უკეთილშობილესმა მუჰამმედმა ﷺ ჰკითხა: „დედა გყავს?“ პასუხი შემდეგი იყო: „დიახ“. მაშინ ალლაჰის შუამავალმა წარმოთქვა: *„ემსახურე დედას და სამოთხეს მის ფეხქვეშ იპოვი“. (სუნან ან-ნისაი, 6/11)*

ერთხელ, ალლაჰის შუამავალთან ﷺ თანამიმდევარი შემდეგი კითხვით მივიდა: შეუძლია თუ არა მას, მონაწილეობა მიიღოს სამხედრო ლაშქრობაში. წმინდა შუამავალმა ﷺ ჰკითხა:

-შენი მშობლები ცოცხლები არიან?

-დიახ-უპასუხა თანამიმდევარმა.

უკეთილშობილესმა მუჰამმედმა ﷺ უპასუხა: „დაე, შენი ჯიჰადი მათზე ზრუნვა გახდეს“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ჯიჰადი, 3004: მუსლიმი, ქითაბ-ულ-ბირრი, 2549,თირმიზი, 1671)

ერთხელ, ალლაჰის შუამავალს ﷺ ჰკითხეს, ვის მიმართ არის საჭირო კარგი მოქცევა, რაზეც მან უპასუხა: *„დედის, მამის, ძმისა და დის მიმართ, შემდეგ ახლობლობის მხრივ მომდევნო ნათესავის მიმართ“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-ბირი,2548; ან-ნისაი, 5/61; იბნ მაჯე, 3658)*

გადმოგვცემენ, რომ ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„სამოთხეში ვერ შევლენ: მშობლების არდამფასებელი, გაწეული მოწყალების დამმადლებელი, ლოთი და ჯადოქრობის დამჯერებელი“. (ან-ნესაი, ქითაბ-ულ-ეშრიბე, 8/138, აჰმედ ბინ ჰანბელი, 3/314)*

აბდულლაჰ ბინ ომარი მოგვითხრობს: „ერთხელ, ალლაჰის შუამავალთან ﷺ ერთი ადამიანი შემდეგი კითხვით მივიდა: *„ალლაჰის შუამავალო, რომელია დიდი ცოდვები?“*

მან უპასუხა:

-ალლაჰისთვის მოზიარეების დაწესება.

-შემდეგ?

-მშობლების არდაჯერება.

-შემდეგ?

-ტყუილზე დაფიცება-უპასუხა ალლაჰის შუამავალმა ﷺ.

აბდულლაჰ ბინ ომარი წმინდა მუჰამმედის ﷺ შემდეგ სიტყვებს გადმოგვცემს:

„სამოთხეში ვერ შევა ის ადამიანი, რომელიც პატივს არ სცემს მშობლებს და არ ჯერა ბედისწერის“. (აჰმედ ბინ ჰანბელი, 2/44)

ერთმა კაცმა კაცობრიობის სიამაყეს ﷺ ჰკითხა:

„ალლაჰის შუამავალო! რის გაკეთებას მიბრძანებ, თუ დღეში ხუთი დროის ნამაზს შევასრულებ, რამაზნის თვეში ვიმარხულებ, ზექათს გადავიხდი და გამჩენის სახლს (ბეითულლაჰ) მოვინახულებ“. ალლაჰის შუამავალმა უპასუხა: *„ადამიანი, რომელიც იცავს ამ წესებს და პატივს სცემს თავის მშობლებს, შუამავლების, წმინდანებისა და შეჰიდების გვერდით იქნება“. (თერღიბი და თარჰიბი, 3/329)*

უკეთილშობილესმა მუჰამმედმა ﷺ ბრძანა: *„უზენაესი ალლაჰი ნებისმიერ ცოდვას განკითხვის დღემდე გადაგივადებს, გარდა მშობლების უპატივცემულობისა, ვინაიდან გამჩენი იჩქარის დასაჯოს ისინი, რომლებიც მშობლებს არ აფასებენ“. (ჰაქიმი, მუსთედრექი, ქითაბ-ულ-ბირრი ვეს-სელა 4/156)*

აბუ ჰურაირა გადმოგვცემს: *„ვერც ერთი ბავშვი მამის ამაგს ვერ გადაიხდის, მას ამის გაკეთება მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ მამას ტყვეობაში მყოფს იპოვის, გამოისყიდის და გაანთავისუფლებს“. (მუსლიმი, აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ადაბი, 5137; თირმიზი, ქითაბ-ულ-ბირრი ვეს-სილა, 1907)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„დაე, ალლაჰმა დაწყევლოს მშობლების არდამფასებელნი“. (ჰაქიმი, მუსთედრექი, 4/153)*

კაცობრიობის სიამაყემ ﷺ ასევე ბრძანა: *„შენთვის დედის დედა—იგივე დედაა“. (თირმიზი, ქითაბ-ულ-ბირი ვეს-სილა 1905)*

ქააბი ამბობს: *„ვფიცავ ალლაჰს! თუ ადამიანი მშობლების წინააღმდეგ მიდის, უზენაესი ალლაჰი ისწრაფვის გაანადგუროს და დასაჯოს ის. ხოლო ადამიანს, რომელიც კარგად ეპყრობა თავის მშობლებს, გამჩენი სიცოცხლეს გაუგრძელებს და კეთილ საქმეებს გაუზრდის“.*

აბუ ბაქრ ბინ აბუ მარიამი ამბობს:

„თორაში შემდეგი სიტყვები წავიკითხე: „საჭიროა მოიკლას ის, ვინც მამას სცემს“.

ვახბი აღნიშნავს: „თორაში არის წესი: „საჭიროა მოიკლას ის, ვინც დედას სცემს“.

* * *

7-ე დიდი ცოდვა

მევახშეობა

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰისა და თუ ხართ (ჭეშმარიტი) მორწმუნენი, უარი თქვით დარჩენილ პროცენტზე! თუკი (ამას) არ იქმთ, მაშინ იცოდეთ, რომ ალლაჰსა და მის შუამავალს უცხადებთ ომს. ხოლო თუ მოინანიეთ, თქვენია ძირითადი კაპიტალი. არცა დაჩაგრავთ და არცა დაიჩაგრებით“.*** *(სურა ბაყარა, აიათი 278-279)*

„რომელნიც მევახშეობას ეწევიან, (აღდგომის დღეს) ვერ აღსდგებიან (სხვაგვარად), თუ არა ისე, როგორც აღსდგება ეშმაკის შეხებით გაგიჟებული. აი, ეს იმისთვის, რომ თქვეს მათ: ვაჭრობა ხომ იგივე მევახშეობაა! ალლაჰმა კი ნება დართულ ჰყო ვაჭრობა და აკრძალა მევახშეობა. ვისაც დარიგება მოუვიდა თავისი ღმერთისგან და თავი ანება, მისია რაც უწინ იყო: და საქმე მისი ალლაჰს ეკუთვნის; ხოლო ვინც დაუბრუნდეს, ეგენი არიან ბინადარნი ცეცხლისა, სადაც სამუდამოდ დარჩებიან.“ *(სურა ბაყარა, აიათი 275)*

როგორც ვხედავთ, მოყვანილი აიათები, გაფრთხილებაა მათთვის, რომლებიც ყურანის ყველა შეხსენების მიუხედავად, კვლავ აგრძელებენ პროცენტზე ცხოვრებას, და ამის გამო ხანგრძლივი დროით ჯოჯოხეთში მოხვდებიან.

ალლაჰის შუამავალი ﷺ ამბობდა: *„ერიდეთ შვიდი მომაკვდინებელი ცოდვის ჩადენას“.*

თანამიმდევრებმა ჰკითხეს: „ალლაჰის შუამავალო, რომელია ეს ცოდვები?“

მან უპასუხა:

-ალლაჰისთვის მოზიარეების დაწესება.

-ჯადოქრობა.

-იმ ადამიანის მკვლელობა, რომლის მოკვლა თუ არა სამართლის მიხედვით, ალლაჰმა აკრძალა.

-პროცენტის მიღებით ცხოვრება.

-ობლის ქონების ხელყოფა.

-ბრძოლის ველიდან გაქცევა.

-წესიერ ქალზე ცილისწამება. (ბუჰარი, მუსლიმი)

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„ალლაჰმა დაწყევლა, როგორც ის, ვინც ფულს მევახშეებისგან იღებს, ასევე ისიც, ვინც მევახშეობას ეწევა“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-მისაქქათი, 1547.)*

თირმიზის ჰადისების კრებულში არის ამ ჰადისის გაგრძელება: *„როგორც მატყუარა, ასევე ცრუმოწმე“ (თირმიზი, ქითაბ-ულ-ბუიუ, 1267*)

ან-ნესაი შემდეგ ჰადისს გადმოგვცემს: *„მუჰამმედმა ﷺ დაწყევლა ის, ვინც ფულს მევახშეებისგან იღებს, ის, ვინც მევახშეობას ეწევა და ასევე ის, ვინც ყველაფერ ამას იწერს“. (ან-ნესაი, ქითაბ-ულ-ზინა 8147)*

* * *

8-ე დიდი ცოდვა

ობლის ქონების ხელყოფა

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„უეჭველად, რომელნიც ობლების ქონებას ჭამენ უსამართლოდ, მხოლოდ ცეცხლსა ჭამენ თავიანთ მუცლებში და სულ მალე შენთებული იქნებიან აალებულ ცეცხლში (ჯოჯოხეთში)!“*** *(სურა ნისა, აიათი 10)*

„და არ მიეკაროთ ობლების ქონებას, სანამ სრულწლოვანებას მიაღწევენ, გარდა სასიკეთოდ; და შეასრულეთ ზომა და წონა ჭეშმარიტად, ჩვენ არ ვაკისრებთ არც ერთ სულიერს, გარდა რაც ძალუძს. და როცა თქვენს აზრს გამოთქვამთ, იყავით სამართლიანნი, თუნდ ნათესავი იყოს. და შეასრულეთ თქვენ ალლაჰის აღთქმა. აი, ასე დაგიწესათ მან, ეგების გულისხმაჰყოთ თქვენ!“ *(სურა ენღამი, აიათი 152)*

ალლაჰის შუამავლის ﷺ მიერ დასახელებულ, შვიდ მომაკვდინებელ ცოდვას შორის, ობლის ქონების ხელყოფაცაა.

მეურვეებს ნება ეძლევათ ობლის ქონებიდან ის წილი გამოიყენონ, რომელიც დაიმსახურეს, ამის ზევით—ეს აკრძალულია (ჰარამია) და სასიკეთო არ იქნება. ეს (ნებადართული) წილი შეიძლება განსაზღვრული იყოს ისლამის წეს-ჩვეულებებით და იმ ზომით, რომელიც თავისუფალია უწმინდური ზრახვებისგან.

* * *

9-ე დიდი ცოდვა

ალლაჰის შუამავლისთვის ﷺ არარსებული სიტყვების მიწერა (ჰადისების შეთხზვა)

ისლამის ზოგიერთი სწავლული მიიჩნევს, რომ ალლაჰის შუამავლისთვის ﷺ არარსებული სიტყვების მიწერა, წარმოადგენს გამჩენის გმობას და ისლამიდან გამოსვლას.

უეჭველად, ის ადამიანები, რომლებიც უზენაეს ალლაჰსა და მის შუამავალს ﷺ აშკარად მიაწერენ სიტყვებს, აკრძალულს დაშვებულს უწოდებენ, ხოლო დაშვებულს—აკრძალულს, ურწმუნოები არიან. სწავლულთა სიტყვები ეხება სხვა შემთხვევებს, რომლებიც ამისგან განსხვავდება.

ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებდა: *„არარსებული სიტყვების ჩემთვის მოწერა არ ემსგავსება ამის გაკეთებას სხვა ადამიანებთან მიმართებაში. დაე, მან, ვინც ამას აკეთებს, საკუთარი თავი ჯოჯოხეთის ცეცხლისთვის მოამზადოს“.* *(ბუჰარი, ქითაბ-ულ-ჯენაიზი, 1291: მუსლიმი, მუყადიმე, 3)*

„მუსლიმ ადამიანში ხასიათის ყველა შტრიხია დაშვებული, სიცრუისა და ღალატის გარდა“. *(აჰმედ ბინ ჰანბელი, 5/252)*

სხვა ჰადისში ნათქვამია: *„თითქოს, ჩემი სახელით აშკარა ტყუილის გადამცემი, ორი მატყუარადან ერთს წარმოადგენს“.* *(მუსლიმი, მუკადიმე, 4; თირმიზი, ქითაბ-ულ-ილმი, 2664; იბნ მაჯა, 5)*

* * *

10-ე დიდი ცოდვა

მარხვის დაუცველობა რამაზნის თვეში საპატიო მიზეზის გარეშე

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„რამაზნის თვეში,, საპატიო მიზეზის გარეშე, თუნდაც ერთი დღით, მარხვის გამომტოვებელი, ვერ შეძლებს მის ანაზღაურებას, თუნდაც მთელი სიცოცხლე იმარხულოს“.*

„ადამიანს, რომელიც გაურბის დიდი ცოდვების ჩადენას ერთი რამაზნიდან მეორემდე, ერთი პარასკევიდან მეორემდე, რამაზნის ერთი თვიდან მეორემდე მცირე ცოდვები მიეტევება“.

შუამავალმა მუჰამედმა ﷺ თქვა: *„ისლამი დაფუძნებულია ხუთ ბურჯზე:*

1. იმის დამოწმება რომ არ არსებობს სხვა ღვთაება, ალლაჰის გარდა და რომ მუჰამედი მისი შუამავალია.

2. ნამაზის შესრულება.

3. ზექათის გადახდა.

4. რამაზნის თვეში მარხვა.

5. ჰაჯობა.“

იბნ აბასი მოგვითხრობს:

„ისლამის არსი და მისი საფუძველი არის სამი ბურჯი:

1. იმის დამოწმება რომ არ არსებობს სხვა ღვთაება ალლაჰის გარდა.

2. ნამაზის შესრულება.

3. ზექათის გადახთა.

ის ვინც უარს იტყვის, თუნდაც ერთ მათგანზე, ურწმუნოა“.

კაცობრიობის სიამაყემ ﷺ აღნიშნა: *„თუ ადამიანი არ შეწყვეტს სიცრუის თქმას უარს არ იტყვის თავის უმეცრებაზე, მაშინ საკვებზე და წყალზე მისი უარის თქმა ალლაჰს არ ჭირდება“.*

„ვაი, მას ვინც რამაზნის თვემდე იცოცხლა და შეწყალებული არ იქნა“.

ყველა მუსლიმისთვის გასაგებია, რომ რამაზნის თვეში საპატიო მიზეზის გარეშე მარხვაზე უარის თქმა უარესია, ვიდრე მრუშობა, სხვისი ქონების ხელყოფა, ან ლოთობა. ასეთ ქმედებებს შეუძლიათ, მისი რწმენა ეჭვქვეშ დააყენოს და ის წარმართების რიცხვში მიათვალონ .

* * *

11-ე დიდი ცოდვა

ბრძოლის ველიდან გაქცევა

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„და ვინც იმ დღეს ზურგს შეაქცევს მათ, ალლაჰის რისხვა დაუბრუნდებათ, გარდა იმათი, ვინც ხელახლა შესაბრძოლებლად ან რაზმთან შესაერთებლად შეტრიალდება. და მისი სამყოფელი ჯოჯოხეთია. და რა საზიზღარი მისაქციელია!“*** *(სურა ენფალი, აიათი 16)*

როდესაც 7 დამღუპველ ცოდვის შესახებ საუბრობდა, ალლაჰის შუამავალმა ﷺ *მათ შორის ბრძოლის ველიდან გაქცევაც (დეზერტირობა) ახსენა. (ბუჰარი; მუსლიმი)*

* * *

12-ე დიდი ცოდვა

მრუშობა

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„და არ მიუახლოვდეთ მრუშობას! უეჭველად, იგი ზნედაცემულობა და ცუდი გზაა.“*** *(სურა ისრა, აიათი 32)*

„ისინი არ მოუწოდებენ სხვა ღვთაებებს, გარდა ალლაჰისა, და არ კლავენ სულს, რომელიც აკრძალა ალლაჰმა, გარდა სამართლის აღდგენისა. და არ მრუშობენ. ვინც იქმს ამას, სასჯელს გადაეყრება!“. *(სურა ფურყანი, აიათი 68)*

„მეძავი ქალი და მეძავი კაცი - თითოეული გაროზგეთ ასჯერ, არ შეიბრალოთ ისინი ალლაჰის რჯულისათვის, თუ გწამთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი! მათი დასჯის მოწმე იყოს მორწმუნეთა ერთი ჯგუფი.“ *(სურა ნური, აიათი 2)*

„მეძავი კაცი ვერ დაქორწინდება თუ არ მეძავ ქალზე ან წარმართზე, ხოლო მეძავი ქალი ვერ გათხოვდეს, თუ არა მეძავ კაცზე ან წარმართზე. მორწმუნეებს კი ეს აეკრძალათ!“ *(სურა ნური, აიათი 3)*

ერთხელ ალლაჰის შუამავალს ﷺ უდიდეს ცოდვაზე ჰკითხეს. მან უპასუხა: „შენი გამჩენის ალლაჰისთვის მოზიარის დაწესება“. როდესაც მას ჰკითხეს: „შემდეგი?“ მან უპასუხა საკუთარი შვილის მოკვლა

იმის შიშის გამო, რომ მას ვერ გამოკვებავ“, როდესაც კვლავ ჰკითხეს: „შემდეგი?“ „მრუშობა შენი მეზობლის ცოლთან“. (ბუჰარი, მუსლიმი)

სხვა ჰადისში ნათქვამია, რომ ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„როდესაც მორწმუნე მრუშობს, ის ამას აკეთებს, როგორც ურწმუნო. როდესაც მორწმუნე ქურდობს ის ამას აკეთებს როგორც ურწმუნო. როდესაც მორწმუნე ღვინოს სვამს ის ამას აკეთებს როგორც ურწმუნო“.* (ბუჰარი, მუსლიმი)

კიდევ ერთ ჰადისში ნათქვამია, რომ ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„როდესაც მორწმუნე მრუშობს, რწმენა ტოვებს მას და მის ზემოთ ისე იმყოფება, როგორც ჩრდილი“.* (ბუჰარი, ქითაბულ მეზალიმ, 2475)

„უზენაესი ალლაჰი ისევე ართმევს რწმენას მრუშსა და ალკოჰოლის მსმელს, როგორც ადამიანი იხდის მაისურს“. (ებუ დაუდი)

„არის ადამიანების სამი ჯგუფი რომლებსაც განკითხვის დღეს ალლაჰი არ დაელაპარაკება, არ შეხედავს და არ განწმედს:

- მოხუცი მრუში;
- მატყუარა მმართველი;
- ამპარტავანი ღარიბი;“ *(მუსლიმი, ქითაბულ იმანი, 58)*

„არის ადამიანთა ოთხი ჯგუფი რომლებზეც ალლაჰი თავის რისხვას ავლენს:

- *ბევრის მოხვეჭის მსურველი ვაჭარი;*
- *ამპარტავანი ღარიბი;*
- *მრუში მოხუცი;*

- მმართველი რომელსაც თავისი ხელქვეითებისთვის ზარალი მოაქვს“ (ნესაი, ქითაბულ ზექათი, 6/86)

უდიდეს გარყვნილებად ითვლება მრუშობა ჩადენილი დედასთან, დასთან, მამის ცოლთან და სხვა ქალებთან, რომლებიც მამაკაცისთვის აკრძალულია

„მოჰკალით ისინი რომლებმაც აკრძალულ ქალებთან მრუშობა ჩაიდინეს“. (ჰაქიმი, ქითაბულ ჰუდუდ 4/356)

* * *

13-ე დიდი ცოდვა

სახელმწიფოს მართვა მოქალაქეთა მოტყუებით და ტირანიით

„მაგრამ პასუხისმგებლობა იმათზეა, რომელნიც უსამართლოდ ექცევიან ხალხს და უსამართლოდ აღვირახსნილობენ დედამიწაზე. სწორედ მათთვისაა მწარე სასჯელი!“ *(სურა შურა, აიათი 42).*

ალლაჰის შუამავალი ﷺ ამბობს: *„თითოეული თქვენგანი მწყემსია და თითეულს აკისრია პასუხისმგებლობა თავის სამწყსოზე“. (ბუჰარი, ქითაბულ აჰქამ, 7738)*

„ვინც მოატყუა ის ჩვენგან არ არის“.

„განკითხვის დღეს შემვიწროვებელი სიბნელეში იქნება“. *(მუსლიმ, ქითაბულ იმან, 101)*

„როგორიც უნდა იყოს მმართველი, თუ ის თავის ხალხს ატყუებს, ცეცხლში ჩავარდება“. (ბუჰარი, ქითაბულ მეზალიმ, 2447)

„ალლაჰი აკრძალავს სამოთხეს ყველანაირი ხელმძღვანელისთვის რომელიც მან თემის სათავეში დააყენა და ის ხალხს კარგად არ ეპყრობა“. (თაბერანი, მღჯემულ საღირ, სუიუთი. ჯამიულ საღირ, 1/120)

სხვა გადმოცემაში ნათქვამია: *„სამოთხის სურნელსაც კი ვერ შეიგრძნობს“.* *(ბუჰარი, ქითაბულ აჰქამ, 7151),*

„განკითხვის დღეს თუნდაც ათი ადამიანის ხელმძღვანელი სასამართლოს წინაშე წარსდგება ხელებით, რომელიც კისერზე ექნება მიმბმული. ის განთავისუფლდება, თუ სამართლიანად იქცეოდა და დაზარალდება, თუ ზიანს აყენებდა“. *(ბუჰარი, ქითაბულ აჰქამ, 7151)*

„ჩემო ალლაჰო, იყავი მიმტევებელი იმის მიმართ ვისზეც ჩემი უმმეთის რაიმე საქმეა დაკისრებული და ის მას ღირსეულად ასრულებს. შეუქმენი სიძნელეები მას, ვინც ამ სიძნელეებს სხვებს უქმნის“. *(ეთ-თერღიბუ ვეთ თერჰიბ, 3/174)*

„მალე გამოჩნდებიან ცოდვილი და მჩაგვრელი მმართველები, მათი სიცრუის დამმოწმებელნი, ბოროტების ჩადენაში მათი ხელშემწყობნი ჩვენგან არ არიან, და ჩვენ მათი რიცხვიდან არ ვართ და ისინი ვერასდროს შესვამენ წყაროდან“. *(მუსლიმ, ქითაბულ იმარე 1828)*

„თუ ნებისმიერ ხალხში სადაც ბოროტება ხდება, არ მოიძებნება სწავლულები, რომლებიც შეეცდებიან ცოდვილთა გამოსწორებას, ალლაჰი ყველა მათგანს დასჯის“. *(ჰაქიმი, მუსთედრექი, 4/422)*

აბუ უბეიდა ბინ აბდულლაჰ ბინ მასუდი გადმოგვცემს მამის სიტყვებს: „როგორც ალლჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„ვფიცავ მას, ვის განკარგულებაშიც ჩემი სულია, ან თქვენ ადამიანებს ჭეშმარიტებისკენ წაიყვანთ, სიკეთისკენ მოუხმობთ და ბოროტებას გაიცხავთ ან ალლაჰი თქვენ გულებს სხვების საწინააღ-*

მდეგოდ შეაბრუნებს და დაგწყევლით ისე, როგორც მან ისრაელის შვილები ისსა ბინ მარიამის და დაუდის ენით დაწყევლა“. (თირმიზი, ქითაბულ ფითენი, 2169)

მაკალ ბინ იასარი გადმოგვცემს რომ კაცობრიობის სიამაყემ ﷺ თქვა: *„ჩემი მფარველობა არ ეხება ჩემი უმმეთის ორ ჯგუფს:*

- ბოროტების მიმყენებელ და უსამართლო მმართველებს.

- და ადამიანს რომელიც რელიგიაში უკიდურეს შეხედულებებს ემხრობა და მუსლიმთა მმართველების წინააღმდეგ ემოწმება“. (აბუ დაუდ ქითაბულ მელაჰიმ, 4335)

აბუ საიდ ალ-ჰუდრი გადმოგვცემს, თუ როგორ ბრძანა ალლაჰის შუამავალმა ﷺ:

„განკითხვის დღეს ყველაზე მკაცრ სასჯელს დაექვემდებარება სასტიკი და შეუბრალებელი იმამი (მმართველი)“.

სხვა ჰადისში ნათქვამია:

„ადამიანებო! მოუწოდეთ სიკეთისკენ და შეაკავეთ უკეთურება სხვანაირად თქვენ ილოცებთ, მაგრამ თქვენი ვედრებაზე პასუხი არ იქნება, შეევედრებით პატიებას, მაგრამ არ მოგეტევებათ. ალლაჰმა დაწყევლა იუდეველები და ქრისტიანები მათი შუამავლების ენით, როგორც კი იუდეველმა რაბინებმა და ქრისტიანმა მღვდლებმა შენყვიტეს მოწონებულისკენ მოხმობის და არმოწონებულისგან შეკავების შესრულების მოვალეობა. უმალვე ყველა ისინი დასაჯა“. (თირმიზი, ებვაბუ თეფსირულ ყურანი 3050)

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა:*„ის, ვინც რაიმე ისეთი სიახლე შეასრულა, რომელიც ჩვენს რელიგიაში არ არის, განკვეთილი იქნება“. (თაბერანი)*

კაცობრიობის სიამაყემ ﷺ ბრძანა: *„ალლაჰი, ასევე ანგელოზები და ყველა ადამიანი დაწყევლიან მას, რომელიც მოიფიქრებს რელიგიაში რაიმე ახალს და ამას დაიცავს. ალლაჰი არ მიიღებს არც მის დანახარჯს და არც მის სამართლიანობას“. (მუსლიმი, ქითაბულ სულჰ. 2697)*

„არ იქნება შებრალება იმის მიმართ, ვინც შებრალებას თავად არ იჩენს“. (მუსლიმი, ქითაბულ ჰაჯ, 1365/1366)

„უზენაესი ალლაჰი არ შეიბრალებს მას, ვინც თავად არ იწყალებს“. (ბუჰარი, ქითაბულ ედებ, 5947)

„არ არსებობს ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც აიღებს რა საკუთარ თავზე მუსლიმანთა საქმეების ნაწილს, შეეცდება მათ შესრულებას და მორწმუნეთათვის დამცველ ანგელოზად ყოფნას, შემდეგში მათთან ერთად სამოთხეში არ შევა“. (ბუჰარი, ქითაბულ აჰქამ 7150)

„ვისაც ალლაჰი მუსლიმთა რომელიმე საქმის სათავეში დააყენებს და ის მორწმუნეთა მოთხოვნილებებს და საჭიროებებს წინააღმდეგობებს შეუქმნის, განკითხვის დღეს ალლაჰი ასეთ ადამიანსა და მის მოთხოვნა საჭიროებებს შორის წინაღობას შექმნის“. (აბუ დაუდ, ქითაბულ ჰარაჯ, ველ იმარე, 2948)

„სამართლიანი იმამი (ხელმღვანელი) განკითხვის დღეს ალლაჰის ჩრდილში იქნება“. (ბუჰარი, 1423)

„სამართლიანად მოქმედნი ბრწყინვალე შუქქვეშ იმყოფებიან. ისინი სამართლიანნი არიან თავიანთ გადაწყვეტილებებში, ოჯახებში და მათთან მიმართებაში, რომელთაც მმფარველობენ.“ (მუსლიმ, ქითაბულ იმარე 1827)

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა:

„ხელმძღვანელთაგან უარესია ის, რომელიც თქვენ გძულთ და რომელსაც თქვენ ძულხართ, რომელსაც თქვენ წყევლით და რომელიც თქვენ გწყევლით“.

მაშინ მას კითხეს: „ალლაჰის შუამავალო, საჭიროა თუ არა, რომ მას ვებრძოლოთ?“ მან უპასუხა: „სანამ თქვენთან ერთად ნამაზს ასრულებს - არა„ (მუსლიმ, ქითაბულ იმარე 1855. ბუჰარი, ქითაბულ თეფსირ, 4686)

ალლაჰის შუამავალმა აღნიშნა: „უეჭველად უზენაესი ალლაჰი დესპოტს გადავადებას აძლევს, მაგრამ თუ დაიჭირა აღარ გაუშვებს“ და შემდეგი აიათი წაიკითხა:

„აი, ასეთია შენი ღმერთისგან შეპყრობა, როცა იგი იპყრობს სოფლებს და ისინი უსამართლონი არიან. უეჭველად, მისგან შეპყრობა მწარეა, მრისხანეა!“ *(სურა ჰუდი, აიათი 102)*

როდესაც მუაზ ბინ ჯებელს იემენში აგზავნიდა, ალლაჰის შუამავალმა უთხრა:

„არ აიღო ზექათის სახით ადამიანებისგან ყველაზე ფასეული, უფრთხილდი დაჩაგრულთა ვედრებას. ვინაიდან მათ და ალლაჰს შორის რაიმე წინაღობა არ არის“. (ბუჰარი, ქითაბულ მეღაზი, 4347)

„უეჭველად მწყემსთაგან უმოწყალო აქლემების მომვლელია“. (მუსლიმ, ქითაბულ იმარე, 18/30)

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა რომ უზენაესი ალლაჰი ადამიანთა სამ ჯგუფს არ დაელაპარაკება და მათ შორის ცრუ მმართველიც დაასახელა.

უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: ***„სწორედ ის უკანასკნელი სამყოფელი დავუდგინეთ მათ, რომელთაც არ სურთ გამედიდურება დედამიწაზე და უკეთურობის გავრცელება. კეთილი აღსასრული მოელით მხოლოდ ღთისმოშიშებს!“*** *(სურა ყასასი, აიათი 83)*

კაცობრიობის სიამაყემ ﷺ თქვა:

„უეჭველად, თქვენი ხელისუფლებისკენ სწრაფვას დაიწყებთ, მაგრამ განკითხვის დღეს ამაზე ინანებთ“. (ბუჰარი, ქითაბულ აჰქამ, 8148)

მან აღნიშნა:

„ვფიცავ ალლაჰს, ჩვენ მართველად არ დავაყენებთ იმას, ვისაც ეს უნდა და ითხოვს“. (ბუჰარი, ქითაბულ აჰქამ, 7149)

„ოჰ ქააბ, დაე, ალლაჰმა დაგიფაროს საძულველი მმართველებისგან, რომლებიც ჩემ შემდეგ მოვლენ არ დაიცავენ ჩემს სუნეთს და გზას, რომელიც მოვიტანე“.

უკეთილშობილესმა შუამავალმა ბრძანა: *„უეჭველად, ალლაჰი მიიღებს დაჩაგრულის, სტუმრის და შვილისათვის მამის ვედრებას“. (იბნი მაჯე, ქითაბუ დუა 3862)*

* * *

14-ე დიდი ცოდვა

ალკოჰოლის გამოყენება

„ისინი გეკითხებიან შენ ალკოჰოლური სასმელისა და ყუმარის შესახებ. მიუგე: ორივე დიდი ცოდვაა და სარგებელიც ხალხისთვის, მაგრამ ცოდვა უფრო ჭარბია, ვიდრე სარგებელი. და გეკითხებიან, რა გასცენ. უპასუხე: საჭიროზე ზედმეტი. ასე განგიმარტავთ ალლაჰი თავის აიათებს, ეგებ დაფიქრდეთ“. (სურა ბაყარა, აიათი 219)

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ალკოჰოლური სასმელი, აზარტული თამაშები, კერპები და ისრებით მკითხაობა ეშმაკისეული სისაძაგლენია. განერიდეთ ამას, ეგების ნეტარნი იქმნეთ თქვენ! უეჭველად, ეშმაკს სურს მტრობისა და სიძულვილის ჩამოგდება თქვენს შორის ალკოჰოლური სასმელითა და აზარტული თამაშებით. ამით უნდა მოგაცდინოს თქვენ ალლაჰის ხსენებასა და ლოცვას. უკვე თავი ანებეთ არა?!“ (სურა მაიდე, აიათი 90/91)

იბნ აბბასი მოგვითხრობს: „როდესაც ზეგარდმოვლინდა ალკოჰოლის მოხმარების ამკრძალავი აიათი, ზოგიერთმა თანამიმდევარმა სხვებს უთხრა: „ამიერიდან ალკოჰოლის მოხმარება ჰარამია და მისი მოხმარება წარმართობას უტოლდება“.

აბდულლაჰ ბინ ომარი მიიჩნევდა, რომ ალკოჰოლის გამოყენება ყველაზე მძიმე ცოდვაა. სპირტიანი

სასმელები უდავოდ, ყველაფერ ცუდის პირველწყაროა. ამასთან ალლაჰმა ლოთი დაწყევლა.

აბდულლაჰ ბინ ამრი გადმოგვცემს:

„თუ ვინმე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი, თუნდაც ერთ ნამაზს გამოტოვებს, ეს მსგავსია იმის, თითქოს მისთვის მთელი სამყარო იქ არსებულით წაერთვათ. ხოლო გამომტოვებელს, თუ ის მთვრალი იყო ოთხი ნამაზის განმავლობაში, ალლაჰი თუ ისურვებს მას დაალევინებს „თინეთულ-ჰაბალი“ მაშინ თანამიმდევრებმა ჰკითხეს: „თინეთულ-ჰაბალი?“ მან უპასუხა: „ჯოჯოხეთის მკვიდრთა სისხლი და ჩირქი!“ (იმამი აჰმედ ბინ ჰანბელი, მუსნედი, 2/178, 189)

ჯაბირი მოგვითხრობს:

„ალლაჰი ლოთს „თინეთულ-ჰაბალი“-ს დაალევინებს. მაშინ თანამიმდევრებმა ჰკითხეს: „რა არის თინეთულ-ჰაბალი?“, ალლაჰის შუამავალმა უპასუხა: „ჯოჯოხეთის მკვიდრთა ოფლი“. (ქითაბ-ულ-აშრიბა, 2002)

„ვინც ამ ქვეყნად ღვინოს სვამდა, ის სხვა სამყაროში მას ვერ დალევს.“ (ბუჰარი, ქითაბ-ულ-აშრიბა, 5775, 2003)

„ვინც მუდმივად სვამდა სპირტიან სასმელებს და ამ მდგომარეობაში მოკვდა, ალლაჰის წინაშე ისე წარსდგება, როგორც წარმართი“. (აჰმედ ბინ ჰანბელი, მუსნედი, 1/272)

„რა კატეგორიასაც უნდა ეკუთვნოდეს ეს ჰადისი, ის არის მტკიცებულება იმისა, რომ მათრობელა საშუალება, როგორც მცირე ასევე დიდი დოზით ჰარამია“. (ა. დაუდოღლუ, საჰიჰი მუსლიმ თერჯემე ვე შერჰი, 9/924)

15-ე დიდი ცოდვა

ამპარტავნობა, ქედმაღლობა, მედიდურობა

უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: ***„მაშინ ზეშთავაგონეთ მას, რომ აეგო ხომალდი ჩვენს თვალწინ, ჩვენივე ზეშთაგონებით. მაშინ, როცა მოვიდა ჩვენი ბრძანება და აგიზგიზდა თონე, „დაუყოვნებლივ აიყვანე მასში ყველა სახეობიდან წყვილები სათითაოდ და ოჯახი შენი, იმათი გამოკლებით, ვისზეც განვლო სიტყვამ . და არ მთხოვო იმათზე, რომელთაც უსამართლოდ მოიქცნენ, უეჭველად, დასახრჩობი არიან ეგენი!“*** *(სურა მუყმინი, აიათი 27)*

„უსათუოდ, ალლაჰი უწყის, რას მალავენ და რას აცხადებენ ეგენი. უეჭველად, მას არ უყვარს მედიდურნი!“ *(სურა ნაჰლი, აიათი 23)*

„ნუთუ ფიქრობენ ისინი, რომ ჩვენ ქონებით და ვაჟებით შევეწევით ხოლმე, რომ მათთვის სიკეთეების მომადლებას ვეშურებით? არა! ისინი ვერ გრძნობენ!“ *(სურა მუმინი, აიათი 55-56)*

ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: *„მიდიოდა ერთი ადამიანი, რომელიც აღფრთოვანებული იყო საკუთარი თავით, ტრაბახობდა თავისი ტანსაცმლით, ამისათვის ალლაჰმა დედამიწას მისი ჩაყლაპვა უბრძანა და ის მასში ჩაძირვას განკითხვის დღემდე გააგრძელებს“.* *(ბუჰარი, ქითაბულ ლიბას, 5790)*

„ტირანსა და ამპარტავანს განკითხვის დღეს პატარა ჭიანჭველებად გააცოცხლებენ და მათ ადამიანები გადათელვენ“. (თირმიზი, ქითაბულ სიფფეთინ ყიამეჰ. 2494)

ზოგიერთი ჩვენი წინაპარი ამბობდა, რომ ქედმაღლობა არის ალლაჰის წინაშე ჩადენილი პირველი „ამბოხი“.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„და აკი, ვუთხარით ანგელოზებს: „სეჯდე აღასრულეთ ადამისთვის!“ უმალვე სეჯდე აღასრულეს, გარდა იბლისისა, რომელმაც უარი თქვა, გადიდგულდა და იქმნა ურწმუნოთაგან.“*** *(სურა ბაყარა, აიათი 34)*

რწმენისგან სარგებელი არ ექნება მას, ვინც ეშმაკის მსგავსად გაამაყდება.

ალლაჰის შუამავალი ﷺ ამბობდა:

„ამპარტავნობა არის ჭეშმარიტების მიუღებლობა და ადამიანებთან ურთიერთობისადმი ზიზღი“. (მუსლიმ, ქითაბულ იმანი, 91)

უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: ***„არ გამოხატო სახეზე ადამიანებისადმი ზიზღი და არ იარო მედიდურად დედამიწაზე. უეჭველად, ალლაჰს მედიდურები და მკვეხარები არ უყვარს“.*** *(სურა ლუყმანი, აიათი 18)*

ალლაჰის შუამავალი ამბობდა: „უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: *„სიდიადე ჩემი ტანსაცმელია. უძლეველობა-ჩემი საფარველი. ცეცხლში ჩავაგდებ მას, ვინც ამაში გამეჯიბრება“. (აბუ დაუდ, ქითაბულ ლიბას, 4090)*

სხვა ჰადისში ნათქვამია: „ერთხელ სამოთხემ და ჯოჯოხეთმა ერთმანეთში საუბარი დაიწყეს. სამოთხე

ამბობს: „გამჩენო, რატომ შემოდიან ჩემში მხოლოდ სუსტები და უღონონი?“ ჯოჯოხეთი ამბობს: „მე კი გავხდი ადგილი ამპარტავანებისა და უსამართლოთათვის“.(ბუჰარი, ქითაბულ თაფსირ, 4850)

უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: ***„სწორედ ის უკანასკნელი სამყოფელი დავუდგინეთ მათ, რომელთაც არ სურთ გამედიდურება დედამიწაზე და უკეთურობის გავრცელება. კეთილი აღსასრული მოელით მხოლოდ ღთისმოშიშებს!“*** *(სურა ყასასი, აიათი 83)*

შელმან ბინ აყვა მოგვითხრობს: „ერთხელ, ალლაჰის შუამავლის ﷺ გვერდით მყოფი ადამიანი მარცხენა ხელით ჭამდა. კაცობრიობის სიამაყემ ﷺ უთხრა:

„ჭამე მარჯვენა ხელით!“

ამ კაცმა უპასუხა: „არ გამომდის“

წმინდა შუამავალმა ﷺ უთხრა:

„როგორ არ გამოდის? ის ასეთი მხოლოდ ქედმაღლობამ გახადა“. და ამ ადამიანმა მეტად ხელის აწევა ვეღარ შეძლო. *(მუსლიმ, ქითაბულ ეშრიბა, 2021)*

წმინდა შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„არ გინდათ შეიტყოთ ჯოჯოხეთის მკვიდრთა შესახებ? ისინი შეუბრალებელი მტრები, მომხვეჭელები და ქედმაღლები არიან“. (ბუჰარი, 49/18)*

იბნ ომარი გადმოგვცემს ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვებს, რომელმაც თქვა: *„ყოველი ადამიანი, რომელიც ამაყად დადის და საკუთარი თავით აღფრთოვანებულია, მას ალლაჰი განრისხებული შეხვდება“. (ჰაქიმი, მუსთედრექი 1/60)*

აბუ ჰურეირა გადმოგვცემს:

„პირველი ჯოჯოხეთში შემდეგი სამი ჯგუფი შევა: მმართველი, რომელიც თავის ხალხს ზიანს აყენებდა; ქონების მფლობელი, რომელიც მასთან მიმართებაში აუცილებელს არ ასრულებს, ქედმაღალი ღარიბი“. *(იბნი ჰუზეიმე, იბნი ჰიბბანი)*

მიმაჩნია, რომ მედიდურობის უმაღლესი ხარისხი არის, საკუთარი ცოდნით სიამაყე, საკუთარი, რაიმე უპირატესობის გამო სხვებთან ამპარტავნული დამოკიდებულება. ასეთ ადამიანს ცოდნა არავითარ სარგებელს მოუტანს. მარადიული სიცოცხლისთვის მიღებული ცოდნა ადამიანს თავმდაბალს გახდის, მის გულს დააწყნარებს, დაამშვიდებს და უხელმძღვანელებს მის ვნებებს და მათ უმეთვალყურეოდ არასდროს დატოვებს. პირიქით, მათ ყოველთვის ანგარიშს მოთხოვს და შეეცდება გამოასწოროს. თუ ადამიანი ამას მოკლებული იქნება, გზიდან გადავა და დაიღუპება. მედიდურობის უმაღლესი ხარისხი არის ის, როდესაც ადამიანი ცოდნას იღებს იმისთვის, რათა სხვისთვის გადაცემის დროს, იამაყოს ამით, ზემოდან უყუროს მუსლიმებს და შებღალოს მათი ღირსებები. მაშინ ძალაში შევა წესი: „სამოთხეში ვერ შევა ის, ვისაც სულში, თუნდაც იოტისოდენა ამპარტავნობა აქვს“. *(ებუ დაუდი, ქითაბულ აყზია 3599)*

* * *

16-ე დიდი ცოდვა

ცრუმოწმეობა

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„ისინი არ მოწმეობენ სიცრუეს და როცა ავსიტყვაობას შეესწრებიან, ღირსეულად უვლიან გვერდს!“*** *(სურა ფურყანი, აიათი 72)*

იბნ ჰუზეიმე და იბნ ხაბაბი გადმოგვცემენ: „ცრუმოწმეობა გათანაბრებულია ალლაჰისთვის მოზიარის დაწესებასთან“. (აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-აქზაი, 3599)

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს;

„აი ასე! ვინც განადიდებს ალლაჰის სიწმინდეებს, ის თავის სასიკეთოდ იქმს თავისი ღმერთის წინაშე. თქვენთვის ნებადართულია საქონელი, იმის გამოკლებით, რაც გეკითხებათ. მოერიდეთ კერპების სიბილწეს და მოერიდეთ ცრუ სიტყვებს!“ *(სურა ჰაჯი, აიათი 30)*

ჰადისში ნათქვამია: *„ცრუმოწმის ფეხები ადგილიდან ვერ დაიძვრება, სანამ მისთვის ჯოჯოხეთი აუცილებელი არ გახდება“. (იმამმა ზაჰაბიმ ეს ჰადისი ასევე ჭეშმარიტებასთან შესაბამისად მიიჩნია, ხოლო ჰადისი ასე ყლერს: „ცრუ მოწმე ვერ შეძლებს ფეხის განძრევას, სანამ ალლაჰი მის ჯოჯოხეთში*

ყოფნას აუცილებელს არ გახდის“. (იბნ მაჯემ ასევე გადმოსცა ეს ჰადისი ქითაბ-ულ-ალყამში, 2373)

ცრუმოწმე ერთდროულად რამდენიმე სხვა ცოდვასაც სჩადის:

1. ტყუილი და ცილისწამემება.

„და როცა შენ და შენთან ერთად მყოფნი ჩასხდებით ხომალდში, მაშინ თქვი: „ქება-დიდება ალლაჰს, რომელმაც გვიხსნა ჩვენ უსამართლო ხალხისგან!“ *(სურა მუყმინი, აიათი 28)*

ჰადისში ნათქვამია: *„მუსლიმებს, შესაძლოა, ხასიათის ნებისმიერი შტრიხი ჰქონდეს, სიცრუისა და ღალატის გარდა“. (აჰმედ-ბინ-ჰანბელი, 5/225)*

2. ცრუმოწმეობა ქონების დაკარგვას იწვევს.

3. ცილისწამებისგან მოგება ადამიანისთვის ზიანის მიყენებაა. რადგანაც, იმის გამო, რომ ცილისმწამებელი იმ ქონების მეპატრონე გახდა, რომელიც მისთვის აკრძალულია, ის ჯოჯოხეთის ცეცხლს მიიღებს სასჯელად.

ალლაჰის შუამავალმა თქვა: „თუ მე მივიღებ უსამართლო გადაწყვეტილებას ერთი ადამიანიდან მეორეზე ქონების გადაცემის შესახებ, მან ეს ქონება არ უნდა აიღოს. ვინაიდან ამ ნაბიჯით მისთვის ჯოჯოხეთის სამოსს მოვამზადებ“. *(ბუჰარი, ქითაბ-უშ-შეჰადათი, 2680)*

შუამავალი მუჰამმედი ﷺ ბრძანებს, *რომ მუსლიმის ღირსება, სისხლი და ქონება სხვა მორწმუნისთვის წმინდაა“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ედები, 665; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ბირრი 2563)*

„გაცნობოთ, რომელი ცოდვები ითვლება ყველაზე მძიმედ.

-მრავალღმერთიანობა;

-მშობლების არდაჯერება;

-ცრუმოწმეობა.

თანამიმდევრებმა აღნიშნეს, რომ ეს სიტყვები ალლაჰის შუამავალმა ﷺ იმდენად ხშირად გაიმეორა, რომ ისინი იძულებულნი გახდნენ, ეფიქრათ: „ნეტავ გაჩუმდებოდეს?“

* * *

17-ე დიდი ცოდვა

ჰომოსექსუალიზმი

ყურანში უზენაესი ალლაჰი მოგვითხრობს ლუტის ხალხის გარყვნილებაზე და იმაზე, თუ რა გახდა მათი განადგურების მიზეზი.

ყველა მუსლიმი ხალხი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ჰომოსექსუალიზმი საშინელი ცოდვაა.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„ნუთუ თქვენ მხოლოდ მამაკაცებისკენ გაგიწევთ ვნება და მიატოვებთ ცოლებს, რომლებიც ღმერთმა თქვენთვის საამისოდ შექმნა? არამც და არამც! თქვენ ადამიანობის ნიშანწყალი აღარ გაბადიათ!“ *(სურა შუარა, აიათი 165-166)*

ჰომოსექსუალიზმი მრუშობაზე გაცილებით დიდი გარყვნილებაა. ამასთან დაკავშირებით წმინდა მუჰამმედმა თქვა:

„მოკალით ისინი (რომლებიც სჩადიან, აიძულონ, რომ ჩაიდინონ და ისინი, რომლებიც ამით სარგებლობენ), რომლებიც ამით არიან დაკავებულნი.“ (თირმიზი, ქითაბ-ულ-ჰუდუდი, 1456; იბნ მაჯე, ქითაბ-ულ-ჰუდუდი, 2563)

„ალლაჰმა დაწყევლოს ისინი, რომლებიც იმასვე აკეთებენ, რითაც ლუტის ხალხი იყო დაკავებული“. (თარგიბ ვე თარჰიბი, 3/287; ასევე გადმოსცეს იბნ ხიბბანმა და ბეიჰაქმა)

იბნ აბბასი ამბობს:

„ამ ცოდვის ჩამდენთათვის საჭიროა, ყველაზე მაღალი შენობის პოვნა, მათი იქიდან გადმოგდება და ქვებით ჩაქოლვა“.

წმინდა მუჰამმედმა ﷺ ბრძანა: *„ქალების სექსუალური სიახლოვე ერთმანეთთან მრუშობაა“. (თაბერანი, ჯამი-უს-საღორი, 2/33)*

* * *

18-ე დიდი ცოდვა

ცილიწამება წესიერ ქალზე

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„უეჭველად, რომელნიც ცილს დასწამებენ პატიოსან მორწმუნე ქალებს, რომლებსაც შეცოდება არც კი გაუვლიათ გულში, დაწყევლილ იქნებიან ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებაში და მათთვისაა უდიდესი სასჯელი!“*** *(სურა ნური, აიათი 23)*

„და რომელნიც ცილს დასწამებენ პატიოსან ქალებს, შემდეგ კი არ მოიყვანებენ ოთხ მოწმეს, მაშინ ისინი გაროზგეთ ოთხმოცჯერ. და არასდროს მიიღოთ მათი მოწმეობა, რამეთუ სწორედ ეგენი არიან ცოდვილნი“. *(სურა ნური, აიათი 4)*

„ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა, რომ მოვერიდოთ შვიდ დამღუპველ ცოდვას, და მათ შორის იმ უბიწო მორწმუნე ქალზე ცილისწამებაც დაასახელა, რომელსაც მსგავსის გაკეთება აზრადაც არ ჰქონია.

წმინდა მუჰამმედმა ﷺ ასევე თქვა: *„მუსლიმანი ეს არის ის, ვინც არც ენით და არც ხელით სხვა მუსლი-*

მანს ზიანს არ აყენებს“ (ბუჰარი, ქითაბ-ულ-იმანი, 10; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 40)

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„ხოლო რომელნიც დაუმსახურებლად გულს სტკენენ მორწმუნე კაცებსა და ქალებს, უეჭველად, იტვირთეს ცილისწამება და აშკარა ცოდვა!“*** *(სურა აჰზაბი, აიათი 58)*

უკეთილშობილესი შუამავალი ﷺ ბრძანებს: *„განკითხვის დღეს მას, ვინც თავის მხევალს მრუშობაში დააადანაშაულებს, სასჯელს დაუქვემდებარებენ მხოლოდ მაშინ, თუ ეს ქალი ასეთი არ არის“. (ბუჰარი, მუსლიმი)*

ურწმუნო გახდება ის, ვინც ყურანის აიათის მიუხედავად, ცილს დასწამებს მართლმორწმუნეთა დედას კეთილშობილ აიშეს, ვინაიდან ის ამით ყურანს შეეწინააღმდეგება. (ბუჰარი, მუსლიმი)

* * *

19-ე დიდი ცოდვა

ნადავლის, სახელმწიფო ხაზინის სახსრებისა და შეწირულობის უკანონოდ გამოყენება

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„შეუძლებელია შუამავალმა იცრუოს. და ვინც იცრუებს, თავისივე ტყუილით წარსდგება აღდგომის დღეს. მერე ყველა სულს სრულად მიეზღვება თავისი შენაძენისთვის, და ისინი არ დაიჩაგრებიან.“*** *(სურა ალი იმრანი, აიათი 161)*

აბუ ჰუმეიდ ელ-სადრი მოგვითხრობს: „ალლაჰის შუამავალმა ﷺ ასდის ტომიდან ადამიანი, სახელად იბნ ალ ლუტბი მოსამსახურედ დანიშნა. ზექათის აკრეფაზე პასუხისმგებლები ამრი და იბნ ომარი გახდნენ. სამუშაოდან დაბრუნებულმა ამრმა თქვა: „აი, ეს თქვენია, ეს კი—ჩემი, მაჩუქეს“.

მაშინ ალლაჰის შუამავალი ﷺ მინბარზე ავიდა, უზენაეს ალლაჰს მადლობა გადაუხადა და თქვა:

„რა ემართებათ ჩემს რწმუნებულებს? მოვიდა და ამბობს: „აი, ეს თქვენია, ეს კი—ჩემი, მაჩუქეს“. დაე, შეხედოს, მშობლების სახლში რომ მჯდარიყო, ამას აჩუქებდნენ? განკითხვის დღეს უკანონოდ მითვი-

სებული ადამიანს კისერზე ჩამოეკიდება, იქნება ეს აქლემი, ძროხა თუ ცხვარი“.

შემდეგ მან ხელი აღმართა და იკითხა: *„ოჰ, ჩემო ალლაჰო, მივიტანე ადამიანებამდე?“ (ბუჰარი, მუსლიმი. აბუ დაუდი)*

აბუ ჰურაირა მოგვითხრობს: „ერთხელ, ალლაჰის შუამავალთან ერთად ჰაიბერზე სალაშქროდ გავედით. ალლაჰმა ამ ბრძოლაში გამარჯვება გვიბოძა. ნადავლის სახით არც ოქრო და არც ვერცხლი არ მიგვიღია, მხოლოდ სხვადასხვა ნივთები, ტანსაცმელი და საკვები გვერგო. შემდეგ დაბლობში დავეშვით ალლაჰის შუამავლის ﷺ გვერდით ერთი მხევალი იყო, რომელიც მას ჯუზამის ტომიდან ერთმა ადამინმა აჩუქა. როდესაც დაბლობს მივუახლოვდით, წმინდა შუამავლის ﷺ მხევალმა წამოიწია, რათა თავისი ბარგი გაეხსნა. ამ დროს ის ისარმა განგმირა და შედეგად გარდაიცვალა. როდესაც ეს დავინახეთ, შევძახეთ:

„ალლაჰის შუამავალო, დაე, მისი სიკვდილი სიკეთედ იყოს“ რაზეც წმინდა მუჰამმედმა ﷺ გვიპასუხა:

„არა! ვფიცავ მას, ვის განმგებლობაშიც ჩემი სულია. მასზე ის წამოსასხამი იწვის, რომელიც მან ნადავლიდან გაყოფამდე აიღო“. ყველა შიშმა შეიპყრო. ამ დროს მოვიდა ადამიანი, რომელსაც ხელში ერთი თუ ორი ქამარი ეჭირა და თქვა: *„ალლაჰის შუამავალო, ეს ჰაიბერის დღეს ნადავლიდან მერგო“* პასუხად შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ წარმოთქვა: *„ქამარი ცე-*

ცხლისგან“ ან „ორი ქამარი ცეცხლისგან!“ (ბუჰარი,; მუსლიმი)

ალლაჰის შუამავალს ﷺ ჰყავდა ადამიანი, სახელად ქირქირა, რომელიც მცველად მსახურობდა და საგზაო ნივთებს უყურებდა. როდესაც ის მოკვდა, ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„ის ცეცხლშია!“*

თანამიმდევრებმა ამ სიტყვების მიზეზის ძებნა დაიწყეს და ის მოპარულ ნაბადში იპოვეს.

ამ თემაზე უამრავი ჰადისი არსებობს. ზოგიერთ მათგანს თემაში „შევიწროება“ მოვიყვანთ.

შევიწროება სამი სახისაა:

1. ქონების მითვისება არაღვთისნიერი გზით

2. მხევლების და მონების მოკვლა, დაჭრა და კიდურების გადატეხვა;

3. სიტყვით შევიწროება, დადანაშაულება, დაწყევლა, ცილისწამება.

ამასთან დაკავშირებით ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა:

„უეჭველად, ერთმანეთის სისხლი, ქონება და ღირსება თქვენთვის აკრძალულია ამ ქალაქში, ამ დღის, ამ თვის საპატივცემულოდ!“ (ბუჰარი; მუსლიმი)

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ასევე თქვა: *„უზენაესი ალლაჰი არ მიიღებს განუბანელის ნამაზს და მოპარული ქონებიდან სადაყას“. მუსლიმი, ქითაბ-უთ-თაჰარათი, 224; თირმიზი, ქითაბ-უთ თაჰარათ, 224; თირმიზი, თირმიზი, ქითაბ-უთ თაჰარათ, 1)*

ზაიდ ბინ ხალიდ ელ-ჯუმანი მოგვითხრობს:

„ერთმა ადამიანმა ჰაიბერზე ლაშქრობის დროს ნადავლის ნაწილი მოიპარა. მისი სიკვდილის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა ﷺ მისთვის ჯანაზა-ნამაზის შესრულებას თავი აარიდა და თქვა: „ალლაჰის გზაზე მან ნადავლის ნაწილი მოიპარა“ ამის შემდეგ მისი ნივთები შევამოწმეთ და ორი დირჰემის ღირებულების მოსასხამი ვიპოვეთ“.

იმამი აჰმედი ამბობს: *„არ გვახსოვს, რომ ალლაჰის შუამავალს ﷺ ჯანაზა-ნამაზის შესრულებისთვის თავი აერიდებინოს, გარდა იმათი, რომლებიც ნადავლიდან იპარავდნენ და შემდეგ გულზე ხელები დაიკრიფეს“.*

* * *

20-ე დიდი ცოდვა

სხვისი ქონების მითვისება

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:***„არაკანონიერად არ შეუჭამოთ ერთმანეთის ქონება და არ ჩაიდინოთ შეგნებულად ეს; ქრთამი არ მისცეთ მსაჯულთ, რათა ხალხს ქონების ერთი ნაწილი შეუჭამოთ უსამართლოდ“.*** *(სურა ბაყარა, აიათი 88)*

„მაგრამ პასუხისმგებლობა იმათზეა, რომელნიც უსამართლოდ ექცევიან ხალხს და უსამართლოდ აღვირახსნილობენ დედამიწაზე. სწორედ მათთვისაა მწარე სასჯელი!“. *(სურა შურა, აიათი 42)*

„ხოლო უსამართლოებს არ ეღირსებათ მოყვასი და შემწე“. *(სურა შურა, აიათი 8)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„თვითნებობა განკითხვის დღეს წყვდიადად შემობრუნდება“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-მეზალიმი, 2447; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ბირი, 2579; თირმიზი, ქითაბ-ულ-ბირი, 2051)*

„ვინც თავისი მეზობლის თუნდაც ერთ გოჯ მიწას დაეუფლება, მას განკითხის დღეს კისერზე რგოლს ჩამოკიდებენ, რომელიც დაუფლებულ მიწას შვიდ-

ჯერ აღემატება“. (ბუჰარი, ქითაბ-ბედილ-ხალყი, 3195; მუსლიმი, ქითაბ-ულ-მუსაყყა, 1612)

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„უეჭველად, ალლაჰი იოტისოდენადაც არავის დაჩაგრავს, და თუ რამე სიკეთე ჰქმენით, გაორმაგებს მას და თავისი წიაღიდან უდიდეს საზღაურს მოჰმადლის!“*** *(სურა ნისა, აიათი 40)*

ჰადისში ნათქვამია: *„ალლაჰი უყურადღებოდ არ დატოვებს ჩანაწერს ერთმანეთის მიმართ თვითნებური ადამიანების უსამართლობის შესახებ“. (აჰმედ ბინ ჰანბელი, მუსნედი, 6/240)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„შეძლებულთა მიერ ვალის გადახდის გაჭიანურება უსამართლობაა“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ისთიქრაზი, 2400; მუსლიმი ალ მუსაყყათი, 1564;)*

უსამართლობის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გამოვლინება დაუმსახურებელი მოგების მიღებისთვის ტყუილზე დაფიცებაა.

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: „ალლაჰი აუცილებელს გახდის ჯოჯოხეთს და აკრძალავს სამოთხეს მისთვის, ვინც დაფიცების შემდეგ მუსლიმის ქონებას მიითვისებს“. 140 (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი 137)

მას ჰკითხეს: „ალლაჰის შუამავალო, თუნდაც ეს რაიმე არა არსებითი იყოს?“ რაზეც შუამავალმა მუჰამმედმა უპასუხა: *„ეს თუნდაც მისვაქის ღეროს ტოლფასი იყოს“.*

სხვა ჰადისში ალლაჰის შუამავალი ﷺ ამბობს: *„თუ ჩვენ ვინმეს მოსამსახურედ დავნიშნავთ, ხოლო ის ნემს ან უფრო მეტს დაგვიმალავს, ეს ღალატი იქ-*

ნება და განკითხვის დღეს ის მასთან ერთად მოვა“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმარე, 1833)

უკეთილშობილესმა შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„უეჭველად, მასზე მოსასხამი დაიწყებს წვას!“ მაშინ ერთ-ერთი იქ დამსწრეთაგანი წამოდგა და ქამარი მოიტანა, რომელიც ნადავლის განაწილებამდე აეღო. ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: „ეგ ქამარი ცეცხლისგანაა“*

ერთ-ერთმა თანამიმდევარმა ჰკითხა: „იქნება თუ არა ნაპატიები ჩემი ცოდვები, თუ მოთმინებას გულწრფელად გამოვიჩენ და ბრძოლის დროს ბრძოლის ველზე დავეცემი“.

წმინდა შუამავალმა ﷺ თქვა: *„იქნება, გარდა ვალებისა“. მუსლიმი, ქითაბულ-იმარე, 1835)*

„ალლაჰის ქონების უკანონოდ მიმთვისებელს, განკითხვის დღეს ცეცხლი ელოდება“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ჯიჰადი, 3118)

„აკრძალულ საკვებზე გაზრდილი ადამიანი სამოთხეში ვერ შევა. ის უფრო ჯოჯოხეთის ღირსია“. (ჰაქიმ, მუსთედრექი, ქითაბ-ულ-იმანი, 1/79: იმამ აჰმედ ბინ ჰანბელი, მუსნედი, 3/321, 399)

* * *

21-ე დიდი ცოდვა

ქურდობა

„და ქურდ კაცსა და ქურდ ქალს ორივეს ხელები მოჰკვეთეთ ალლაჰისგან საზღაურად რაც ჩაიდინეს, და (ხალხთათვის) სანიმუშოდ. ხოლო ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია“. *(სურა მაიდე, აიათი 38)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„ალლაჰმა დაწყევლოს ქურდი, რომელსაც ხელები კვერცხის და თოკის მოპარვისთვის მოკვეთილი ექნება“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ჰუდუდი, 6783; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ჰუდუდი, 1687; ნესაი, 8/65)*

„ქურდობა მუჰამმედის ﷺ ქალიშვილ ფატმასაც რომ ჩაედინა, მისი ხელებიც მოკვეთილი იქნებოდა“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ჰუდუდი, 6788; მუსლიმი, 1688)

„როდესაც მორწმუნე მრუშობს, ის ამას აკეთებს არა, როგორც მორწმუნე. როდესაც მორწმუნე ქურდობს, ის ამას აკეთებს არა როგორც მორწმუნე. როდესაც მორწმუნე ღვინოს სვამს, ის ამას აკეთებს არა როგორც მორწმუნე. მაგრამ მონანიების კარი ყოველთვის გახსნილია“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ჰუდუდი, 6788; მუსლიმი, 1688)

„მიაქციეთ ყურადღება შემდეგ ოთხ პუნქტს: არ დაუწესოთ ალლაჰს მოზიარეები, არ მოკლათ ის, ვისი მოკვლაც, თუ არა სამართლის მიხედვით, ალლაჰმა აკრძალა, არ იმრუშოთ და არ მოიპაროთ“. (იბნ ები ასიმი, ეს-სუნნა, 2/470)

ავტორს მიაჩნია, რომ მონანიება ქურდს სარგებელს არ მოუტანს მანამ, სანამ ის მოპარულს არ დააბრუნებს. თუ მოპარული აღარ არსებობს, ან მისი დაბრუნების შესაძლებლობა არ არის, მან მის მფლობელს პატიება უნდა სთხოვოს“.

* * *

22-ე დიდი ცოდვა

ყაჩაღობა

„უეჭველად, რომელნიც იბრძვიან ალლაჰისა და მისი შუამავლის წინააღმდეგ და ცდილობენ უკეთურება გაავრცელონ ქვეყნად, ისაა საზღაური, რომ მოკლულნი იქნან ისინი ან ძელზე გაკრულნი, ან ხელფეხი სხვადასხვა მხრით მოკვეთილნი, ან ამ მიწაწყლიდან გაძევებული. ასეთია დამცირება მათთვის ამქვეყნიური, ხოლო მძიმე სასჯელია საიქიოში“. *(სურა მაიდე, აიათი 33)*

რა დაემართებათ ადამიანებს, რომლებიც ემუქრებიან რა ანგარიშსწორებით, იღებენ სხვის ქონებას? რა დაემართებათ მათ, როდესაც დაჭრიან ან მოკლავენ, ან სხვა მძიმე ცოდვებს ჩაიდენენ? გარდა ამისა, ასეთი ადამიანები ჩვეულებრივ, ნამაზს არ ასრულებენ, ხოლო მოპოვებულ ფულს ქალებსა და სპირტიან სასმელებში ხარჯავენ.

* * *

23-ე დიდი ცოდვა

ტყუილზე დაფიცება

აბდულლაჰ ბინ ამრი გადმოგვცემს, თუ როგორ თქვა ალლაჰის შუამავალმა ﷺ: *„დიდი ცოდვები არის: ალლაჰისთვის მოზიარეების დაწესება, მშობლების უპატივცემულობა, ადამიანის მოკვლა და ტყუილზე დაფიცება“ (ბუჰარი, ქითაბ-ულ-იმანი.6675, ქითაბ-ულ-ადაბი, 6107)*

ტყუილზე დაფიცება ადამიანს ცოდვებში ძირავს, ამიტომ მას „გამუსს“-„ჩამძირავს“ უწოდებენ.

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„ერთმა ადამიანმა თქვა: „ვფიცავ ალლაჰს, გამჩენი ამა და ამ ადამიანს არ აპატიებს!“*

ალლაჰის შუამავალმა ჰკითხა: *„ვინ არის ეს, ვინც დაიფიცა, რომ ამა და ამ ადამიანს ალლაჰი არ შეინწყალებს? სწორედ ეს ადამიანი იქნება შეწყალებული, ხოლო შენი საქმეები განადგურდება“. (მუსლიმი. ქითაბ-ულ-ბირი ვეს-სილა,2621)*

„არის ადამიანთა სამი ჯგუფი, რომელთანაც განკითხვის დღეს ალლაჰი არ ილაპარაკებს, არ განწმენდს მათ და რომელთათვისაც საშინელი სასჯელი მოამზადა:

1. ამპარტავანი, რომელიც კალთებს მიწამდე უშვებს;

2. უკმაყოფილო იმით, რაც აქვს;

3. ტყუილი ფიცით თავისი საქონლის გამყიდველი“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი: აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 4087; თირმიზი, ქითაბ-ულ-ბუიუ, 1211; ნესაი, ქითაბ-ულ-ბუიუ, 245)

იბნ ომარი გადმოგვცემს:

„უეჭველად, ის ვინც ალლაჰის სახელით არ იფიცებს, ურწმუნო გახდება“. სხვა გადმოცემაში ნათქვამია: „წარმართი გახდება“. (თირმიზი, ქითაბ-ულ-იმანი, 1535)

„თითოეული ადამიანი, რომელიც ცდილობს ტყუილზე დაფიცებით ქონების მითვისებას, განრისხებულ ალლაჰს შეხვდება“. როდესაც შუამავალ მუჰამმედს ﷺ ჰკითხეს: „მაშინაც კი თუ ეს რაღაც უმნიშვნელო იყო?“ მან უპასუხა: „თუნდაც ეს მისვაქის ტოტი იყოს“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 137,139; ნესაი, 8/460)

ალლაჰის შუამავალმა ﷺ აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მძიმეა იმ ადამიანის ცოდვა, რომელმაც მის მინბერთან ახლოს, ნაშუადღევის ნამაზის დროს ტყუილზე დაიფიცა.

უკეთილშობილესმა შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„ვინც ლათასა და უზაზე დაიფიცებს, მაშინვე თქვას; „არ არსებობს სხვა ღვთაება ალლაჰის გარდა და განწმინდოს თავისი რწმენა“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ადაბი, 6107)*

ზოგიერთი თანამიმდევარი ისლამის მიღებამდე სხვადასხვა კერპების სახელზე იფიცებდა. მოყვანილი ჰადისი ასეთ ადამიანებს ეხება, რომლებსაც ამ სიტყვების წარმოთქმა გაუაზრებლად შეეძლოთ და

მათთვის, მონანიების მიზნით, რეკომენდირებული იყო სიტყვების: ***„ლაა ილააჰე ილლალლაჰ“***- *წარმოთქმა“.*

„მინბართან ახლოს, ტყუილი ფიცი ვინც უნდა წარმოთქვას—თუნდაც ისეთ უმნიშვნელო ნივთთან დაკავშირებით, როგორიც მისვაქის ტოტია—მისთვის ჯოჯოხეთი სავალდებულო გახდება“. (აჰმედ ბინ ჰანბელი, 2/329)

* * *

24-ე დიდი ცოდვა

ტყუილი

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„და როცა შენ და შენთან ერთად მყოფნი ჩასხდებით ხომალდში, მაშინ თქვი: „ქება-დიდება ალლაჰს, რომელმაც გვიხსნა ჩვენ უსამართლო ხალხისგან!“.*** *(სურა მუყმინი, აიათი 28)*

„განიგმირონ ცრუნი“. *(სურა ზარიათი, აიათი 10)*

„მერე გულით შევთხოვოთ (ღმერთს) და ვაწიოთ წყევლა ალლაჰისა, მტყუვანს!“ *(სურა ალი იმრანი, აიათი 61)*

ალლაჰის შუამავალმა თქვა: *„უეჭველად, ტყუილს ცოდვებისკენ მიჰყავს, ხოლო ცოდვებს—ცეცხლისკენ, ადამიანი, რომელიც ტყუილის თქმას აგრძელებს, ალლაჰის წინაშე, ცრუდ ჩაიწერება“.* *(ბუჰარი, ქითაბ-ულ-ადაბი, 6094; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ბირი, 2606)*

კაცობრიობის სიამაყემ ﷺ ბრძანა: *„ფარისევლისთვის სამი ნიშანია დამახასიათებელი: ცრუობს, როცა საუბრობს; მიცემულ სიტყვას არ იცავს; ღალატობს, როდესაც მას ენდობიან“.* *(ბუჰარი, ქითაბ-ულ-იმანი, 59; თირმიზი, ქითაბ-ულ-იმანი, 2633; ენ-ნესაი, ქითაბ-ულ-იმანი, 8/117)*

სხვა ჰადისში ნათქვამია: *„ნამდვილი ფარისეველია ის, რომელიც ფარისევლობის ოთხ თვისებას ფლობს, ხოლო თუ ადამიანს მათგან ერთ-ერთი აქვს,*

ის ფარისევლობის ნიშანს მანამ ატარებს, სანამ ამ თვისებისგან არ გათავისუფლდება:

1. *ღალატობს, როდესაც მას ენდობიან;*
2. *ცრუობს, როდესაც საუბრობს;*
3. *დაპირებულზე უარს ამბობს;*
4. *იქცევა უკანონოდ, როდესაც ვინმესთან მტრულ ურთიერთობაშია". (ბუჰარი, ქითაბ-ულ-იმანი, 34; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 57)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა; *„უეჭველად, ტყუილისა და ცილისწამების უმაღლესი ხარისხი არის იმის მოყოლა, რაც თავად არ გინახავს". (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ენბია, 3509)*

შამურა იბნ ჯუნდები გადმოგვცემს ჰადისს, რომელშიც ალლაჰის შუამავალი ﷺ სიზმარში ნანახის შესახებ საუბრობს:

„ჩვენ მივედით ადამიანთან, რომელიც ზურგზე იწვა. გვერდით მეორე ადამიანი იდგა. მას ხელში განშტოებული კაუჭი ეკავა. ამ ადამიანმა მწოლიარეს პირში, თავამდე ეს კაუჭი შეუტენა და პირის ნაწილი გაუპო. შემდეგ, პირის მეორე ნაწილთან მიმართებაშიც იგივე გააკეთა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მწოლიარე ადამიანი, ყოველ დილით სახლიდან გადიოდა და ისეთ ზღაპრებს ყვებოდა, რომ ისინი ზეცამდე აღწევდა". *(ბუჰარი, ქითაბ-ულ-თაბირი, 7047)*

„მუსლიმს, შესაძლოა, ხასიათის ყველა შტრიხი ჰქონდეს, სიცრუისა და ღალატის გარდა". (აჰმედ ბინ ჰანბელი, 5/252)

„უეჭველად ადამიანთა თავყრილობებში ტყუილის ნაწილაკი არის". (ბუჰარი, ადაბ-ულ-მუფრად, 2/334)

„იმისთვის, რომ ცოდვა გამოიმუშაოს, ადამიანისთვის საკმარისია ილაპარაკოს ყველაფერზე, რაც გაიგონა“. *(მუსლიმი, მუყედდიმე)*

„ადამიანი, რომელიც იმ საქმეების შესრულების შესახებ აცხადებს, რომლებიც არასდროს გაუკეთებია, ორგზის მატყუარაა“. *(მუსლიმი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 213)*

„განერიდეთ ეჭვებს. ისინი სიტყვათაგან ყველაზე მატყუარაა“. *(ბუჰარი, ქითაბ-ულ-ნიქახი, 51143; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ბირა ვეს-სალა, 2563)*

ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: *„ალლაჰი არ დაელაპარაკება სამნაირ ადამიანებს“* და მათ შორის *მატყუარა-მმართველიც* დაასახელა. *(მუსლიმი)*

* * *

25-ე დიდი ცოდვა

თვითმკვლელობა

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ერთმანეთს შორის უკანონოდ არ მიირთვათ თქვენი ქონება, მხოლოდ ვაჭრობა თუ იქნება ურთიერთთანხმობით. და თავი არ მოიკლათ. უეჭველად, ალლაჰი მოწყალეა თქვენდამი!***

და ვინც ამას იქმს მტრობითა და უსამართლობით, მას სულ მალე შევუნთებთ ცეცხლში. და ეს იოლია ალლაჰისთვის!

თუ გაემიჯნებით მძიმე ცოდვებს , რაც გეკრძალებათ, მოგიტევებთ ჩვენ ცოდვებსა თქვენსას და ღირსეულ შესასვლელში შეგიყვანთ თქვენ!“ *(სურა ნისა, აიათი 29-31)*

„ისინი არ მოუწოდებენ სხვა ღვთაებებს, გარდა ალლაჰისა, და არ კლავენ სულს, რომელიც აკრძალა ალლაჰმა, გარდა სამართლის აღდგენისა. და არ მრუშობენ. ვინც იქმს ამას, სასჯელს გადაეყრება!“ *(სურა ფურყანი, აიათი 68)*

ჯუნდებ ბინ აბდულლაჰი გადმოგვცემს შუამავალ მუჰამმედის ﷺ სიტყვებს, რომელმაც თქვა: *„თქვენამდე ცხოვრობდა ერთი ადამიანი, რომელმაც ჭრილობა მიიღო. მან ტკივილი ვერ აიტანა დანა აიღო და ხელი მოიჭრა. სისხლის დაკარგვის გამო ის*

დაიღუპა. უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: „ჩემმა მონამსახურმა დამასწრო და სიცოცხლე მოისწრაფა, რის გამოც მისთვის სამოთხე ავკრძალე“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ენბია,3463; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი,113).

აბუ ჰურეირა გადმოგვცემს: *„ის, ვინც თავს რკინით მოიკლავს, დაიჭერს რა ხელში ამ რკინას, ჯოჯოხეთის ცეცხლში ამით მუცელს განიგმირავს და ეს სასჯელი ძალიან დიდხანს გაგრძელდება. სასიკვდილო შხამის დამლევი, მას ჯოჯოხეთშიც დალევს და ეს სასჯელი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში გაგრძელდება“. (ბუჰარი, ქითაბულ-თიბბი, 5778; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 109; თირმიზი, ქითაბ-თიბბი 2044)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ იმ ადამიანის შესახებ, რომელმაც ტკივილი ვერ აიტან და თავი ხმლით მოიკლა, ბრძანა: *„ეს იმათგანაა, რომლებიც ჯოჯოხეთში მოხვდებიან“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ჯიჰადი)*

საბით ბინ დაჰაქი მოგვითხრობს: *„მორწმუნის დაწყევლა მისი მოკვლის ტოლფასია. ვინც მუსლიმს ურწმუნოებაში დაადანაშაულებს (იტყვის, რომ ის ურწმუნოა), თითქოს ის მოკლა. ნებისმიერი, ვინც თავს მოიკლავს, განკითხვის დღეს ალლაჰი დასჯის“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-იმანი, 6652; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 110 თირმიზი, ქითაბ-ულ-იმანი, 2638; ან-ნასი, ქითაბ-ულ-იმანი,715)*

* * *

26-ე დიდი ცოდვა

უპატიოსნება სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანის დროს

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„და ვინც არ განსჯის იმით, რაც ალლაჰმა მოავლინა, სწორედ ეგენი არიან ურწმუნონი“.*** *(სურა მაიდე, აიათი 44)*

„უეჭველად, რომელნიც მალავენ ჩვენს მიერ ზემოვლენილ ცხად მტკიცებულებებსა და მოძღვრებას, მას შემდეგ, რაც ჩვენ იგი ხალხთათვის წიგნში ნათელვყავით, ნამდვილად მათ წყევლის ალლაჰი და მაწყევარნიც!“ *(სურა ბაყარა, აიათი 159)*

თალჰა ბინ უბეიდულლაჰმა გადმოგვცა ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვები, რომელმაც თქვა: *„იმ მმართველის ნამაზი, რომელიც ალლაჰის ზეგარდმოვლენილი კანონებით არ მართავს, მიღებული არ იქნება“. (ჰაქიმი, მუსთედრეკი, ქითაბ-ულ-აჰქამი, 4/89)*

შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ თქვა: „სამიდან სამოთხეში მხოლოდ ერთი მოსამართლე მოხვდება, დანარჩენი ორი კი—ჯოჯოხეთში. სამოთხეში ის მოსამართლე მოხვდება, ვინც ჭეშმარიტება იცის და ამის მიხედვით მოქმედებს. ჯოჯოხეთში მოხვედრილთაგან პირველია ის, ვინც ჭეშმარიტება იცის, მაგრამ ამის მიხედვით არ მოქმედებს, ხოლო მეორეა ის, რომელმაც ჭეშმარიტება არ იცის და გადაწყვე-

ტილება უცოდინრობით გამოაქვს“. (ჰაქიმი, მუსთედრექი, ქითაბ-ულ-აჰქამი, 4/90)

ავტორი მიიჩნევს, რომ ეს გაფრთხილება ეხებათ იმ მოსამართლეებს, რომლებიც გადაწყვეტილებების გამოტანის დროს უზენაესი ალლაჰისა და მისი შუამავლის სიტყვებს არ ეყრდნობიან.

როდესაც კაცობრიობის სიამაყემ ﷺ ბრძანა: „სამიდან სამოთხეში ერთი მოსამართლე მოხვდება, ორი კი—ჯოჯოხეთში“.

თანამიმდევრებმა ჰკითხეს; „ალლაჰის შუამავალო, რაშია არმცოდნის დანაშაული?“ რაზეც წმინდა შუამავალმა ﷺ უპასუხა:

„თუ საჭირო ცოდნა არ აქვს, ის მოსამართლე არ უნდა იყოს“. (ჰაქიმი, მუსთედრექი, ქითაბ-ულ-აჰქამი, 4/90; აბუ დაუდ, ქითაბ-ულ-ეზქია, 3573)

ამ ჰადისს აქვს მტკიცებულება, მაგრამ არსებობს უფრო სარწმუნო ჰადისიც: მაქალ ბინ სინანი გადმოგვცემს ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვებს, რომელმაც თქვა: *„ჩემი უმმეთიდან ნებისმიერს, რომელსაც ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით არასწორი გადაწყვეტილება გამოაქვს, ალლაჰი ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩააგდებს“. (ჰაქიმი, მუსთედრექი, ქითაბ-ულ-აჰქამი, 4/90/91)*

აბუ ჰურეირა გადმოგვცემს: *„მოსამართლედ ყოფნა იმის მსგავსია, რომ დანის გარეშე დაკლული იყო“. (აბუ დაუდ, ქითაბ-ულ-ეზქია, 3571; თირმიზი, ქითაბ-ულ-ეზქია, 1325)*

ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვებით, მოსამართლე, რომელიც ყველა ძალისხმევას და მცდელობას

მტკიცებულებათა ძებნისკენ მიმართავს, დაეყრდნობა არა საკუთარ აზრს არამედ ნაპოვნ მტკიცებულებებს, აუცილებლად დაჯილდოვდება:

„თუ მოსამართლე გადაწყვეტილების გამოსატანად ყველა ძალისხმევასა და მცდელობას მიმართავს და ამასთან ეს გადაწყვეტილება სწორი აღმოჩნდება, ის ორ ჯილდოს მიიღებს. თუ ყველა ძალისხმევისა და მცდელობის მიუხედავად გადაწყვეტილება არასწორი აღმოჩნდება—ერთს“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ისითსამი, 7354; მუსლიმი, ქითაბულ ეზქია, 1716)

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ჯილდოს მიღება ყველა ღონის ხმარებას დაუკავშირა. თუ მოსამართლე ისე გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომ ამას ძალისხმევას არ მოახმარს და ვინმეს აზრის ასლს გადაიღებს, მაშინ ზემოთნათქვამი მას არ შეეხება.

განრისხების დროს მოსამართლისთვის გადაწყვეტილების გამოტანა აკრძალულია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს რისხვა მტრის წინააღმდეგაა მიმართული.

მოსამართლის მიერ ისეთი თვისებების გამოვლენა, როგორებიცაა უცოდინრობა, ცუდი ხასიათი, ღვთისმოშიშობის არქონა მის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. ასეთ შემთხვევაში ის ვალდებულია თანამდებობიდან წავიდეს და საკუთარი თავი ცეცხლისგან დაიცვას.

* * *

27-ე დიდი ცოდვა

ცოლის, ქალიშვილებისა და ა.შ. მსუბუქი ყოფაქცევის დაშვება

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„მეძავი კაცი ვერ დაქორწინდება თუ არ მეძავ ქალზე ან წარმართზე, ხოლო მეძავი ქალი ვერ გათხოვდეს, თუ არა მეძავ კაცზე ან წარმართზე. მორწმუნეებს კი ეს აეკრძალათ!“*** *(სურა ნური, აიათი, 3)*

ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს: *„სამოთხეში ადამიანთა სამი ჯგუფი ვერ მოხვდება;*

-მშობლების არაპატივისმცემელი;

-არაეჭვიანი;

-მამაკაცს დამსგავსებული ქალი“. (ჰაქიმი, მუსთედრექი, ქითაბ-ულ-იმანი).

ეს ცოდვა მიეტევებათ იმ შემთხვევებში, როდესაც:

-ქმარი ეჭვობს, რომ ცოლი საეჭვო გზაზეა, მაგრამ უყვარს იგი;

-აუცილებელია ცოლის დიდი ვალების დაფარვა:

-აუცილებელია მეტად მძიმე მიხრის გადახდა;

- ოჯახში პატარა ბავშვები არიან, გაყრის შემთხ-ვევაში, ცოლი შესანახად საჭირო ფულს მოითხოვს, ის კი ღარიბია.

მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არ არის სიკეთე მისგან, რომელსაც ეჭვის გრძნობა არ აქვს.

* * *

28-ე დიდი ცოდვა

ქალების დამსგავსება მამაკაცებზე, ხოლო მამაკაცების—ქალებზე

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„და რომელნიც გაურბიან მძიმე ცოდვებს და სიბილწეს, როცა განრისხდებიან, პატიობენ.“*** *(სურა შურა, აიათი 37)*

იბნ აბბასი გადმოგვცემს:

„ალლაჰის შუამავალმა ﷺ დაწყევლა ის მამაკაცები, რომლებიც ქალებს ემსგავსებიან და ის ქალები, რომლებიც მამაკაცებს ემსგავსებიან“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 5886; აბუ დაუდი, ქითაბ-ულ ადაბი, 4930; თირმიზი, ქითაბ-ულ-ადაბი, 2875)

სხვა ჰადისში ნათქვამია: *„დაე, ალლაჰმა დაწყევლოს მამაკაცებზე დამსგავსებული ქალები“. (აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 4099)*

აბუ ჰურაირა გადმოგვცემს: *„ალლაჰის შუამავალმა ﷺ დაწყევლა მამაკაცი, რომელიც ქალის ტანსაცმელს იცვამს, და ქალი, რომელიც მამაკაცის ტანსაცმელში ეწყობა“. (აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-იბასი, 4098)*

ორივე სამყაროს მზემ ბრძანა: *„ჯოჯოხეთში მცხოვრებთა შორის არის ორი ჯგუფი, რომელიც ჯერ არ მინახავს. მათგან პირველი არიან ადამიანები, რომელთაც ხელში როზგები უჭირავთ. ამით ისინი სხვა ადამიანებს დაარტყამენ. მეორე ჯგუფში არიან ქალები, რომლებსაც თითქოს აცვიათ, მაგრამ*

ამავე დროს გახდილნი არიან. მათი თავები აქლემის კუზს ჰგავს. ისინი სამოთხეში ვერ მოხვდებიან და იქაურ სურნელსაც კი ვერ იგრძნობენ. მაშინ, როცა სამოთხის სურნელი ძალიან შორი მანძილიდან იგრძნობა“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-ჯანატი, 2128)

„მამაკაცი დაიღუპება, თუ ქალის ჭკუაზე წავა“. (აჰმედ ბინ ჰანბელი,5/45).

აი, ქალების ზოგიერთი ქმედება, რომელიც დაწყევლილია: ოქროსა და სხვა სამკაულების საჩვენებლად გამოფენა, ნელსაცხებლების გამოყენება, ისეთების როგორებიცაა მუსკუსი ამბარი და სხვა (მაშინ როდესაც ის სხვა მამაკაცის გვერდით იმყოფება); ისეთი მკაფიო ტანსაცმლის ჩაცმა, რომელიც სხვების ყურადღებას იპყრობს. (მთარგმნელის შენიშვნა. ბოლო დროს გახშირდა შემთხვევები, როდესაც ჩვენი ცოლები და ქალიშვილები მამაკაცური ტანსაცმლის სასარგებლოდ უარს ამბობენ ჩვეულებრივი ტანსაცმლის ჩაცმაზე, ეს ქალის არსების ბუნტის გამოვლინებაა. როგორც ერთი სინდიკატის თავკაცმა თქვა: „თავის დახურვა და თმების დაფარვა ერთი და იგივე არ არის?“)

* * *

29-ე დიდი ცოდვა

თაღლითური ქორწინება (ჰულლა)

(ჰულლა: ქორწინება შემდგომი გაყრით, იმ მიზნით, რომ ცოლი დაუბრუნდეს ყოფილ ქმარს, რომელმაც მას საბოლოო განქორწინება მისცა)

იბნ მასუდი მოგვითხრობს:

„ალლაჰის შუამავალმა ﷺ დაწყევლა მამაკაცი, რომელიც დაქორწინდა, როგორც შუამავალი და მამაკაცი, რომლისთვისაც ჰულლა სრულდება“. (ან-ნასაი, ქითაბ-უტ-ტალაკი; თირმიზი, ქითაბ-უნ-ნიკახი, 1120)

ეს ჰადისი თირმიზიმ, აბუ დაუდმა და იბნ მაჯამ ფრიად პატივცემული ალისგან გადმოგვცეს.

მათ, რომლებიც ამ ნაბიჯს დგამენ, სარგებლობენ რა სამართლებრივი სკოლების (მეზჰების) სისუსტით და არ იციან ამის აკრძალვის შესახებ, უზენაესის შემბრალებლობისა და მიმტევებლობის იმედი უნდა ჰქონდეთ.

* * *

30-ე დიდი ცოდვა

საკვებში სისხლის, ლეშისა და ღორის ხორცის გამოყენება

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: *„უთხარი შენ: ვერ ვპოულობ რაც მე მეუწყა იმაში აკრძალულს საჭმელებიდან, გარდა ლეშისა, ან დანთხეული სისხლი, ან ღორის ხორცისა, უეჭველად, იგი სიმურდლეა ან სიბილწე, რომელიც ალლაჰის სახელის მოუხსენიებლად დაიკლა; მაგრამ თუკი იძულებული იყოს ვინმე, არა ზღვარგადასულობითა და არა მოძალადეობით. უეჭველად, ღმერთი შენი შემნდობია, მწყალობელია“.* *(ენღამი, 145)*

საკვებში აუცილებლობის გარეშე, ჩამოთვლილის მომხმარებელი ცოდვილთა რიცხვში აღმოჩნდება. ავტორი არ ფიქრობს, რომ მუსლიმთაგან ვინმე წინასწარგანზრახვით საკვებში ღორის ხორცს გამოიყენებს, ხოლო თუ ადამიანი ამ ცოდვას სჩადის, ეს ნიშნავს იმას, რომ მისი არსება გაფუჭებულია, ხოლო ის წარმართთა რიცხვიდანაა. მუსლიმის თვალში ღორის ხორცის ჭამა, ალკოჰოლური სასმელების მიღებაზე უარესია.

დანამდვილებით, ცნობილია, რომ ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„ჰარამის მჭამელი სამოთხეში ვერ მოხვდება, ის ჯოჯხეთის ღირსია“.*

31-ე დიდი ცოდვა

არააკურატულობა შარდთან მიმართებაში

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„და შენი სამოსი განიწმინდე“. *(მუდასირი,4)*

როდესაც ორ საფლავს შორის ჩაიარა, შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ ბრძანა: *„ისინი ორივენი ტანჯვას განიცდიან. მაგრამ ეს ტანჯვა დიდი ცოდვების გამო არ არის. ერთ-ერთი შარდისგან არ იწმინდებოდა, ხოლო მეორე—ჭორაობდა“.*

ენესი გადმოგვცემს ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვებს, რომელმაც თქვა: *„განიწმინდეთ შარდისგან, ვინაიდან საფლავში ტანჯვის დიდი ნაწილი მისგანაა“.*

ამასთან იმ ადამიანის მიერ შესრულებული ნამაზი, რომელიც თავის სხეულსა და ტანსაცმელს შარდისგან არ იცავს, მიღებული არ იქნება.

* * *

32-ე დიდი ცოდვა

გადასახადების არაღვთისნიერი ამკრები

„მაგრამ პასუხისმგებლობა იმათზეა, რომელნიც უსამართლოდ ექცევიან ხალხს და უსამართლოდ აღვირახსნილობენ დედამიწაზე. სწორედ მათთვისაა მწარე სასჯელი!“ *(შურა,42)*

შემდეგი ჰადისი არის იმ ქალზე, რომელმაც მრუშობა ჩაიდინა და ქვებით ჩაქოლვით იქნა დასჯილი. მის შესახებ შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ თქვა:

„ამ ქალმა ისე გულწრფელად მოინანია, ადამიანების შემვიწროვებელ გადასახადების ამკრებსაც რომ იგივე გაეკეთებინა, მას აუცილებლად შეუნდობდნენ“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-ხუდუდი, 1659; აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ხუდუდი, 4440)

შემვიწროებელი ყაჩაღს ჰგავს. ის ქურდზე უარესია, ის ადამიანთა შორის ყველაზე დესპოტია, რადგან მუდმივად დარტყმებს აყენებს. ისინი, რომლებიც ამ უხამსობების ჩადენაში ეხმარებიან, თვალს ადევნებენ მსხვერპლს, რომელსაც ქონება წაართვეს, აგროვებენ და აღწერენ ქონებას, ასევევ შემვიწროებლებს მიეკუთვნებიან. მათი დამხმარე, არმიის წარმომადგენლები, ავტორიტეტული ადამიანები და ჩინოვნიკები ასევე ცოდვილი საქმეების თანამონაწილენი ხდებიან.

* * *

33 დიდი ცოდვა

ფარისევლობა

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„ და ვინც იქმს სიკეთეს, კაცი იქნება ეს თუ ქალი, და არის ის მორწმუნე, სწორედ, შევლენ სამოთხეში ეგენი და არ დაიჩაგრებიან, ხურმის კურკას ღარი რომ აქვს, იმის ტოლაზეც!“*** *(ნისა, 124)*

„..რომელიც ხალხის დასანახად გასცემს თავის ქონებას“. *(ბაყარა, 264)*

ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„განკითხვის დღეს ყველაზე ადრე შეჰიდის ბედი გადაწყდება. მას ალლაჰთან მიიყვანენ. უზენაესი გამჩენი მისთვის ბოძებულ ყველა სიკეთეს აღწერს, ხოლო ის მათ აღიარებს და ალლაჰი შეეკითხება:

-რა გააკეთე, რომ ამისთვის გადაგეხადა?

შეჰიდი უპასუხებს: „მე შენთვის ვიბრძოდი და მომკლეს“.

სამყაროთა განმგებელი იტყვის:

-ცრუობ, შენ იმისთვის ომობდი, რომ ადამიანებს მამაცად ეღიარებინეთ და მათ გაღიარეს. შემდეგ მიღებული იქნება გადაწყვეტილება და მას ჯოჯოხეთში გააგზავნიან.

მეორე ადამიანი, რომლის შესახებაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება, იქნება ის, რომელიც შეისწავლის და შეასწავლის მეცნიერებებს, კითხუ-

ლობს ყურანს. უზენაესი ალლაჰი აღწერს ყველა ბოძებულ სიკეთეს და ის ამას აღიარებს.

-რა გააკეთე, რომ ამისთვის გადაგეხადა?-შეეკითხება მას გამჩენი. ადამიანი უპასუხებს: „შევისწავლე მეცნიერებანი და ვასწავლიდი მათ. ვკითხულობდი ყურანს, რათა შენი წყალობა დამემსახურებინა“

სამყაროთა განმგებელი ეტყვის:

-ცრუობ. შენ მეცნიერებებს იმიტომ სწავლობდი, რომ ადამიანებს შენზე ეთქვათ: „ის სწავლულია“, ხოლო ყურანს კითხულობდი იმიტომ, რომ ადამიანებს შენზე ეთქვათ: „ის კარგი მკითხველია“. მათაც ასე თქვეს.

შემდეგ მიღებული იქნება გადაწყვეტილება და მას ჯოჯოხეთში წაათრევენ.

შემდეგი იქნება ის, რომელიც ალლაჰმა ყველაფრით დააჯილდოვა და მას ყველაფერი ჰქონდა. მასაც მოიყვანენ, ნაბოძები, ურიცხვი სიკეთის შესახებ შეახსენებენ და ისიც მათ აღიარებს.

-რა გააკეთე, რომ ამისთვის გადაგეხადა? -შეეკითხება უზენაესი. ეს ადამიანი უპასუხებს: „არ დამიტოვებია არც ერთი შესაძლებლობა, რომ ჩემთვის ბოძებული ქონება კეთილი მიზნებისთვის არ დამეხარჯა. ეს მხოლოდ შენთვის გავაკეთე“.

უზენაესი ალლაჰი იტყვის:

-ცრუობ. შენ ამას იმიტომ აკეთებდი, რომ ადამიანებს შენზე ეთქვათ: „ის გულუხვია“ და მათ თქვეს.

შემდეგ მიღებული იქნება გადაწყვეტილება და ამ ადამიანს ჯოჯოხეთში წაათრევენ. *(მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმარა, 1905; თირმიზი, ქითაბ-უზ-ზუხდი, 2387)*

იბნ ომარი გადმოგვცემს:

„ზოგიერთმა ადამიანმა მითხრა: „როდესაც იმათ გვერდით ვიმყოფებით, რომლებიც ჩვენზე მბრძანებლობენ, ერთს ვლაპარაკობთ, ხოლო როდესაც იქიდან მივდივართ -საპირისპიროს“, რაზეც იბნ ომარმა უპასუხა: „ალლაჰის შუამავლის ﷺ დროს ეს ფარისევლობად ითვლებოდა“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ახკამი, 7178).

შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ ბრძანა: *„ალლაჰი დაამწუხრებს მას, რომელიც სხვებს თავის საქმეების შესახებ უყვება და საჩვენებლად გამოიტანს მის არსს, თუ ადამიანი ფარისევლობას დაიწყებს“. (ბუჰარი, ქითაბ-ურ-რიკაკი, 6499; მუსლიმი, ქითაბ-უზ-ზუხდი, 2986)*

მუაზი ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვებს გადმოგვცემს:

„თუნდაც ნაწილობრივი ფარისევლობა წარმართობაა“. (ხიკამი, მუსტედრეკი, ქითაბ-ურ-რიკაკი, 4/328)

* * *

34-ე დიდი ცოდვა

ღალატი

„ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ უღალატოთ ალლაჰსა და მის შუამავალს, და არ უღალატოთ მინდობილს თქვენდა, და თქვენ ეს იცით!...“ *(სურა ენფალი, აიათი 27)*

„ალლაჰი არ ჰქმნის წარმატებულს მზაკვრობას მოღალატეთა“. *(სურა იუსუფი, აიათი 52)*

მუჰამმედ შუამავალმა ﷺ თქვა: *„არ აქვს რწმენა მას, ვინც ნდობას არ ამართლებს; არ აქვს რწმენა მას, ვინც საკუთარ სიტყვას არ იცავს“. (აჰმედ ბინ ჰანბელი, 3/135)*

„არსებობს ფარისევლობის სამი ნიშანი: როდესაც საუბრობს-ცრუობს; როდესაც დაპირებას აძლევს-მას არღვევს; როდესაც ენდობიან-ღალატობს“. (აჰმედ ბინ ჰანბელი, 3/135)

ღალატი ნებისმიერი სახით ულამაზოა. მაგრამ მოღალატეები შესაძლოა, განსხვავებულნი იყვნენ-ზოგიერთი მათგანი სხვებზე უარესი. ის, ვინც თქვენ ფულს არ გაუფრთხილდა, არ ჰგავს იმას, ვინც ვერ დაიცვა სახლი და ქონება და დიდი ცოდვა ჩაიდინა.

* * *

35-ე ცოდვა

ცოდნის მიღება და მისი დაფარვა მიწიერის გულისთვის

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„...ეშინიათ ალლაჰის მის მსახურთაგან ცოდნის მქონეთ. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, შემნდობია!“ *(სურა ფატირი, აიათი 28)*

„უეჭველად, რომელნიც მალავენ ჩვენს მიერ ზემოვლენილ ცხად მტკიცებულებებსა და მოძღვრებას, მას შემდეგ, რაც ჩვენ იგი ხალხთათვის წიგნში ნათელვყავით, ნამდვილად მათ წყევლის ალლაჰი და მაწყევარნიც!“ *(სურა ბაყარა, აიათი 159)*

„უეჭველად, რომელნიც ალლაჰის გარდმოვლენილი წიგნიდან რამეს მალავენ, და მცირე რამ ფასეულობას იყიდიან ამით“. *(სურა ბაყარა, აიათი174)*

„აკი, აიღო აღთქმა ალლაჰმა მათგან, რომელთაც წიგნი ებოძათ: „უსათუოდ, თქვენ განუმარტავთ ამას ხალხს და არ დაფარავთ მას!“ მაგრამ მათ ზურგს უკან მოისროლეს და მცირე ფასად გაყიდეს. თუმცაღა რა უვარგისია მათი ვაჭრობა!“ *(სურა ალი იმრანი, 187)*

კაცობრიობის სიამაყემ ﷺ თქვა: *„ადამიანი, რომელიც ცოდნას მხოლოდ მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იღებს, იმის ნაცვლად,*

რომ მეცნიერების შეცნობით ალლაჰის წყალობა მიიღოს, განკითხვის დღეს სამოთხის სურნელის ჩასუნთქვას ვერ შეძლებს“. (აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ილმ, 3664; იბნ მაჯე, მულადიმე, 252)

ადრე მოყვანილი იქნა აბუ ჰურეირას მიერ გადმოცემული ჰადისი, რომელშიც ნათქვამია, რომ ჯოჯოხეთში მოხვედრილ ერთ-ერთ ადამიანს ეტყვიან: „შენ მეცნიერებას იმისთვის სწავლობდი, რომ ადამიანებს შენზე ეთქვათ: „ის სწავლულია“.. და მათ ასეც თქვეს“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმარა,, 1905; თირმიზი, ქითაბ-უზ-ზუხდი, 2387)

ჯაბირი გადმოგვცემს: *„არ შეისწავლოთ მეცნიერება იმისთვის, რომ ადამიანებს სწავლულად ეჩვენოთ, უბრალო ადამიანების წინააღმდეგ იბრძოლოთ და ადამიანთა კეთილგანწყობა დაიმსახუროთ. ჯოჯოხეთი ასეთ ადამიანებს! ჯოჯოხეთი ასეთ ადამიანებს!“ (ჰაქიმი მუსთედრექი, ქითაბ-ულ-ილმი, 1/86)*

ის, ვინც ცოდნას იმის გამო იღებს, რომ სწავლულად ეჩვენოს, უბრალო ადამიანების წინააღმდეგ იბრძოლოს და ადამიანთა კეთილგანწყობა დაიმსახუროს, ჯოჯოხეთში მოხვდება“. სხვა ჰადისში ნათქვამია: „ალლაჰი მას ჯოჯოხეთში გაუშვებს“.

„განკითხვის დღეს თითოეულს, რომელიც დამალავს თავის ცოდნას, ალლაჰი ცეცხლის პერანგს ჩააცმევს“. (თირმიზი, ქითაბ-ულ-ილმ, 2656)

ალლაჰის შუამავალი ﷺ ალლაჰისადმი ვედრებას ასე აკეთებდა: *„ჩემო ალლაჰო! უსარგებლო ცოდნისგან დამიფარე!“ (თირმიზი, ქითაბ-უდ-დეავატ, 3478; ანნასაი, ქითაბ-ულ-ისტიაზა, 8/255)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„თავისთვის ჯოჯოხეთში ადგილი მოძებნოს მან, რომელიც ცოდნას ალლაჰის კმაყოფილების გულისთვის კი არა, სხვა რამისთვის იღებდა“.* *(ჰაქიმი მუსთედრექი, ქითაბ-ულ-ილიმი, 1/101)*

იბნ მასუდი გადმოგვცემს: *„ადამიანს, რომელსაც ცოდნა მიღებული აქვს, მაგრამ მას არ იყენებს, ამპარტავნობის გარდა არაფერი ეზრდება“.(თირმიზი, ქითაბ-ულ-ილმ, 2657).*

იბნ ომარი გადმოგვცემს: *„განკითხვის დღეს მოიყვანენ უზნეო მეცნიერს და ჯოჯოხეთში გაუშვებენ, და ის თავისი ნაწლავების გარშემო ისევე იტრიალებს, როგორც ვირი, რომელიც წისქვილს აბრუნებს. მას შეეკითხებიან:*

„რატომ მოხვდი აქ? შენ ხომ სწორ გზას გვიჩვენებდი.

ამაზე ის უპასუხებს: „მე არ ვიცავდი იმას, რასაც თქვენ გირჩევდით და ვაკეთებდი აკრძალულს, რის შესრულებასაც თქვენ გიკრძალავდით“. *(თირმიზი, ქითაბ-ულ-ილმი, 2657)*

ჰელალ ბინ ალი ამბობს:

„ძნელია მეცნიერებათა სწავლა. მათი გაფრთხილება კიდევ უფრო ძნელია. ამ ცოდნის მიხედვით ცხოვრება, მათ მოფრთხილებაზე უფრო ძნელია. მაგრამ ყველაზე ძნელია, საკუთარი თავი უსაფრთხოდ შეინახო და ცოდნის საშუალებით გადარჩე“.

* * *

36-ე დიდი ცოდვა

გაწეული მოწყალების დაყვედრება

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაცემული მოწყალება ამაოდ არ ჰქმანთ დაყვედრებითა და დამცირებით“. *(სურა ბაყარა, აიათი 264)*

სანდო ჰადისში ნათქვამია: *„არსებობს ადამიანთა სამი ჯგუფი, რომლებთანაც უზენაესი ალლაჰი განკითხვის დღეს არ ისაუბრებს, არ შეხედავს მათ და არ განწმენდს:*

1. ქედმაღალი, რომელიც კალთებს მიწამდე უშვებს.

2. უკმაყოფილო იმით, რაც აქვს.

3. თავისი საქონლის ტყუილი ფიცით გამყიდველი.“ (იბნ აბი ასიმ, ას-სუნა, 1/142.)

აბუ უმამე ელ-ბაჰიდი გადმოგვცემს ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვებს, რომელმაც თქვა:

„ალლაჰი არ მიიღებს არც ხარჯს და არც გულწრფელობას სამი ადამიანისგან: მშობლების არდამფასებლების, გაწეული წყალობის დამყვედრებლის და ბედისწერის უარმყოფელისგან“.

* * *

37-ე დიდი ცოდვა

ბედისწერის უარყოფა

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„უეჭველად, ჩვენ ყველაფერი გავაჩინეთ თანაზომიერებით“.*** *(სურა ყამერი, აიათი 49)*

„თუმცა ალლაჰმა გაგაჩინათ თქვენც და რასაც თქვენ აკეთებთ“. *(სურა საფათი, აიათი 96)*

„და ნუ ჩაუსაფრდებით ყველა გზის სათავეში, რომ დაექადნოთ და აღუკვეთოთ ალლაჰის გზა ვინც იწამა, და სიმრუდე გწადიათ მისი“. *(სურა არაფი, აიათი 186)*

„განა არ გინახავს ის, ვინც დაიდგინა ღვთაებად თავისი ვნება? ცოდნის მიუხედავად აცდუნა ალლაჰმა იგი, და დაასვა ბეჭედი თვისა სასმენელსა ზედა და თვისა გულსა და დაუდგინა თვალსა საფარველი. მაშ, ვინღა დაადგენს მას ჭეშმარიტ გზაზე შემდგომ ალლაჰისა? ნუთუ არღა დაფიქრდებით?!“ *(სურა ჯასიე, აიათი 23)*

„და თქვენ ვერ ისურვებთ, თუ არა ნება ალლაჰისა. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!“ *(სურა ინსანი, აიათი 30)*

„და მისთვის (სულისთვის) უკეთურობისა და მორჩილების შთამგონებელსა!“ *(სურა შემსი, აიათი 8)*

ამასთან დაკავშირებით ბევრი უტყუარი მტკიცებულებაა. ბუჰარისა და მუსლიმის მიერ გადმოცე-

მულ ჰადისებში ალლაჰის შუამავალი ﷺ ჯიბრილის კითხვაზე: *„ალლაჰის შუამავალო, რა არის რწმენა?“ პასუხობს:*

„ალლაჰის, მისი ანგელოზების, წმინდა წიგნების, მისი შუამავლების, სიკვდილის შემდგომი გაცოცხლებისა და ბედისწერის რწმენა“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ყადერი, 2155)

აიშე გადმოგვცემს შუამავალ მუჰამმედის ﷺ სიტყვებს, რომელმაც თქვა:

„არის ექვსი ადამიანი, რომლებსაც ვწყევლი. მას წყევლიან ალლაჰიც და ყველა შუამავალიც. ესენი არიან: ბედისწერის უარმყოფელი; იმაზე მეტის შემსრულებელი, ვიდრე უზენაესის წიგნშია დაწერილი; სასტიკი მმართველი; ვინც იმის ნებას რთავს, რაც ალლაჰმა აკრძალა; ვინც ახლო ნათესავთან ქორწილის ნებას რთავს; ვინც ჩემ სუნნეთს თავს ანებებს“. (თირმიზი, ქითაბ-ულ-ქაერი, 2155)

იბნ ომარი ალლაჰის შუამავლის სიტყვებს გადმოგვცემს:

„ბედისწერის უარმყოფელი ჩემი უმმეთის ცეცხლთაყვანისმცემლებს გავს. არ მოინახულოთ, როდესაც ისინი ავად არიან, არ იაროთ მათ დაკრძალვაზე“. (ჰაქიმი, მუსთედრექი, 1/85)

იბნ ომარი ამბობს:

„მე მოვისმინე, რომ ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა:

„ჩემს უმმეთში გაჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ბედისწერის უარყოფას დაიწყებენ“. (ჰაქიმი, მუსტედრეკი, 1/84)

საფი გადმოგვცემს: „იბნ ომართან ერთი ადამიანი მივიდა და უთხრა:

„მე ამა და ამ კაცისგან სალამი მოგიტანე“, რაზეც მან უპასუხა:

„ჩემამდე მოვიდა ცნობები, რომ მან რაღაც ახალი გამოიგონა. თუ ეს ნამდვილად ასეა, არ გადასცე მას ჩემგან მისალმება, ვინაიდან ერთხელ, მე გავიგონე, როგორ თქვა ალლაჰის შუამავალმა ﷺ;

„ჩემს უმმეთში გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ცოდვებში ჩაეფლობიან და გაფუჭდებიან“.

კეთილშობილი ალი გადმოგვცემს შუამავალ მუჰამმედის ﷺ სიტყვებს, რომელმაც თქვა:

„ადამიანი გულწრფელი მორწმუნე ვერ გახდება მანამ, სანამდე ოთხ ჭეშმარიტებაში არ დარწმუნდება: ალლაჰის ერთადერთობაში და იმაში, რომ მას მოზიარეები არ ჰყავს; იმაში, რომ მე ალლაჰის შუამავალი ვარ, სიკვდილის შემდგომ გაცოცხლებასა და ბედისწერაში“. (თირმიზი, ქითაბ-ულ-ყადერი, 2146; იბნ მაჯე, მუყედდიმე, 81)

ჯაბირი ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვებს გადმოგვცემს: *„ჩემი უმმეთის ცეცხლთაყვანისმცემლები ბედისწერის უარმყოფელები არიან. არ მოინახულოთ ისინი, როდესაც ავად არიან, არ იაროთ მათ დაკრძალვაზე, შეხვედრის დროს არ მიესალმოთ მათ“. (იბნ აბუ აჯიმი, ას-სუნნა, 1/144)*

მუაზ ბინ ჯებელი გადმოგვცემს: „ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა:

„ალლაჰის მიერ წარმოგზავნილი შუამავლების ყოველ უმმეთში იყვნენ ბედისწერის უარმყოფელი და გარყვნილებაში ჩავარდნილი ადამიანები. უეჭველად ალლაჰმა სამოცდაათი შუამავლის ენებით დაწყევლა ბედისწერის უარმყოფელნი“. (იბნ აბუ ასიმი, ას-სუნნა 1/142)

აბუ ჰურეირა გადმოგვცემს: *„არსებობს ადამიანთა სამი ჯგუფი, რომლებთანაც ალლაჰი განკითხვის დღეს არ ისაუბრებს, მათ არ შეხედავს და არ გაწმენდს:*

1.ბედისწერის უარმყოფელი;

2.სპირტიანი სამელების მომხმარებელი;

3. საკუთარი შვილის არამღიარებელი. (იბნ აბუ ასიმი, ას-სუნნა 1/1421/147)

ჰუზეიფე გადმოგვცემს ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვებს, რომელმაც თქვა:

„თითოეულ უმმეთში თავისი ცეცხლთაყვანისმცემლები არიან. ამ უმმეთში ასეთები ისინი არიან, რომლებიც ბედისწერას უარყოფენ“. (იბნ აბუ ასიმი, ას-სუნნა 1/146)

აიშე გადმოგვცემს:

„ბედისწერის უარმყოფელები ამ უმმეთის ცეცხლთაყვანისმცემლები არიან“. (იბნ აბუ ასიმი, ას-სუნნა 1/147)

* * *

38-ე დიდი ცოდვა

სხვისი საიდუმლოებების გამომჟღავნება

შესაძლოა, ეს ცოდვა დიდ დანაშაულს არ მიეკუთვნებოდეს.

უზენაესი ალლაჰი ამბობს: ***„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავსებით მოერიდეთ ვარაუდს, რამეთუ ზოგი ვარაუდი ცოდვაა. და არ გამოიკვლიოთ ერთიმეორის შეცდომები და არ გაკილოს ზურგსუკან თქვენგან ზოგმა სხვები. განა სურს თქვენგან რომელიმეს, რომ მიირთვას ხორცი თავისი მკვდარი ძმისა? რა თქმა უნდა ვერ აიტანთ მას. მაშ, გეშინოდეთ ალლაჰის! უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია“.*** *(სურა ჰუჯურათი, აიათი 12)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: „განკითხვის დღეს იმ ადამიანის ყურებში, რომელიც სხვა ადამიანების საუბარს მათი სურვილის გარეშე აყურადებს, გამდნარ ტყვიას ჩაასხამენ, ხოლო მას ვინც გამოსახულება შექმნა აწამებენ და ამ ნახატისთვის სულის შთაბერვას დაავალებენ, რის გაკეთებასაც ის ვერ შეძლებს “.

* * *

39-ე დიდი ცოდვა

წყევლა

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„მორწმუნის დაწყევლა მისი მოკვლის ტოლფასია“. (ბუჰარი, ქითაბ-უთ-თაბირი, 7042)*

„მუსლიმანის დაწყევლა ცოდვაა, ხოლო მისი მოკვლა— ურწმუნოების ტოლია“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ადაბი, 6047; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 110)

„განკითხვის დღეს მწყევარების არ შეიძლება იყვნენ არც თავმდებნი და არც მოწმეების“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-ბირრი, 2598)

„სწავლულს წყევლა არ შეეფერება“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-ბირრი, 2597)

„სხვისი შეცდომების მძებნელი, მაწყევარი, რომელიც ილანძღება და უწმაწურ სიტყვებს წარმოთქვამს—მუსლიმანთაგანი არ არის“ (თირმიზი, ქითაბ-ულ-ბირრი, 1978)

„უეჭველად, როდესაც ადამიანი იწყევლება, მისი წყევლა ზეცას აღწევს, რომლის კარიც იკეტება და წყევლას არ უშვებს. შემდეგ დედამიწამდე ეშვება და მაშინ დედამიწის კარიც იკეტება. წყევლა მარჯვნივ და მარცხნივ ადგილის ძებნას დაიწყებს. თუ ის თავის ადგილს ვერ იპოვის და დაწყევლილი ადამიანი წყევლად დაიმსახურებს, მისკენ გაეშურება. თუ ის

ამას არ იმსახურებს, წყევლა მის წარმომთქმელ ადამიანს დაუბრუნდება.“ (აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ედები, 4905)

იმრან ბინ ჰუსეინი გადმოგვცემს:

„ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ერთი ანსარი ქალი აქლემით მგზავრობდა, რომელიც არ ინძრეოდა. მაშინ მან ცხოველი დაწყევლა. როდესაც ეს გაიგონა შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ თქვა:

„ეს აქლემი დაწყევლილია, მოხსენით მას ნივთები და გაუშვით“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-ბირრი, 2595)

იმრან ბინ ჰუსეინი ამბობს:

„დღესაც თავალწინ მიდგას, ეს აქლემი მიწაზე დადის მაგრამ ადამიანთაგან მას ხელს არავინ უწოდებს“.

* * *

40-ე დიდი ცოდვა

ბრძანებისადმი არ დამორჩილება

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„...აღასრულეთ აღთქმა. უეჭველად, აღთქმა პასუხისმგებლობაა!“*** *(სურა ისრა, აიათი 34)*

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შეასრულეთ აღთქმანი.“ *(სურა მაიდე, აიათი 1)*

„და აღასრულეთ ალლაჰის აღთქმა, თუკი აიღებთ ვალდებულებას. და არ დაარღვიოთ ფიცი მას მერე, რაც დაამოწმეთ იგი, რამეთუ ამით ალლაჰი გაიხადეთ თავდებად. უეჭველად, ალლაჰი უწყის რასაც სჩადიხართ!“ *(სურა ნაჰლი, აიათი 91)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„ჭეშმარიტი ფარისეველია ის, ვისაც ფარისევლობის ოთხი ნიშანი აქვს, ხოლო ვისაც ერთი მათგანი მაინც გააჩნია, ფარისევლობის ნიშნის მატარებელი იქნება, სანამ მისგან არ გათავისუფლდება:*

1. ღალატობს, როდესაც მას ენდობიან;

2.ცრუობს, როდესაც ლაპარაკობს;

3.უარს ამბობს დანაპირებზე;

4.როდესაც ვინმეს მტრობს, უკანონოდ იქცევა“. *(მუთეფფეყუნ ალეიჰი)*

„განკითხვის დღეს ყველა ურწმუნოსთან (განდგომილთან) დროშას დააყენებენ და ნათქვამი იქნება,

რომ ეს დროშა ამა და ამ მოღალატისაა. იყავით ყურადღებით, ხარისხის მიხედვით არ არსებობს უფრო არსებითი ღალატი, ვიდრე იმის, რომელიც საზოგადოებას მართავს“.*(მუსლიმი, ქითაბ-ულ-ჯიჰადი, 1738)*

ქუდსი-ჰადისში უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„განკითხვის დღეს ჩემი მტერი სამი ადამიანი იქნება:

1.ვინც ჩემი გულისთვის შეპირდა, მაგრამ შემდეგ უარი თქვა;

2.ვინც ადამიანი მონობაში გაყიდა, ხოლო შემდეგ, აღებული ფული შეჭამა.

3.ვინც ადამიანი დაიქირავა, მაგრამ შესრულებული სამუშაოს შემდეგ ფული არ გადაუხადა“. *(ბუჰარი, ქითაბ-უთ-ბუიუ, 2227)*

შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ აღნიშნა: *„ის, ვისაც ჯოჯოხეთის ცეცხლიდან თავის არიდება და სამოთხეში ყოფნა სურს, მოკვდეს ალლაჰისა და განკითხვის დღის რწმენით და სიცოცხლეში ადამიანებს ისე მოეპყროს, როგორც თვითონ უნდა, რომ ეპყრობოდნენ. დაე, იმ ხალიფას ერთგული იყოს, რომელსაც ხელით და გულით შეჰფიცა. იმ ადამიანს, რომელიც მოვა და მისი ადგილისთვის ბრძოლას დაიწყებს თავი მოჰკვეთეთ.“ (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმარე, 1844)*

„ვინც მე მემორჩილება, ის ალლაჰს ემორჩილება, ვინც მე მეწინააღმდეგება, ალლაჰს ეწინააღმდეგება. ვინც ბრძანებას ემორჩილება, ის მე მემორჩილება. ვინც ბრძანებას ეწინააღმდეგება, მე მეწინააღმდეგება“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-აჰქამი, 7137; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმარე, 1835)

„ადამიანმა, რომელსაც ბრძანება არ მოწონს, უნდა მოითმინოს, ვინაიდან ის, ვინც თუნდაც ერთი ნაბიჯით დაშორდება თავის მბრძანებელს, უმეცრების სიკვდილით მოკვდება“. *(ბუჰარი, ქითაბ-ულ-ფითენი, 7052; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმარე, 1849)*

„ის, ვინც თუნდაც ნაბიჯით დაშორდება თავის თემს, ისლამთან კავშირს ძირს ძლიერად გამოუთხრის“. *(ჰაჰიმი, მუსთედრეჰი, ქითაბ-ულ-ილმი, 1/117)*

რა შეიძლება იყოს იმაზე უარესი, როდესაც ადამიანს ერთგულებას შეჰფიცებ, შემდეგ კი არ დაემორჩილები?

„კაცობრიობის სიამაყემ ﷺ თქვა:

„ის ადამიანი, რომელიც ჩვენდამი იარაღს მომართავს, ჩვენგანი არ არის“.

* * *

41-ე დიდი ცოდვა

ნათელმხილველებისა და წინასწარმეტყველების რწმენა

„არ მისდიო იმას, რისი ცოდნაც არ მოგეპოვება შენ. უეჭველად, ყურის, თვალის და გულისგან, ყველასგან პასუხი მოეკითხება!“ *(სურა ისრა, აიათი 36)*

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავსებით მოერიდეთ ვარაუდს, რამეთუ ზოგი ვარაუდი ცოდვაა“. *(სურა ჰუჯურათი, აიათი 12)*

„იგი უწყის უხილავს, ამიტომაც არავის აცნობებს უხილავის შესახებ, გარდა ვინც მიაღწია სათნოებას შუამავალთაგან. მაშინ, იგი გადაისვრის მის წინიდან და უკნიდან მცველებს“. *(სურა ჯინნი. აიათი 26/27)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„ადამინი, რომელიც ჯადოქრებსა და წინასწარმეტყველებს დაინახავს და მათ სიტყვებს დაადასტურებს, ამით მუჰამმედზე ზეგარდმოვლენილ ყურანს უარყოფს“.*

ერთხელ წვიმიანი ღამის შემდეგ, დილით, ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა:

„უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: *„ზოგიერთმა ჩემმა მონა-მსახურმა მორწმუნედ გამოიღვიძა, ზოგიერთმა-ურწმუნოდ. მან, ვინც თქვა, რომ წვიმა ალლაჰის ნებით წამოვიდა ჩემი ირწმუნა და ვარსკვლავებს განუდგა. ხოლო მან, ვინც თქვა, რომ წვიმა ვარს-*

კვლავის გამოჩენის გამო წამოვიდა განმიდგა მე და ვარსკვლავების ირწმუნა“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ იმანი, 846; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 7)

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„ადამიანმა, რომელიც ამტკიცებს, რომ რაღაც ცოდნა ვარსვლავებისგან შეიძინა, სინამდვილეში ჯადოქრული ცოდნა მიიღო“. (აბუ დაუდი, ქითაბ-უთ-თიბბი, 3905)*

* * *

42-ე დიდი ცოდვა

ქალების დაუმორჩილებლობა ქმრების მიმართ

„ქმრები მეურვეები არიან ცოლების იმ ვითარების გამო, რომლითაც ალლაჰმა უპირატესჰყო ერთიმეორისგან, რადგან ხარჯავენ თავიანთი ქონებიდან. ხოლო პატიოსანი ქალები მორჩილნი (ერთგულნი) არიან თავიანთი ქმრების და ქმრების არყოფნის დროს ისე იცავენ იმათ უფლებებს, როგორც ალლაჰმა დაუწესათ. და რომელთა ურჩობასაც შიშობდეთ, იმ ქალებს შეაგონეთ, მერე მიატოვეთ სარეცელში და მსუბუქი ცემა აგემეთ; მაგრამ თუ მორჩილნი გახდნენ, გ ზას ნუღარ ეძებთ მათ წინააღმდეგ. უეჭველად, ალლაჰი უ ზენაესია, დიდებულია“. *(სურა ნისა, აიათი 34)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„თუ ქმარს ცოლი ლოგინში უნდა, ხოლო ის უარს ეუბნება და ქმარი განაწყენებული იძინებს, ასეთ ქალს ანგელოზები დილამდე წყევლიან“.*

ბუჰარისა და მუსლიმის მიერ გადმოცემულ ჰადისში ნათქვამია: *„ანგელოზები დაწყევლიან იმ ქალს, რომელიც სარეცელს მიატოვებს“.*

სხვა ჰადისში ნათქვამია:

„ვფიცავ იმას, ვის განკარგულებაშიცაა ჩემი სული, თუ ქმარი ცოლს ლოგინში მოუხმობს, ის კი უარს ამბობს, ალლაჰი ასეთ ქალს მანამდე დასჯის,

სანამ ის ქმრის სურვილს არ დააკმაყოფილებს“. *(ბუჰარი, ქითაბ-უნ-ნიქაჰი, 5193; მუსლიმი, 1436)*

„ნება არ დართოთ ქალს ქმრის თანდასწრებით ნებაყოფლობით იმარხულოს, თუ ამაზე ქმრის თანხმობა არ იქნება და ნება არ დართოთ მას, სახლში ვინმე შემოუშვას, ვინც უნდა იყოს ის, თუ ამაზე ქმრის თანხმობა არ იქნება“. *(ბუჰარი, ქითაბ-უნ-ნიქაჰი, 5195)*

„რომ შემეძლოს სეჯდეს შესრულების ბრძანება სხვა გაჩენილისადმი, ქმრისადმი ამის გაკეთებას ცოლს ვუბრძანებდი“ *(თირმიზი, ქითაბ-ურ-რიდა, 1159)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ იბნ მუჰსინეს, რომელმაც ქმარზე რაღაც თქვა, ურჩია:

„იყავი ყურადღებით იმაზე, თუ როგორ ეპყრობი მას, ვინაიდან ის შენი ჯოჯოხეთი ან სამოთხეა“. *(ავტორმა ამ ჰადისების წყაროდ სუნენ-ან-ნესაი მიუთითა მაგრამ სუნენ-ენ-ნესაიში ისინი არ არის. შესაძლოა ისინი იყოს სუნენ ქუბრში)*

„ალლაჰი არ შეხედავს იმ ქალს, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ქმარზეა დამოკიდებული, მისი მადლიერი არ არის“ *(იხილე წინა წყარო)*

კაცობრიობის სიამაყემ ﷺ ბრძანა:

„ანგელოზები იმ ქალს, რომელიც ნებადაურთველად სახლიდან გავა, იქამდე დაწყევლიან, სანამ ის არ დაბრუნდება ან არ მოინანიებს“. ამ თემასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი ჰადისია გადმოცემული.

* * *

43-ე დიდი ცოდვა

ნათესავებთან ურთიერთობებზე უარის თქმა

უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: ***„გეშინოდეთ ალლაჰისა, ვისითაც ურთიერთობთ ერთმანეთს შორის და გაუფრთხილდით ნათესაურ კავშირებს. უეჭველად, ალლაჰი ზედამხედველია თქვენი!“*** *(სურა ნისა, აიათი 1)*

გამოდის, რომ, როდესაც მომძლავრდებით, დედამიწაზე უწესობის თესვას დაიწყებთ და ნათესავებთან კავშირს გაწყვეტთ.

„იქნებ გწადიათ, თუკი სახეს იქცევთ, ამით უკეთურობას დასთესთ ქვეყანაზე და ნათესაურ კავშირებს გაწყვეტთ? აი ისინი, რომელნიც დაწყევლა ალლაჰმა. ამგვარად წაართვა სმენა და დაუბრმავა სასმენელნი.“ *(სურა მუჰამმედი, აიათი 22-23)*

უკეთილშობილესმა მუჰამმედმა ﷺ ბრძანა: *„სამოთხეში ვერ შევა ის, ვინც ნათესავებთან კავშირები გაწყვიტა“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ადაბი, 5984; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ბირრი ვას-სილია, 2556)*

„დაე, დაალაგოს ურთიერთობები ნათესავებთან მან, ვინც ალლაჰისა და განკითხის დღის იწამა“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ადაბი, 6138; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი,47)

„უეჭველად, ყველა არსებული ალლაჰმა გააჩინა“. (ბუჰარი, ქითაბ-უტ-თავხიდი, 7502; მუსლიმი,ქითაბ-ულ-ბირრი ვას-სილია, 2554)

„დაალაგოს ნათესავებთან კავშირი, ვისაც უნდა, რომ საზრდოში სიუხვე ჰქონდეს და მისი სიკვდილი გადადებული იყოს“. (ბუჰარი, ქითაბ-ულადაბი; 5987; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ბირრი ვასილია, 2556)

„რაჰიმ“ (ნათესაური კავშირი) ალლაჰის ტახტრევანზე ჰკიდია. ვინც შეინარჩუნებს ამას, ალლაჰი დაიცავს მას, ხოლო ვინც ამას გაწყვეტს, მას ალლაჰი დასჯის“. *(ბუჰარი, ქითაბულ ადაბ, 5922: მუსლიმ ქითაბულ ბირრ)*

სხვა ჰადისში ნათქვამია: *„უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: „მას, ვინც ნათესავებს მოინახულებს, მეც მოვინახულებ, ხოლო იმასთან, ვინც ამას არ აკეთებს, კავშირს მეც გავწყვეტ“. (ბუჰარი, ქითაბულ-ულ-ზექათ, 1694; თირმიზი, ქითაბ-ულ-ბირრი ვეს-სილია, 1908)*

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„და რომელნიც არღვევენ ალლაჰისადმი აღთქმას, მისი განმტკიცების შემდგომ, და წყვეტენ იმას, რაზეც უბრძანა ალლაჰმა, რომ დაეცვათ, და თესავენ სიავეს დედამიწაზე, აი ეგენი, რომელთაც წყევლა იწვნიეს და მათთვისაა ავი სამყოფელი!“*** *(სურა რადი, აიათი 25)*

აბუ ჰურეირა გადმოგვცემს ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვებს, რომელმაც თქვა: *„უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: „უეჭველად, (სიტყვა) „რაჰიმ“ წარმოდგება სიტყვისგან „რაჰმან“ (ყოვლად მოწყალე), მე კავშირებს შევინარჩუნებ მათთან, რომლებიც ამას თქვენთან ინარჩუნებენ, ხოლო გავწყვეტ მათთან, რომლე-*

ბიც თქვენთან წყვეტენ“. (აბუ დაუდი, ქითაბუზ-ზექათ, 1694; თირმიზი, ქითაბ-ულ-ბირრი ვეს-სილია, 1908)

ეს იმათ ეხებათ, რომლებიც არიან რა შეძლებულ-ნი, ღარიბ ნათესავებთან ურთიერთობებს წყვეტენ.

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა; *„ნათესაური კავ-შირები თუნდაც მისალმებით შეინარჩუნეთ“. (მეჯმა-უზ-ზავიდი, 8/512)*

* * *

44-ე დიდი ცოდვა

ცოცხალი არსებების გამოსახვა

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„განკითხვის დღეს ალლაჰი მოითხოვს იმისგან, რომელმაც რაღაც გამოსახულება შექმნა, მისთვის სულის შთაბერვას, ხოლო ის ამის გაკეთებას ვერასდროს შეძლებს!“ (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ბიუიუ, 2225; ქითაბ-ულ-ლიბასი, 5963; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 2110)*

„უეჭველად, განკითხვის დღეს ყველაზე მკაცრ წამებას დაექვემდებერებიან ისინი, რომლებიც ამ გამოსახულებებს ქმნიან და მათთვის ნათქვამი იქნება: „გააცოცხლეთ ის, რაც თქვენ შექმენით!“ (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 5950; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 2109)

წმინდა აიშე მოგვითხრობს;

„ერთხელ, ალლაჰის შუამავალი ﷺ მორიგი ლაშქრობიდან დაბრუნდა. მე ნახატებიანი მოსასხამი მეცვა. როდესაც მან ჩემი ასეთი ჩაცმულობა დაინახა, სახე მაშინვე შეეცვალა და ის დაგლიჯა. შემდეგ მითხრა:

„აიშე, ყველაზე მკაცრ ტანჯვას ისინი დაექვემდებარებიან, რომლებიც გაჩენილებს გამოსახავენ და ამით უზენაესთან დამსგავსებას ცდილობენ“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 5954; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 2107)

სუნენ თირმიზში არის ასეთი ჰადისი: „ჯოჯოხეთიდან ვიღაც იტყვის:

„უეჭველად, მე იმათგანი ვარ, ვინც ალლაჰის გარდა სხვაზეც ლოცულობდა, იყო ჯიუტი, დესპოტი და ნახატებს აკეთებდა“. (თირმიზი, ქითაბუ სიფათილ ჯენნეჰ, 2577)

კაცობრიობის სიამაყემ ﷺ ბრძანა: *„უეჭველად, განკითხვის დღეს მათ, რომლებიც ხატავენ, მკაცრი სასჯელი ელოდებათ, მათ ეტყვიან: „გააცოცხლეთ ის, რაც თქვენ გააკეთეთ!“ (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 4951; მუსლიმი, 2018)*

იბნ აბბასი გადმოგვცემს ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვებს, რომელმაც თქვა:

„თითოეული მხატვარი ჯოჯოხეთში იქნება. თითოეული შექმნილი სურათისთვის და ჯოჯოხეთში აწამებს“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ბიუიუ, 2225; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 2110)

უკეთილშობილესმა შუამავალმა ﷺ თქვა:

„უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „ვინ არის იმაზე უსამართლო, ვინც ჩემ მიერ გაჩენილის რაღაც მსგავსის შექმნას ცდილობდა? დაე, შექმნან რაიმე, თუნდაც ქერის მარცვალი ან მტვერი“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 5953; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 2111)

დანამდვილებით, ასევე ცნობილია, რომ წმინდა შუამავალმა ﷺ მხატვრები დაწყევლა.

* * *

45-ე დიდი ცოდვა

ჭორები

ალლაჰის შუამავალი ﷺ ბრძანებს: *„ჭორიკანა სამოთხეში ვერ შევა!“ (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ედები, 6055; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 105)*

როდესაც ორ საფლავს შორის გაიარა წმინდა მუჰამმედმა ﷺ ბრძანა: *„უეჭველად ისინი, ორივენი, ტანჯვას განიცდიან და მათ აწამებენ არა დიდი ცოდვების გამო. ერთი მათგანი ჭორაობდა, ხოლო მეორე საკუთარი შარდისგან არ იწმინდებოდა“. (ბუჰარი ქითაბ-ულ-ბუდუ, 216; მუსლიმი, ქითაბ-უთ-თაჰარათი, 292)*

„ადამიანებიდან ყველაზე უარესი ორპირია. ერთთან ის ერთი სახით მიდის, ხოლო მეორესთან-მეორით“. *(ბუჰარი, ქითაბ-ულ-ედები, 6058; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ბირრ-ვე-სილა, 2566)*

სხვა გადმოცემაში ნათქვამია: *„ყველაზე ცუდი ადამიანები, რომლებსაც შენ ნახავ, ფარისევლები არიან“.*

ქააბი გადმოგვცემს: *„განუდექით ჭორებს, ვინაიდან ჭორიკანა საფლავურ ტანჯვას თავს ვერ აარიდებს“.*

მანსური გადმოგვცემს მუჯაჰიდის სიტყვებს, რომელმაც იმ ადამიანებზე რომლებზეც საუბარია სურა „მესედის“ ოთხ აიათში, თქვა: „ისინი, რომლებიც ჭორების გასავრცელებლად დადიან“.

46-ე დიდი ცოდვა

მიცვალებულის ხმამაღლა დატირება

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„ადამიანს ხასიათის ორი შტრიხი აქვს, რომელიც ურწმუნოებს ახასიათებთ: წინაპრების შეურაცხყოფა და მიცვალებულის ხმამაღლა დატირება“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი)*

იმამი მუსლიმის მიერ გადმოცემულ, სხვა ჰადისში ნათქვამია:

„თუ მიცვალებულის ხმამაღლა დამტირებელი ქალი სიკვდილამდე არ მოინანიებს, განკითხვის დღეს ქავილის გამომწვევ ტანსაცმელში აღსდგება“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-ჯენაიზი, 934)

„სხვა ჰადისში ასეა ნათქვამი: *„ჩვენგან არ არის ის, ვინც ხელისგულებს ლოყებზე ირტყამს, ტანსაცმელს იგლეჯს და ამბობს იმას, რასაც უმეცრების დროს ამბობდა“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ჯენაიზი, 1297; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 103)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„უეჭველად, მიცვალებული საფლავში ტანჯვას დაექვემდებარება, იმის გამო, რომ მას დასტიროდნენ“. (მეცნიერები, რომლებიც ამ ჰადისს განმარტავენ, გვიხსნიან, რომ ამ ჰადისში საუბარია იმ ადამიანზე, რომელმაც ნა-*

თესავებს თავისი დატირება დაუბარა. ისლამამდელ არაბებს ჩვეულებად ჰქონდათ ფულით მოტირალის დაქირავება). (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ჯენაიზი, 1292; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ჯენაიზი, 927)

„ალლაჰის შუამავალი ﷺ *კიცხავდა იმ ქალებს, რომლებიც ხმამაღლა დასტიროდნენ მიცვალებულს, იგლეჯდნენ ტანსაცმელსა და თმებს“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ჯენაიზი, 37; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 104)*

ამ სამი ჰადისის საიმედოობა დადასტურებულია ბუჰარისა და მუსლიმის მიერ.

* * *

47-ე დიდი ცოდვა

ავსიტყვაობა ადამიანის საგვარეულოს შესახებ

დანამდვილებით ცნობილია, რომ ეს ურწმუნოთა შტრიხია. ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა:

„ადამიანს ხასიათის ორი შტრიხი აქვს, რომელიც ურწმუნოებს ახასიათებთ: წინაპრების შეურაცხყოფა და მიცვალებულის ხმამაღლა დატირება“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 67)

* * *

48-ე დიდი ცოდვა

შევიწროება და წყენინების მიყენება

უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: ***„მაგრამ პასუხისმგებლობა იმათზეა, რომელნიც უსამართლოდ ექცევიან ხალხს და უსამართლოდ აღვირახსნილობენ დედამიწაზე. სწორედ მათთვისაა მწარე სასჯელი!“*** *(სურა შურა, აიათი 42)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„უეჭველად, ალლაჰმა გიბრძანათ, იყოთ თავმდაბალნი არ შეავიწროოთ ერთმანეთი და არ იყოყოჩოთ ერთმანეთის წინაშე“. (მუსლიმი, ქითაბუ სიფათ-ილ-ჯინათი, 2765; აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ადაბი, 4895)*

ასევე ნათქვამია: „ერთ მთას რომ მეორე შეევიწროებინა, ალლაჰი მწყენინებელ მთას დაანგრევდა“.

„არ არსებობს ცოდვები, ადამიანების შევიწროებისა და ნათესავებთან კავშირის გაწყვეტის გარდა, რომლებსაც განკითხვის დღეს და ამ ცხოვრებაში სასჯელი დაუყოვნებლივ მოყვებათ“. (ჰაქიმი, მუსთედრექი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 4/182)

იბნ მასუდი გადმოგვცემს: „მალიქ ერ-რაჰავიმ თქვა:

„ოჰ, ალლაჰის შუამავალო! მე ისეთი სიკეთე მომეცა, რომელიც შენ არ გინახავს და არ მომწონს, როდესაც თასმები ვინმეს ფეხსაცმელზე ჩემსას ჰგავს. არის თუ არა ეს ქედმაღლობის ნიშანი?“

ალლაჰის შუამავალმა ﷺ უპასუხა: *„ქედმაღლობა ეს არის ჭეშმარიტებაზე ამაღლება და ადამიანებისადმი ზიზღი“.* *(აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ედები, 4902; თირმიზი, ქითაბუ სიფათ-ილ-ყიამე, 2513)*

უეჭველად, უზენაესმა ალლაჰმა აიძულა დედამიწა ჩაეყლაპა ქარუნი მისი სიამაყის გამო. შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ თქვა:

„ერთმა ქალმა სასჯელი მიიღო და ჯოჯოხეთში მოხვდა კატის გამო, რომელიც ჩაკეტა და სასმელ-საჭმელის მიუცემლობის გამო სიკვდილამდე მიიყვანა“. *(ბუჰარი, ქითაბ-ულ-ეჰადის-ულ-ანბიია, 3482; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ბირრი ვეს-სილა, 2242)*

იბნ აბბასი გადმოგვცემს:

„ალლაჰის შუამავალმა ﷺ დაწყევლა ის, ვინც ცოცხალ არსებებს უმიზნებს“. *(მუსლიმი, ქითაბ-უს-საიდი ვაზ-ზაბიჰი)*

ებუ მესუდი ამბობდა:

„ერთხელ ჩემ მონას ვამათრახებდი. ამ დროს ვიღაცის ხმა მომესმა, მაგრამ ჩემი განრისხების გამო, ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. როდესაც ადამიანი მომიახლოვდა, მასში ალლაჰის შუამავალი ﷺ შევიცანი, რომელმაც მითხრა:

„უეჭველად, უზენაესი ალლაჰი ბევრად ძლიერია შენზე იმდენად, რამდენადაც ძლიერი ხარ შენ შენს მონაზე“. *(მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 1659)*

შემდეგ აბუ მესუდი ამბობს:

„ამის შემდეგ მონა არასდროს მიცემია“.

სხვა გადმოცემაში აბუ მესუდი ამბობს: „მისი დიდებისგან ხელიდან მათრახი გამივარდა“.

„ოჰ, ალლაჰის შუამავალო, ამიერიდან ის თავისუფალია“.

შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ ამაზე უპასუხა: *„სხვანაირად რომ მოქცეულიყავი ცეცხლი შეგეხებოდა“.*

კაცობრიობის სიამაყემ ﷺ ბრძანა: *„გამოსასყიდს იმ ადამიანისთვის, ვინც თავის მონას შესასრულებლად შეუძლებელი საქმის გამო სცემს, ამ მონის გათავისუფლება წარმოადგენს“.* *(მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 1657)*

„უეჭველად, უზენაესი ალლაჰი დასჯის მას, ვინც ამ ცხოვრებაში სხვების უფლებებს ბღალავდა“. *(მუსლიმი, ქითაბ-ულ-ბირრი ვეს-სილი, 2613)*

როდესაც სახედადაღული ვირი დაინახა, ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„დაე, უზენაესმა ალლაჰმა დასაჯოს ის, ვინც ეს ცხოველი დადაღა!“* *(მუსლიმი, ქითაბ-ულ-ლიბასი ვაზ-ზილია, 2117)*

სხვა ჰადისში ნათქვამია: *„ადამიანი, რომელმაც წინასწარგანზრახვით მოკლა სხვა, რომლის მოკვლაც აკრძალულია, სამოთხეში ვერ მოხვდება, თუმცა სამოთხის სურნელება 150 წლის მანძილზეც კი იგრძნობა“.* *(ჰაქიმი, მუსთედრექი, ქითაბ-ულ-იმანი, 1/44)*

49-ე დიდი ცოდვა

მორწმუნეებზე იარაღის აღმართვა და მორწმუნის ურწმუნოებაში დადანაშაულება

უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: ***„და ებრძოლეთ ალლაჰის გზაზე იმათ, რომელნიც თქვენ გებრძვიან, მაგრამ ზღვარს არ გადახვიდეთ. უეჭველად, ალლაჰს არ უყვარს ზღვარგადასულნი“.*** *(სურა ბაყარა, აიათი 190)*

„მორწმუნე მამაკაცისა და ქალისთვის რაიმე საქმეში არჩევანი არ არსებობს, თუ ალლაჰმა და მისმა შუამავალმა გადაწყვეტილება არ მიიღეს. ხოლო ის, ვინც ალლაჰსა და მის შუამავალს არ დაუჯერა, აშკარა დაბნეულობაშია“ *(სურა აჰზაბი, აიათი 36)*

არსებობს მრავალი ჰადისი ჰარიჯიტების თავისებურებების შესახებ. მაგრამ ადამიანები, რომლებიც მათ ურწმუნოებაში ადანაშაულებენ, საერთო თვალსაზრისამდე ვერ მივიდნენ. თუმცა ალლაჰის შუამავალმა ﷺ მათ შესახებ თქვა: „ისინი რწმენიდან ისევე გამოვლენ, როგორც ისარი მშვილდიდან გამოფრინდება. სადაც უნდა შეხვდეთ, მოჰკალით ისინი“. (ბუჰარი, ქითაბუ ფეზაილ-ყურანი, 5157; მუსლიმი, ქითაბ-ულიმანი, 104)

მათ შესახებ ასევე ნათქვამია: *„მათ შორის უარესნი, რომლებსაც ზეცის ქვეშ კლავენ, ისინი არიან..*

მოკლულთაგან საუკეთესონი ისინი არიან, რომლებიც მათ (ხარიჯიტებმა) მოკლეს“.

ხარიჯიტები ისინი არიან, რომლებმაც რელიგიაში სიახლე შეიტანეს. ისინი მიიჩნევენ, რომ შეუძლიათ მოკლან მუსლიმანი და ის ურწმუნოებაში დაადანაშაულონ. მათ ურწმუნოებაში ოსმანი, ალი და ბევრი გამოჩენილი თანამიმდევარი დაადანაშაულეს. იბნ აბუ აუფი მოგვითხრობს:

„მოვისმინე რომ ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: „ჰარიჯიტები ჯოჯოხეთის ქოფაკები არიან“.

* * *

50-ე დიდი ცოდვა

მუსლიმისადმი ზიანისა და შეურაცხყოფის მიყენება

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„ხოლო რომელნიც დაუმსახურებლად გულს სტკენენ მორწმუნე კაცებსა და ქალებს, უეჭველად, იტვირთეს ცილისწამება და აშკარა ცოდვა!“*** *(სურა აჰზაბი, აიათი 58)*

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავსებით მოერიდეთ ვარაუდს, რამეთუ ზოგი ვარაუდი ცოდვაა. და არ გამოიკვლიოთ ერთიმეორის შეცდომები და არ გაკილოს ზურგსუკან თქვენგან ზოგმა სხვები.“ *(სურა ჰუმეზე, აიათი 1)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„ალლაჰის წინაშე უარესია ის, რომელსაც ადამიანები გაურბიან, უფრთხიან მისგან სიავეს“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ედები, 3132; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ბირრი ვას-სილა, 2591)*

შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ თქვა: *„უეჭველად უზენაესი წყევლის მას, ვინც ილანძღება“. (თირმიზი, ქითაბ-ულ-ბირრი ვას-სილია, 2003; აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ადაბი, 4799)*

„უეჭველად, ერთი მუსლიმის ღირსება, ქონება და სისხლი აკრძალულია სხვებისთვის. (მიუთითა რა გულზე, მან დაამატა) აქ მდებარეობს ღვთისმოშიშ-

ობა. მუსლიმი ძმის შეურაცხყოფა საკმარისია იმისათვის, რომ შესცოდოთ“. (თირმიზი, ქითაბ-ულ-ბირრი ვას-სილა, 1928)

„მუსლიმი მუსლიმის ძმაა. ამიტომ ის მას ზიანს ვერ მიაყენებს, დახმარების გარეშე ვერ მიატოვებს და ვერ შეურაცხყოფს. მუსლიმი ძმის შეურაცხყოფა საკმარისია იმისათვის, რომ შესცოდოთ“.

უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: ***„უეჭველად, რომელთაც უყვართ რომ გაავრცელონ საზიზღრობა იმათ შორის, რომელთაც ირწმუნეს, სწორედ მათთვისაა მწარე სასჯელი სააქაოშიც და საიქიოშიც. ალლაჰი უწყის, და არ იცით თქვენ!“*** *(სურა ნური, აიათი 19)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„მუსლიმის შეურაცხყოფა—ცოდვაა, ხოლო მისი მოკვლა—ურწმუნოება“. (ბუჰარი, 6044; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 64; თირმიზი, ქითაბ-ულ-ბირრ ვას-სილა, 1984)*

„სამოთხეში ვერ შევა ის, რომლის მეზობელიც მისი ბოროტებისგან დაცული არ არის“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 46)

ბუჰარი და მუსლიმი შემდეგ ჰადისს გადმოგვცემენ: „ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა:

„ვფიცავ ალლაჰს, ვერ ირწმუნებს! ვფიცავ ალლაჰს, ვერ ირწმუნებს! ვფიცავ ალლაჰს ვერ ირწმუნებს!“

მას ჰკითხეს: „ვინ ალლაჰის შუამავალო?“

მან თქვა: „ადამიანი, რომლის მეზობელიც მისი ბოროტებისგან უსაფრთხოდ არ არის“. ერთ ჰადისში რომელიც საიმედოობის პირობას პასუხობს:

„ვერ შევა სამოთხეში ვერც ერთი ადამიანი, რომლის მეზობელიც მისი ბოროტებისგან უსაფრთხოდ არ არის.“ (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ედები, 6016; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი,46)

ერთ ჰადისში, რომელიც საიმედოობის პირობებს აკმაყოფილებს ნათქვამია: *„სამოთხეში ვერ შევა ვერც ერთი ადამიანი, რომლის მეზობელიც მისი ბოროტებისგან უსაფრთხოდ არ არის“. (იმამ აჰმედ ბინ ჰანბელი, მუსნედი, 4/154)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„მეზობელს ზიანს არ აყენებს ის, ვინც ალლაჰისა და მისი შუამავლის ირწმუნა“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ედები, 6018; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 47)*

„მან, ვინც ალლაჰისა და მისი შუამავლის ირწმუნა, მეზობელს სიკეთე გაუკეთოს“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 48)

აბუ ჰურეირა მოგვითხრობს:

„ალლაჰის შუამავალს ﷺ ერთხელ, ჰკითხეს: „ერთი ადამიანი საღამოობით ნამაზს ასრულებს, ხოლო დღისით მარხულობს, მაგრამ ამასთან ამბობს სიტყვებს, რომლებიც მეზობლებს ზიანს აყენებს“.

შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ თქვა: *„ამაში სიკეთე არ არის. ის ჯოჯოხეთში მოხვდება“.(ჰაქიმი, მუსთედრექი, ქითაბ-ულ-ბირ ას-სილია, 4/16)*

„გარდაცვლილებზე კარგი გაიხსენეთ. დადუმდით მათ ნაკლოვანებებზე“. (ჰაქიმი, მუსთედრექი, ქითაბ-ულ-ჯენაიზ, 9/385)

აბუ ზერი გადმოგვცემს ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვებს, რომელმაც თქვა:

„როდესაც ერთი ადამიანი მეორეს „ურწმუნოს“ ან „ალლაჰის მტერს “ეძახის, ხოლო ის ასეთი არ გამოდგება, მთქმელს თავისი სიტყვები უკან დაუბრუნდება“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ედები, 6045; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 61)

ენესი გადმოგვცემს: „ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„მირაჯის დროს შევხვდი ადამიანებს, რომლებსაც სპილენძის ფრჩხილები ჰქონდათ. ამ ფრჩხილებით ისინი სახეს და მკერდს იხოკავდნენ.*

მე ვკითხე: „ჯიბრაილ! ვინ არიან ეს ადამიანები?“

მან მიპასუხა: *„ესენი ადამიანთა ხორცს ჭამენ (ჭორაობენ) და მათ ღირსებას შეურაცხყოფენ“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ედები, 6045; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 61)*

შუამავალმა შუამავალმა ﷺ თქვა: *„უეჭველად მშობლების შეურაცხყოფა ერთ-ერთი დიდი ცოდვაა“.*

მას ჰკითხეს: „ალლაჰის შუამავალო, როგორ შეუძლია ადამიანს საკუთარი მშობლები შეურაცხყოს?“

შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ უპასუხა: *„ასე გამოვა, თუ ერთი ადამიანი მეორის მამის ლანძღვას დაიწყებს, ხოლო მეორე თავის მხრივ პირველის მამას შეაგინებს“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ადაბი, 5937; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 90)*

სხვა ჰადისში ნათქვამია: *„უეჭველად, ერთ-ერთი უდიდესი ცოდვა საკუთარი მშობლების დაწყევლაა“.*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„არავინ დაადანაშაულოს სხვა ცოდვებსა და ურწმუნოებაში, ვინაიდან ყველაფერი ეს მას შეუბრუნდება, თუ ის, ვისაც*

ეს ადამიანი ადანაშაულებს, სინამდვილეში ასეთი არ არის“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ედები, 6045)

„არ გალანძღოთ მიცვალებულები, ვინაიდან ისინი უკვე მივიდნენ იმასთან, რაც ჩაიდინეს“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ჯენაიზი, 1393; აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ედები, 4899; ან-ნესაი, ქითაბ-ულ-ჯენაიზი, 4/52-53)

* * *

51 დიდი ცოდვა

წრფელი გულით მორწმუნეებისთვის ზიანის მიყენება

უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა:

„უეჭველად, რომელნიც აწყენენ ალლაჰსა და მის შუამავალს, დაწყევლა ისინი ალლაჰმა ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც და გაამზადა მათთვის სასჯელი დამამცირებელი! ხოლო რომელნიც დაუმსახურებლად გულს სტკენენ მორწმუნე კაცებსა და ქალებს, უეჭველად, იტვირთეს ცილისწამება და ამკარა ცოდვა!“ *(სურა აჰზაბი, აიათი 57-58)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა:

„უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: „მე ბრძოლა გამოვუცხადე მასთან გადამტერებულს, ვინც ახლოსაა ჩემთან“. (ბუჰარი, ქითაბ—ურ-რიყაყი, 6502)

სხვა ჰადისში ნათქვამია:

„აბუ ბაქრ, თუ მათ განარისხებ, ამით უზენაესს გაანაწყენებ“. *(მუსლიმი, ქითაბუ ფეზაილ-ის-საჰაბე, 2504)* აქ მხედველობაში არის ზოგიერთი მუჰაჯირი და უქონელი. მათზე განრისხებამ, შესაძლოა, სამყაროს გამჩენის მრისხანება გამოიწვიოს.

52-ე დიდი ცოდვა

ტანსაცმლის დაგრძელება

უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: ***„არ იარო დედამიწაზე ქედმაღლურად“.*** *(სურა ლოყმანი, აიათი 18)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა:

„კალთის ის ნაწილი, რომელიც კოჭებს ქვემოთ ჩამოდის, ჯოჯოხეთში მოხვდება“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ლიბას, 5787; ან-ნესაი, ქითაბ-უზ-ზიინა,8/207)

„უზენაესი არ შეხედავს მას ვინც სიამაყის გამო ტანსაცმელს დაიგრძელებს“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 5788)

„არსებობს ადამიანთა სამი ჯგუფი, რომლებსაც განკითხვის დღეს უზენაესი ალლაჰი არ დაელაპარაკება, არ განწმენდს და მათთვის საშინელი სასჯელი მოამზადა:

1. ქედმაღალი, რომელიც კალთებს მიწამდე უშვებს.

2. უკმაყოფილო იმით, რაც აქვს:

3. ცრუ ფიცით საკუთარი საქონლის გამყიდველი.“ (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 106; აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 4087)

„ერთი ადამიანი, ჩაიცვა რა ლამაზი ტანსაცმელი და თმები მხრებამდე დაუშვა, დედამიწაზე ამაყად

დადიოდა და ალლაჰმა დედამიწას მისი ჩაყლაპვა უბრძანა.“

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„უზენაესი ალლაჰი არ შეხედავს მას, რომელიც თავისი უპირატესობის საჩვენებლად კალთებს, პერანგის სახელოებს და ჩალმას იგრძელებს“. (აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 4085; ან-ნესაი, ქითაბ-უზ-ზიინა)*

ჯაბირი მოგვითხრობს, რომ, ერთხელ, ალლაჰის შუამავალმა ﷺ მას უთხრა: *„შეეცადე, ტანსაცმელი არ დაიგრძელო, რადგან ეს სიამაყისა და თვითკმაყოფილების გამომხატველი ნიშანია“. (აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 4085; ან-თირმიზი, ქითაბ-ულ-ისთიზამი, 2722)*

აბუ ჰურეირა მოგვითხრობს: „ერთი ადამიანი ნამაზს გრძელ ტანსაცმელში ასრულებდა. ალლაჰის შუამავალმა ﷺ მას უთხრა: *„წადი განიბანე!“*

ამის შემდეგ იქ დამსწრეთაგან ერთ-ერთმა ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალო, რა მიზეზის გამო უბრძანე მას განბანვა?“

შუამავალმა ﷺ უპასუხა: *„მან ნამაზი იმ ტანსაცმლით შეასრულა, რომელიც მასზე ეკიდა, ხოლო ალლაჰი იმ ადამიანისგან, რომელიც ასეთი ტანსაცმლით ლოცულობს, ნამაზს არ იღებს“. (აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ლიბასი,4086)*

უკეთილშობილესმა შუამავალმა ﷺ თქვა: “*ალლაჰი არ შეხედავს იმას, ვინც თავისი თვითკმაყოფილებისა და მედიდურობის გამო ტანსაცმელს იგრძელებს“.*

მაშინ აბუ ბაქრმა ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალო, ჩემი ტანსაცმელი ჩამოკიდებული იქნება, თუ მას არ ავიწევ..“

მან უპასუხა: *„შენ ხომ ამას მედიდურობისა და თვითკმაყოფილების გამო არ აკეთებ“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ლიბას, 4086)*

კაცობრიობის სიამაყემ ﷺ ასევე ბრძანა:

„მორწმუნის ტანსაცმელი მუხლებს ქვემოთ არ ჩამოდის, ამავე დროს კოჭებამდე დაგრძელება სარისკო არ არის. ხოლო ის, ვისი ტანსაცმელიც კოჭებს ქვემოთ ეშვება, ცეცხლში აღმოჩნდება. ალლაჰი არ შეხედავს მას, ვინც მედიდურობის გამო ტანსაცმელს დაიგრძელებს“. (აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 4096; იბნ მაჯე, ქითაბ-ულ-ლიბასი, 2086)

აბდულლაჰ ბინ ომარი მოგვითხრობს: „ერთხელ, ალლაჰის შუამავალთან ﷺ შევიხედე, ჩემი ტანსაცმელი კოჭებს ქვემოთ იყო. მან მითხრა: „აბდულლაჰ, ტანსაცმელი დაიმოკლე!“

ცოტათი ავიწიე და შუამავალმა ﷺ მითხრა:

„კიდევ ცოტათი!“ მე კიდევ ცოტათი ავიწიე და ამის შემდეგ სულ ვცდილობდი ტანსაცმელი ამ დონეზე ქვემოთ არ დამეშვა“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 2086)

* * *

53-ე დიდი ცოდვა

მამაკაცებისთვის აბრეშუმის ტანსაცმლისა და ოქროს ტარება

უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: ***„ჰეი, ადამის შვილნო! ჩვენ მოგივლინეთ თქვენ სამოსი თქვენთა სარცხვინებელთა დასაფარად და შესალამაზებლად, და ღვთისმოშიშობის სამოსელი, სწორედ ესაა უკეთესი. აი, ესაა ალლაჰის აიათები, ეგების გულისხმაჰყონ მათ!“*** *(სურა არაფი, აიათი 26)*

უკეთილშობილესი შუამავალი ﷺ ამბობს: *„ის, ვინც ამ ქვეყანაზე აბრეშუმის ტანსაცმელს ატარებს, მარადიულ ცხოვრებაში მას ვერ ჩაიცვამს“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 5843; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 2073)*

„ამ ქვეყანაზე აბრეშუმის ტანსაცმელს იცვამს ის, ვისაც მარადიულ ცხოვრებაში არაფერი აქვს გამზადებული“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 5835)

„ჩემს მიმდევრებში მამაკაცებისთვის აბრეშუმის ტანსაცმლისა და ოქროს ტარება აკრძალულია, ხოლო ქალებისთვის ნებადართული“. (თირმიზი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 1720)

ჰუზეიფე მოგვითხრობს: „ალლაჰის შუამავალმა ﷺ *ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლიდან ჭამა-სმა,*

აბრეშუმის ტანსაცმლის ჩაცმა და აბრეშუმზე ჯდომა აგვიკრძალა“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ატ'იმე, 5426)

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„ის, ვინც ვერცხლის ჭურჭლიდან დალევს, მის მუცელში ჯოჯოხეთის ალი იხმაურებს“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-აშრიბა, 5634; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 2065)*

ამასთან ცნობილია, რომ აუცილეობლობის შემთხვევაში ალლაჰის შუამავალი ﷺ აბრეშუმის გამოყენების ნებას რთავდა.

* * *

54-ე დიდი ცოდვა

მონის გაქცევა

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„არ მიიღება იმ მონის ნამაზი, რომელიც თავის პატრონს გაექცა“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი,68)*

„გაქცეული მონას ხელშეუხებლობა ეხსნება“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 69)

„უზენაესი ალლაჰი შემდეგი სამი ადამიანის ნამაზს და კეთილ საქმეს არ მიიღებს:

- გაქცეული მონისას, სანამ ის თავის პატრონს არ დაუბრუნდება;

- ცოლისას, რომელზეც ქმარია განაწყენებული, სანამ ქმარი თავისი ცოლით კმაყოფილი არ გახდება;

- ნასვამისას, სანამ ის გონზე არ მოვა“. (იბნ ხუზაიმა)

კეთილშობილის ალი ამბობდა:

„ალლაჰმა დაწყევლოს ის, ვინც თავისი პატრონის ნაცვლად სხვა მფარველს იპოვის“. (ჰაქიმი, მუსთედრექი, ქითაბ-ულ-ბირ ბას-სილა, 4/153)

„ჯოჯოხეთში ანგარიშის ჩაბარების გარეშე სამ ადამიანს გაუშვებენ:

1. თემიდან გამოყოფილი და იმამის არდამჯერე ადამიანი, რომელიც ამ მდგომარეობაში მოკვდა;

2. მონა, რომელიც გაიქცა და დაბრუნებამდე მოკვდა;

3. ქალი, რომელსაც ქმარი გარდაეცვალა ის კი (სახლიდან გამოსვლისას) საკუთარ სილამაზეს გამოფენს, მიუხედავად იმისა, რომ ქმარმა ყველაფერი აუცილებელი დაუტოვა“. (ჰაქიმი, მუსთედრექი, ქითაბ-ულ-ილმი, 1/119)

* * *

55-ე დიდი ცოდვა

ცხოველის მსხვერპლად შეწირვა არა უზენაესის გულისთვის

უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა:

„და არ მიირთვათ ის, რაზეც ალლაჰის სახელი არ არის მოხსენიებული! უეჭველად, იგი ჭეშმარიტი გზიდან აცდენაა.“ *(სურა ენღამი, აიათი 121)*

ალის მონა ხანი თავისი პატრონის სიტყვებს გადმოგვცემს:

„ხანი რას ამბობენ ადამიანები ჩემზე?“

ხანიმ უპასუხა:

„ისინი ამბობენ, რომ შენ ფლობ ალლაჰის შუამავლისგან ﷺ მიღებულ, მაგრამ ადამიანებისთვის არგადაცემულ ცოდნას“

მაშინ კეთილშობილმა ალიმ ხმალი ამოიღო და თქვა:

„მე გავიგონე თუ როგორ თქვა, ერთხელ ალლაჰის შუამავალმა ﷺ:

„ალლაჰმა დაწყევლოს ის, ვინც ცხოველს მისი გულისთვის არ კლავს:

- ალლაჰმა დაწყევლოს ის, რომელიც სხვა პატრონს ეძებს:

-ალლაჰმა დაწყევლოს ის, ვინც მშობლების წინააღმდეგ მიდის:

-ალლაჰმა დაწყევლოს ის, ვინც შეგნებულად ამოკლებს, ნაკვეთების საზღვრებს“. *(ჰაქიმი, მუსთედრექი, ქითაბ-ულ-ბირი ვას-სილა, 4/153. იმამ ზაჰრავიმ ეს ჰადისი საიმედოს მიიჩნია)*

„ალლაჰმა დაწყევლოს ის, ვინც ცხოველს ალლაჰის გულისთვის არ ჰკლავს!“ *(აჰმედ ბინ ჰანბელი, მუსნად)*

* * *

56-ე დიდი ცოდვა

მიწის ნაკვეთების აღმნიშვნელი ნიშნულების შეცვლა

ალის მიერ გადმოცემული ალლაჰის შუამავლის ﷺ ჰადისის თანახმად, ასეთი ადამიანები დაწყევლილნი არიან. *(ჰაქიმ, მუსთედრექი, ქითაბ-ულ-ბირ, 4/153.)*

წმინდა შუამავლის ﷺ სხვა ჰადისში შემდეგია ნათქვამი:

„ალლაჰმა დაწყევლოს ის, ვინც ცხოველს ალლაჰის გულისთვის არ კლავს. ალლაჰმა დაწყევლოს ის, ვინც ცვლის ნაკვეთების საზღვრებს. ალლაჰმა დაწყევლოს ის, ვისაც ბრმა გზიდან გადაჰყავს. ალლაჰმა დაწყევლოს ის, ვინც მშობლებს შეურაცხყოფს. ალლაჰმა დაწყევლოს ის, ვინც იმითაა დაკავებული, რასაც ლუტის ტომი სჩადიოდა“. *(იმან აჰმედ ბინ ჰანბელი, მუსნედი, 1/309-317)*

ეს ჰადისი აბდულაზიზ დერავუდიმ ომარისგან გადმოგვცა, მასში არის ასეთი დამატება:

„ალლაჰმა დაწყევლოს ის, ვინც (შესაჯვარებლად) ცხოველს უახლოვდება“.

* * *

57-ე დიდი ცოდვა

თანამიმდევართა შეურაცხყოფა

შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ ბრძანა: *„მე ომი გამოვუცხადე ჩემთან დაახლოებულთა მტრებს“. (ბუჰარი, ქითაბ-ურ-რიყაყი, 6502)*

„არ გალანძღოთ ჩემი თანამიმდევრები. ვფიცავ მას, ვის განმგებლობაშიც ჩემი სულია, თუ რომელიმე თქვენგანი მომთხოვს იმდენ ოქროს, რამდენსაც უჰუდის მთა იწონის, ეს ვერც იმას შეედრება, რაც მათ შეწირეს, და ვერც ამის ნახევარს“. (ბუჰარი, ქითაბუ ხაზაილი ასხაბ-ინ-ნაბი, 3673; მუსლიმი, ქითაბუ ფაზზაილ-ის-სახაბი, 2541)

აიშე ამბობს: *„მათ ნაბრძანები ჰქონდათ მუჰამმედის ﷺ თანამიმდევრებისთვის პატიების თხოვნა, ისინი კი ლანძღავდნენ“. (მუსლიმი, ქითაბ-ის-საჰაბი, 2541)*

„ალლაჰის წყევლა გადავიდეს მასზე, რომელიც ჩემ თანამიმდევრებს ლანძღავს“. (იბნ ასიმი, ას-სუნა, 2/483.)

ალი ამბობს: *„ვფიცავ მას, ვინც მზესუმზირა და ადამიანი გააჩინა, შუამავალმა დამიბარა, რომ ჩემი შეყვარება მხოლოდ მორწმუნეს შეუძლია, ხოლო შეძულება—ფარისეველს“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 78)*

თუ ალლაჰის შუამავალმა ﷺ ასეთი რამ ალიზე თქვა, მაშინ აბუ ბაქრ სიდიყი უფრო ღირსია ამის, ვინაიდან ის მუჰამმედის ﷺ შემდეგ ადამიანთაგან საუკეთესოა. ალი და ომარი მიიჩნევდნენ, რომ მის მიმართ, ვინც აბუ ბაქრზე მაღლა ვინმეს აყენებს, იგივე სასჯელი უნდა იყოს გამოყენებული, როგორც ცილისმწამებლის მიმართ.

გადმოგვცემენ აბდურრაჰმან ბინ აბუ ლეილას სიტყვებს:

„ჯარუდ ბინ მალამ თქვა: „აბუ ბაქრი უფრო ღირსეულია, ვიდრე ომარი“. სხვა ადამიანმა თქვა: „ომარი უფრო ღირსეულია, ვიდრე აბუ ბაქრი“. როდესაც ეს სიტყვები ომარამდე მივიდა, მან ამ ადამიანის ცემა ბრძანა და აღნიშნა:

„უეჭველად, აბუ ბაქრი ალლაჰის შუამავლის ﷺ მეგობარია, ამა და ამ მიზეზების გამო. ხოლო იმის მიმართ, ვინც რაიმე, ამასთან შეუთავსებელს ლაპარაკობს, იგივე სასჯელი უნდა იყოს გამოყენებული, როგორც ცილისმწამებლის მიმართ“.

გადმოგვცემენ ალყამის სიტყვებს: „მე გავიგონე, თუ როგორ თქვა ალიმ:

„ჩემამდე მოვიდა ხმები, რომ ზოგიერთი ადამიანი აბუ ბაქრსა და ომარზე მაღლა მაყენებს. ამის მთქმელი ცილისმწამებელივით უნდა დაისაჯოს“. *(იმამ აჰმედ ბინ ჰანბელი, მუსნედი, 1/117)*

აბუ უბაიდა ალის სიტყვებს გადმოგვცემს: „მე მათ, რომლებიც აბუ ბაქრსა და ომარზე მაღლა მაყენებდნენ, ისევე ვსჯიდი, როგორც ცილიმწამებლებს“. *(იბნ ასიმი, ეს-სუნა, 2/575)*

შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ თქვა: *„ის, ვინც მუსლიმ ძმას მიმართავს: „ჰეი ურწმუნოვ!“ ეს აუცილებლად ერთ-ერთ მათგანს შეეხება“.* *(ბუჰარი, ქითაბ-ულ-ედები)*

ავტორი ამბობს, რომ თუ ვინმე აბუ ბაქრსა და სხვა მუსლიმ ძმას მიმართავს: „ჰეი, ურწმუნოვ!“ მაშინ ეს აუცილებლად შეეხება თვითონ მას, ვინაიდან ალლაჰი ამ პირველი მუსლიმებით კმაყოფილია.

უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა:

„კეთილწარმატებულნი უპირველესნი მუჰაჯირთაგან და ენსართაგან და რომელნიც მიჰყვნენ მათ სიკეთით, ალლაჰი კმაყოფილია მათგან და ისინი კმაყოფილი არიან მისგან“. *(სურა თევბე, აიათი 100)*

ადამიანი, რომელიც ამ ხალხს შეურაცხყოფს, უზენაეს ალლაჰს ომს უცხადებს. ჩვენ უკვე ვამბობდით, რომ ადამიანები, რომლებიც შეურაცხყოფენ სხვა მუსლიმებს, ბღალავენ მათ უფლებებს და ამცირებენ მათ, დიდ ცოდვას სჩადიან, ხოლო რას ფიქრობთ ისეთ ადამიანებზე, რომლებიც ალლაჰის შუამავლის ﷺ შემდეგ ყველაზე საუკეთესო ადამიანს შეურაცხყოფენ? მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი ადამიანისთვის ჯოჯოხეთში ყოფნა მუდმივი იქნება.

* * *

58-ე დიდი ცოდვა

ენსარების შეურაცხყოფა

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„ანსარების სიყვარული რწმენის ნიშანია, ხოლო მათი სიძულვილი ფარისევლობის ნიშანია“. (ბუჰარი, ქითაბუ ფეზაილი ასჰაბ-ინ-ნები, 8/116)*

„მათი მოყვარული მორწმუნეა, ხოლო მოძულე— ფარისეველი“. (ბუჰარი, ქითაბუ ფეზაილ-ილ-იმანი, 3783; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი,75)

* * *

59-ე დიდი ცოდვა

აკრძალულისა და ცოდვისკენ მოწოდება

შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ ბრძანა: *„ვინც ცოდვისკენ გზა გახსნა, ამ ცოდვის ტვირთს იკისრებს. მაგრამ ეს არ ასუსტებს იმის ცოდვას, რომელიც მას გაჰყვა“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-ილმი, 2674)*

„ცოდვისკენ გზის გამხსნელი სასჯელს იმათთვისაც მიიღებს, რომლებიც მას გაჰყვნენ. ამასთან მისი მიმყოლის ცოდვაც არ შესუსტდება“. (მუსლიმი, ქითაბ-უზ-ზექათი, 1017; ან-ნესაი, ქითაბულ ზექათი, 5/75-76)

„ნებისმიერი შემოტანილი სიახლე (რწმენაში)—ეს უმეცრებაა“. ზოგიერთი ამატებს: „ნებისმიერი უმეცრება—ჯოჯოხეთშია“.

* * *

60-ე დიდი ცოდვა

პარიკის ტარება და სვირინგის გაკეთება

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„ალლაჰმა დაწყევლოს ის, ვინც ალლაჰისგან მოცემულ სახეს იცვლის; თმების (მომმატებელი) პარიკის მტარებელი და სვირინგის გამკეთებელი; ქალი, რომელიც სახიდან (წარბებიდან და წამწამებიდან) თმებს იცლის, საკუთარ კბილებს ქლიბით ამუშავებს, რათა უკეთ გამოიყურებოდეს“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 5931, 5939, 5940, 5945; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 2125)*

სხვა ჰადისში კაცობრიობის სიამაყემ ﷺ თქვა; *ჰარამად ითვლება შემოსავალი, რომელიც მიღებულია ძაღლისა და სისხლის გაყიდვით, ასევე ნათელმხილველობით. დაწყევლილნი არიან ისინი, რომლებიც სვირინგს აკეთებენ, აძლევენ და იღებენ ფულს პროცენტით, ასევე მხატვრები, რომლებიც ცოცხალ არსებებს ხატავენ“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ბიუიო, 2238, 2086)*

* * *

61-ე დიდი ცოდვა

მუსლიმისადმი იარაღით დამუქრება

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„უეჭველად, ვინც თავის მუსლიმ ძმას იარაღით ემუქრება, ანგელოზები მას დაწყევლიან მანამდე, სანამ ის იარაღს არ გადააგდებს, თუნდაც ეს ადამიანი მისი ღვიძლი ძმა იყოს“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-ბირ ვეს-სილა, 2616)*

* * *

62-ე დიდი ცოდვა

იმ ადამიანის მამად აღიარება, ვინც ასეთად არ გვევლინება

სადი ალლაჰის შუამავლისგან ﷺ გადმოგვცემს: *„ისეთი ადამიანისთვის, რომელმაც მამა იმას უწოდა, რომელიც სინამდვილეში მშობელი არ არის, სამოთხე ჰარამია“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ფერაიზი; 6767 მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 63)*

აბუ ჰურეირა გადმოგვცემს, რომ შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ, ერთხელ, ბრძანა: *„არ განუდგეთ საკუთარ მამებს! ხოლო ვინც საკუთარ მამას განუდგა, დაე, იცოდეს, რომ ეს ურწმუნოებაა“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ფარაიზი, 6768; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 62)*

იეზიდ ბინ შერიქი ჰყვება; „მე ვნახე და გავიგონე, რომ მინბერზე მდგომმა ალიმ, რომელიც ხალხს მიმართავდა, თქვა:

„ერთადერთი წიგნი, რომელსაც მივმართავთ, ალლაჰის წიგნია“. შემდეგ დაამატა: „და ის, რაც ამ ფურცელზეა“ და ის გაშალა. მასში აქლემის კბილები და სხვა ნივთები იყო. ფურცელზე ეწერა:

„მედინა ავრის მთიდან სევერის მთამდე ჰარამია. ის ვინც რელიგიაში სიახლეს მოიგონებს, ან თავშესაფარს მისცემს მას, ვინც ეს მოიგონა, დაწყევლილი იქნება ალლაჰისგან, ანგელოზებისგან და ყველა ადამიანისგან, განკითხვის დღემდე არ იქნება მიღებული მისი არანაირი თაყვანისცემა, არც სავალდებულო და არც ნებაყოფლობითი. მუსლიმებისთვის წარ-

მოდგენილი დაცვა ერთიანია. ანალოგიურ წყევლის ღირსია ის, ვინც იცის, რომ მამა ჰყავს, მაგრამ მამას სხვა ადამიანს უწოდებს და ის მონა, რომელიც სხვა ბატონის მფარველობის ქვეშ შედის“. *(ბუჰარი, ქითაბულ ფეზაილ-ილ-მედინა, 1870; ქითაბუ-ულ-ჰაჯი, 1370)*

აბუ ზერი გადმოგვცემს კაცობრიობის სიამაყის ﷺ სიტყვებს:

„ის ადამიანი, რომელიც მამას სხვა ადამიანს უწოდებს, ურწმუნოებაში ვარდება. ჩვენგან არ არის ის, ვინც რაიმეს, რაც მას არ ეკუთვნის თავისად მიიჩნევს და დაე, ასეთმა ადამიანმა ჯოჯოხეთში თავისი ადგილი დაიკავოს. თუ ვინმე სხვა ადამიანს ურწმუნოს დაუძახებს ან მას ეტყვის: „ალლაჰის მტერო!“ ეს თვითონ მას დაუბრუნდება, თუ მეორე ადამიანი ასეთი არ არის“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-მენაქიბი, 3508; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 61)

* * *

63-ე დიდი ცოდვა

ცუდის წინასწარმეტყველება

სავსებით შესაძლებელია, რომ ეს დიდი ცოდვა არ იყოს.

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„ცუდის წინასწარმეტყველება წარმართობაა და ასეთი ადამიანი ჩვენგან არაა. მაგრამ თუ ადამიანი ალლაჰს მოუხმობს, ის მას გამოასწორებს“. (თირმიზი, ქითაბ-უს-სიიარ, 1614; აბუ დაუდი, ქითაბ-უთ-თიბბი, 3900)*

„არ არის ჩვენში არც ავადმყოფობის გამოწვევა და არც ცუდის წინასწარმეტყველება. მაგრამ არის კარგის მომასწავებელი ნიშანი“.

ადამიანებმა ჰკითხეს: „ალლაჰის შუამავალო, რა არის კარგის მომასწავებელი ნიშანი?“

მან უპასუხა: *„კეთილი სიტყვა“. (ბუჰარი, ქითაბ-უთ-თიბბი, 5757, 5776; მუსლიმი, ქითაბ-უს-სელამი, 2224)*

* * *

64-ე დიდი ცოდვა

ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლის გამოყენება

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„არ ატაროთ აბრეშუმის ტანსაცმელი. არ დალიოთ ოქროსა და ვერცხლის სასმელიდან და არ ჭამოთ ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლიდან. ვინაიდან ყველაფერი ეს განკუთვნილია მათთვის (ურწმუნოთათვის) ამ ცხოვრებაში, ხოლო ჩვენთვის—იმ ქვეყანაში“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ეტღიმე, 5426; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ლიბასი ვეზზინა)*

„მის მუცელში, ვინც ოქროს ან ვერცხლის ჭურჭლიდან დალევს ან შეჭამს, ჯოჯოხეთის ცეცხლი იხმაურებს“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-ლიბასი ვაზ-ზინა, 2065)

„ის, ვინც მიწიერ ცხოვრებაში ვერცხლის ჭურჭლიდან სვამს, ამის გაკეთებას მარადიულ სასუფეველში ვერ შეძლებს“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-ლიბასი ვაზ-ზინა, 2066)

* * *

65-ე დიდი ცოდვა

დავა

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: *„და ადამიანთაგან, რომელიც ამქვეყნიურ ცხოვრებაზე საუბრით გხიბლავს შენ და ალლაჰს იმოწმებს თავისი გულისნადების დასამტკიცებლად, სწორედ იგია ყველაზე დაუნდობელი მტერი“.* *(სურა ბაყარა, აიათი 204)*

„და თქვეს: „განა ჩვენი ღვთაებები უფრო უკეთესი არიან თუ იგი? არ მოუყვანიათ იგი შენთვის მაგალითად, თუ არა საკამათოდ. არა, ეგენი მავნებელი ხალხი არიან!“ *(სურა ზუჰრუფი, აიათი 58)*

„უეჭველად, რომელთაც არ ჰბოძებიათ არანაირი მტკიცებულება, დაობენ ალლაჰის აიათების თაობაზე. მათ გულებში სხვა არაფერია, გარდა ქედმაღლობისა, რასაც ისინი ვერ მიაღწევენ. მაშ, შენ ალლაჰს მიეკედლე. უეჭველად, იგია ყოვლისმსმენი, ყოვლისმხედველი!“ *(სურა მუმინი, აიათი 56)*

„თუ ეკამათებით წიგნის ხალხს, მხოლოდ საუკეთესო გზით. ეს არ ეხება მათგან იმათ, ვინც უსამართლოდ იქცევა. უთხარით: „ჩვენ ვირწმუნეთ ის, რაც ზეგარდმოგვევლინა (ანუ ყურანის), და ის რაც თქვენ გარდმოგევლინათ (ანუ ბიბლიის). ჩვენი და თქვენი ღმერთი ერთია, და ვმორჩილებთ მხოლოდ მას!“ *(სურა ანქაბუთი, აიათი 46)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„უეჭველად, ალლაჰისთვის ყველაზე ნაკლებად საყვარელია ის, ვინც უფლების გარეშე კამათობს“.* *(ბუჰარი, ქითაბ-ულ-*

აჰქამი,7188; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ილმი, 2668; თირმიზი, ქითაბ-უტ-ტაფსირი, 2980; ან-ნასაი)

„ადამიანი, რომელსაც არ აქვს სათანადო ცოდნა და ამასთან მტრულად მოკამათეა, ალლაჰის რისხვის ქვეშ იქნება, სანამ მას არ შეწყვეტს“. (ჯამი-უს-სიგირი, 2/169)

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„რწმენამიღებული თემი პრივილეგირებულ გზაზე იქნება, სანამ ერთმანეთში დავას არ დაიწყებს“ და შემდეგი აიათი წაიკითხა:*

„და თქვეს: „განა ჩვენი ღვთაებები უფრო უკეთესი არიან თუ იგი? (ანუ ისა)? ***არ მოუყვანიათ იგი შენთვის მაგალითად, თუ არა საკამათოდ. არა, ეგენი მავნებელი ხალხი არიან!“*** *(სურა ზუჰრუფი, აიათი 58) (თირმიზი, ქითაბ-უთ-თავსირი, 3250; იბნ მაჯახი, მუკადიმა, 48; იმან აჰმედი, მუსნადი, 5/252-256)*

იბნ ომარი გადმოგვცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა:

„ყველაზე მეტად თქვენს გამო სამი რამის მეშინია:

-სწავლულის შეცდომების;

-ყურანთან ფარისევლის კამათის;

-მიწიერი ცხოვრების, რომელიც კისრებს გტეხავთ“. (ასეთი შინაარსის ჰადისი ნაპოვნი არ ყოფილა)

შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ ბრძანა:

„ყურანის შესახებ დავა ურწმუნოებაა“. (აბუ დაუდი, ქითაბ-უს-სუნა, 4603; იმან აჰმედი, მუსნადი, 2/258)

„ადამიანი, რომელიც კამათობს იმის შესახებ, რაც საეჭვოა, ამასთან იცის რა მისი არსის შე-

სახებ, ალლაჰის რისხვის ქვეშ იქნება, სანამ ამას არ შეწყვეტს“.

სხვა ვარიანტში ნათქვამია: *„ის საკუთარ თავზე აუცილებლად, ალლაჰის რისხვას დაიტეხს“. (აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-აკზიია, 3597; იმან აჰმედი, მუსნადი, 2/70)*

„ჩემს უმმეთში ყველაზე მეტად კარგად მოსაუბრე ფარისეველი მაშინებს“. (იმან აჰმედი, მუსნადი, 1/44)

„მორცხვობა და საკუთარი სისუსტის აღიარება რწმენის ნაწილაკია. ცუდი სიტყვები და მონათხრობი—ფარისევლობის ნიშანი“. (თირმიზი, ქითაბ,-ულ-ბირ ვას-სალა, 20/28)

* * *

66-ე დიდი ცოდვა

მონის დასაჭურისება, ცემა და დაჩაგვრა

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„და, უეჭველად, გზას ავაცდენ მათ, და ვაცდუნებ ოცნებებით, და ვუბრძანებ მათ ყურები დააჭრან საქონელს, და უეჭველად, ვუბრძანებ მათ სახე უცვალონ ალლაჰის გაჩენილს.“ და ვინც ალლაჰის მაგივრად ეშმაკს აიყვანს მეგობრად, აშკარად დაზარალდება იგი.“*** *(სურა ნისა, აიათი19)*

ზოგიერთი განმმარტებელი ამბობს, რომ აქ საუბარია დასაჭურისების შესახებ.

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„ჩვენ მოვკლავთ მას, ვინც თავის მონას იმსხვერპლებს და დავამწყვდევთ მას, ვინც საკუთარ მონას ამწყვდევს“. (აბუ დაუდი, ქითაბ-უდ-დიიატ, 4515; თირმიზი, ქითაბ-უდ-დიიატ, 1414; ან-ნასაი, ქითაბ-ულ-კასამე, 8/21)*

„მას, ვინც თავის მონას ასაჭურისებს, ჩვენც დავასაჭურისებთ“. (ან-ნესაი, ქითაბ-ულ-ქასამე, 8/21)

„აღდგომის დღეს დაისჯება ის, ვინც თავის მონას ცილი დასწამა“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ხუდუდი, 6858; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 1660)

უკანასკნელი ანდერძი, რომელიც შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ გარდაცვალების წინ დატოვა, შემდეგი იყო:

„ყურადღება მიაქციეთ ნამაზს, ყურადღება მიაქციეთ ნამაზს, გეშინოდეთ ალლაჰის იმისთვის, რაც

ხელთ გაქვთ“. (აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ადაბი, 5156; იბნ მაჯახი, ქითაბ-ულ-ვასაია, 2698)

იბნ ომარი მოგვითხრობს: „ალლაჰის შუამავალმა ﷺ ცხენებისა და ცხოველების დასაჭურისება აგვიკრძალა“. *(იმან აჰმედი, მუსნადი, 2/24)*

* * *

67-ე დიდი ცოდვა

მყიდველის მოტყუება წონაში

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„ვაი მათ, რომელნიც საწყაოსა და წონას აყალბებენ! რომელნიც ყიდვის დროს ხალხისგან ზუსტად მოითხოვენ! და როცა სხვებს მიუზომავენ ან მიუწონიან, წონას აკლებენ! ნუთუ არ ფიქრობენ ისინი, რომ ერთ დღეს უნდა აღსდგნენ, დიად (აღდგომის) დღეს? იმ დღეს, ხალხი წარსდგებიან სამყაროთა მეუფის წინაშე!“*** *(სურა მუტაფფიფინი, აიათი 1-6)*

ადამიანებისგან იმის ამოღება, რისი უფლებაც არ გაქვს, გამცემლობისა და ქურდობის ნაწილია.

* * *

68-ე დიდი ცოდვა

თვითდაჯერებულობა იმაში, რომ ალლაჰის სასჯელისგან უსაფრთხოდ იქნები

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: *„ნუთუ დაზღვეული ეგონათ თავი ალლაჰის მახისგან? ვერ იქნება დაზღვეული ალლაჰის მახისგან, გარდა წაწყმედილნი ხალხისა!“* *(სურა არაფი, აიათი 99)*

„და როცა დაივიწყეს ის, რითიც შეგონებულნი იყვნენ ეგენი, მაშინ გავუხსენით კარნი ყოველნი და ხარობდნენ იმით, რაც ებოძათ, მოულოდნელად ვაწიეთ. უკვე სასოწარკვეთილნი დარჩნენ ეგენი“. *(სურა ენამი, აიათი 44)*

„უეჭველად, რომელნიც არ იმედოვნებენ ჩვენთან შეხვედრას, კმაყოფილი არიან ამქვეყნიური ცხოვრებით და დასჯერდნენ მას, და რომელნიც ჩვენი სასწაულების მიმართ უსულგულო არიან, აი,მათი თავშესაფარი ცეცხლია იმის გამო, რაც მოიხვეჭეს!“ *(სურა იუნუსი, აიათი 7-8)*

* * *

69-ე დიდი ცოდვა

უზენაესი ალლაჰის იმედის დაკარგვა

სამყაროთა განმგებელი ბრძანებს: ***„...ალლაჰის წყალობის იმედს ნუ გადაიწურავთ. უეჭველად, არ ეწურებათ იმედი ალლაჰის მოწყალებიდან, გარდა ურწმუნო ხალხისა“.*** *(სურა იუსუფი, აიათი 87)*

„და იგია, რომელიც ზეგარდმოავლენს წვიმას მას მერე, რაც სასოწარკვეთას მიეცნენ და განავრცობს თავის წყალობას, რამეთუ იგია ჭეშმარიტი მფარველი, ყოვლად ქების ღირსი.“ *(სურა შურა, აიათი 28)*

„თქვი (მუჰამმედ, ალლაჰის სახელით)***: ჰეი, მსახურნი ჩემო, რომელთაც ზღვარს გახვედით საკუთარი თავის საზიანოდ! არ მოიწყვიტოთ იმედი ალლაჰის წყალობისგან. უეჭველად, ალლაჰი მიუტევებს ცოდვებს სრულად, რამეთუ იგია შემნდობი, მწყალობელი“.*** *(სურა ზუმერი, აიათი 53)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„დაე, ყველა თქვენგანი ალლაჰზე კარგი ფიქრებით მოკვდეს“. (მუსლიმი, ქითაბუ სიფათ-ილ-ჯანახი, 2878; აბუ, ქითაბ-ულ-ჯენაზი, 2389)*

* * *

70-ე დიდი ცოდვა

ბოძებული სიკეთისთვის უმადურობა

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„და ვუანდერძეთ ადამიანს მისი მშობლები. ატარა დედამ თავისმა, გაჭირვება-გაჭირვებით და მისი ძუძუდან მოწყვეტა ორ წლამდე გრძელდება. მე შემწირე მადლობა და შენს მშობლებს, რამეთუ ჩემთანაა მოსაქციელი!“*** *(სურა ლოყმანი, აიათი 14)*

შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ თქვა: *„უმადური ადამიანი, უმადურია ალლაჰის მიმართაც“. (აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ადაბი, 4811; თირმიზი, ქითაბ-ულ-ბირი)*

ადრეული დროის სწავლულთაგან ზოგიერთი უმადურობას ერთ-ერთ დიდ ცოდვად მიიჩნევდა. მადლიერება კეთილი საქმეების კეთება და ვედრებაა.

* * *

71-ე დიდი ცოდვა

ადამიანებისთვის წყლის მიცემაზე უარის თქმა, მისი დიდი რაოდენობით არსებობის შემთხვევაში

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„უთხარი: რას ფიქრობთ, თუ თქვენ წყალს შთანთქავს მიწა, მაშინ ვინ მოვა თქვენთან წყაროს წყლით?“*** *(სურა მულქი, აიათი 30)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„უარი არ უთხრათ ადამიანებს წყალზე, საძოვრების მორწყვაში ხელის შესაშლელად“. (ბუჰარი, ქითაბ-უშ-შურბი ველ-მუსაკა, 2354; მუსლიმი, ქითაბ-ულ-უსაკა, 1566)*

„არ გაყიდოთ ზედმეტი წყალი“. (ბუჰარი, ქითაბ-უშ-შურბი ველ-მუსაკა, 2354; მუსლიმი, ქითაბ-ულ-უსაკა, 1566)

„განკითხვის დღეს, ალლაჰი შეწყალებაზე უარს ეტყვის მას, ვინც სხვებს უარს ეტყვის წყლისა და საძოვრის ბალახის მიცემაზე“. (იმან აჰმედი, მუსნადი, 2/179)

„არის ადამიანთა სამი ჯგუფი, რომლებსაც განკითხვის დღეს უზენაესი ალლაჰი არ შეხედავს, არ განწმენდს და მან მათთვის საშინელი სასჯელი მოამზადა:

1. წყლის დიდი მოცულობის მფლობელი, მაგრამ მგზავრთათვის არმიმცემი;

2. იმამისადმი მორჩილი მხოლოდ თავისი მიწიერი მიზნების მისაღწევად, ამ სიკეთის მიღების შემთხვევაში თავისი სიტყვის ერთგული, ხოლო არმიღების შემთხვევაში საკუთარი სიტყვის უარმყოფელი:

3. საქონლის გამყიდველი, რომელიც მყიდველს აიძულებს იმის დაჯერებას, რომ საქონელი რაღაც ფასად იყიდა და ამასთან ალლაჰის სახელით ტყუილზე იფიცებს".

იმამმა ბუჰარიმ შემდეგი ჰადისი გადმოგვცა: *„განკითხვის დღეს უზენაესი ალლაჰი სხვებისთვის ჭარბი წყლის მიცემაზე უარის მთქმელს ეტყვის: „დღეს, ჩემს წყალობას მოგაკლებ ისევე, როგორც შენ უთხარი უარი სხვებს იმაზე, რაც არ შეგიქმნია". (ბუჰარი, ქითაბ-უშ-შურბი ველ-მუსაკა, 2369; მუსლიმ, ქითაბ-ულ-იმანი,108)*

* * *

72-ე დიდი ცოდვა

ცხოველების დადაღვა

ჯაბირი მოგვითხრობს, რომ, როდესაც ალლაჰის შუამვალმა ﷺ ვირს ჩაუარა, რომელსაც სახეზე დამღა ჰქონდა დადებული, თქვა:

„ალლაჰმა დაწყევლოს ის, ვინც ეს ცხოველი დადაღა“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-ლიბასი ვაზ-ზინა 2116)

აბუ დაუდი გადმოგვცემს, რომ შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ თქვა: *„თქვენამდე მოაღწია ცნობამ, რომ მე დავწყევლე ისინი, რომლებიც ცხოველებს დამღას ადებენ“* და ამის გაკეთება აკრძალა. *(აბუ დაუდი, ქითაბ ულ-ჯიხადი, 2564)*

კაცობრიობის სიამაყის ﷺ სიტყვებიდან *„თქვენამდე მოაღწია ცნობამ, რომ მე ავკრძალე.“* შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ისინი, რომლებამდეც ამ ამბავმა მიაღწია, ცოდვილებად არ ჩაითვლებიან. მაგრამ ამ მომენტიდან, როდესაც ადამიანი ამ ცნობას მოისმენს, ის პასუხისმგებლობის ტარებას დაიწყებს. ეს წესი შესაძლოა, გამოყენებული იქნას ყველა იმ დიდი ცოდვისთვის, რომლებიც ძირითადი არ არის.

* * *

73-ე დიდი ცოდვა

აზარტული თამაშები

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ალკოჰოლური სასმელი, აზარტული თამაშები, კერპები და ისრებით მკითხაობა ეშმაკისეული სისაძაგლენია. განერიდეთ ამას, ეგების ნეტარნი იქმნეთ თქვენ! უეჭველად, ეშმაკს სურს მტრობისა და სიძულვილის ჩამოგდება თქვენს შორის ალკოჰოლური სასმელითა და აზარტული თამაშებით. ამით უნდა მოგაცდინოს თქვენ ალლაჰის ხსენებასა და ლოცვას. უკვე თავი ანებეთ არა?!“*** *(სურა მაიდა, აიათი 90-91)*

„არაკანონიერად არ შეუჭამოთ ერთმანეთს ქონება და არ ჩაიდინოთ შეგნებულად ეს; ქრთამი არ მისცეთ მსაჯულთ, რათა ხალხს ქონების ერთი ნაწილი შეუჭამოთ უსამართლოდ“. *(სურა ბაყარა, აიათი 188)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„ყველამ, ვინც მეგობარს ეტყვის: „წავიდეთ აზარტული კარტი ვითამაშოთ“, მოწყალება გასცეს“. (ბუჰარი, ქითაბ-უტ-ტაფსირი,4860; მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 1647)*

თუ მხოლოდ აზარტული თამაშის ხსენებისთვის ვალდებულია, მოწყალება გასცეს, რას ფიქრობთ მათზე, რომლებიც თამაშობენ? ყველაფერთან ერთად ისინი იმ ადამიანებს მიეკუთვნებიან, რომლებიც სხვის ქონებას უკანონოდ ითვისებენ.

74-ე დიდი ცოდვა

დანაშაული მესჯიდი ჰარემში

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„უეჭველად, რომელთაც უარყვეს და სხვებს აცდენენ ალლაჰის გზიდან, გზას ულობავს მესჯიდი ჰარამისკენ, რომელიც ჩვენ დავადგინეთ ყველა ადამიანისთვის, განურჩევლად იმისა, ცხოვრობენ ისინი იქ თუ მომთაბარეობენ; აგრეთვე მათ, ვინც უსამართლოდ შებღალავს იქაურობას, ვაგემებთ მწარე სასჯელს!“*** *(სურა ჰაჯი, აიათი 25)*

უკანასკნელი ჰაჯობის დროს ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა:

„ყურადღება მიაქციეთ, ალლაჰის ღვთისნიერნი ნამაზის შემსრულებელნი არიან. ღვთისნიერი ისაა, ვინც ნამაზს ასრულებს, რამაზნის თვეში მარხულობს, ზექათს იხდის, თავს არიდებს ალლაჰის მიერ აკრძალული, დიდი ცოდვების ჩადენას“.

ერთ-ერთმა იქ დამსწრეთაგანმა ჰკითხა:

„ალლაჰის შუამავალო, რომელია დიდი ცოდვები?“

შუამავალმა მუჰამმედმა ﷺ უპასუხა:

„ის ათია:

1. ალლაჰისთვის მოზიარეების დაწესება;

2. მუსლიმის მკვლელობა უსაფუძვლოდ;

3. ჯადოქრობა;

4. ბრძოლის ველიდან გაქცევა;

5. ობლის ქონების მისაკუთრება;

6. მევახშეობა;

7. წესიერი ქალისთვის ცილის დაწამება;

8. მშობლებისადმი უპატივცემულობა;

9. აკრძალულ ადგილებში სისხლისღვრის დაშვება“.

თუ ნამაზის შემსრულებელი და ზექათის გადამხდელი ადამიანი ისე გარდაიცვლება, რომ ზემოთჩამოთვლილ ცოდვებს არ ჩაიდენს, ის სამოთხეში ალლაჰის შუამავლის ﷺ გვერდით ოქროს ან ჯამებიან კართან მოხვდება. *(ჰაქიმი, ქითაბ,ულ-იმანი, 1/59)*

„ალლაჰის უბოროტესი მტერია ის, ვინც აკრძალულ მეჩეთში მოკლა, ან ის, ვინც ადამიანი ამაზე უფლების გარეშე მოკლა, ან მოკლა ჯაჰილიის პერიოდის ჩვეულების მიხედვით“. (იმამ აჰმედ, მუსნადი, 2/179, 187, 207)

* * *

75-ე დიდი ცოდვა

პარასკევის ლოცვაზე უარის თქმა და მისი შესრულება მარტოობაში

იბნ მასუდი მოგვითხრობს: ალლაჰის შუამავალმა ﷺ იმ ადამიანებზე, რომლებიც პარასკევს, კოლექტიურ ნამაზზე არ მოვიდნენ თქვა:

„მე განვიზრახე ნამაზისთვის იმამის დანიშვნა, ხოლო შემდეგ წასვლა და იმათი სახლების გადაწვა, რომლებიც კოლექტიურ ნამაზზე არ მოვიდნენ“. (აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ჯიხადი, 2564)

სხვა ჰადისში ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„ან ისინი უარს იტყვიან კოლექტიური ნამაზის მიტოვებაზე, ან ალლაჰი აუცილებლად დალუქავს მათ გულებს და ისინი დაუდევრები გახდებიან“. (ან-ნესაი, ქითაბ-ულ-ჯუმა, 3189)*

მანვე ბრძანა: *„ალლაჰი დაადებს ნიშანს იმათ გულებს, რომლებიც უმიზეზოდ სამ კოლექტიურ ნამაზს გამოტოვებენ“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-მესაჯიდი, 642)*

ჰაფსა გადმოგვცემს ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვებს: *„სიმწიფეს მიღწეულმა მამაკაცმა პარასკევის ნამაზზე აუცილებლად უნდა იაროს“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-ჯუმა, 865)*

76-ე დიდი ცოდვა

ჯაშუშობა მუსლიმანთა წინააღმდეგ და მათი საიდუმლოებების ფარული გამჟღავნება

ერთ-ერთ ჰადისში მოთხრობილია, რომ ომარს უნდოდა ხატიბ ბინ აბუ ბალტას მოკვლა იმისთვის, რომ ის ბრძოლისთვის მუსლიმანთა მზადების შესახებ, ინფორმაციას წარმართებს გადასცემდა. მაგრამ ალლაჰის შუამავალმა ﷺ ამის გაკეთება აკრძალა იმის გამო, რომ აბუ ბალტა ბედირის ბრძოლაში მონაწილეობდა.

თუ ვინმეს ჯაშუშობა ისლამსა და მუსლიმებისთვის რაიმე ზიანს მიაყენებს — მორწმუნეები მოკლულნი, ტყვედაყვანილნი ან გაძარცვულნი იქნებიან — მაშინ ეს ადამიანი იმათთაგანი აღმოჩნდება, რომლებიც არეულობებს აწყობენ, ნათესებს ანადგურებენ და ადამიანებს ხოცავენ. ის მკვლელი გახდება და ამისთვის სასჯელს მიიღებს.

ნებისმიერმა, რომელიც თვალთვალით არის დაკავებული იცის, რომ ინფორმაციის გადაცემა დიდი ცოდვაა, შესაბამისად ჯაშუშობის მიზნით, ინფორმაციის გადამცემი კიდევ უფრო დიდი ცოდვილია. უზენაესს ამ ბოროტებისგან დაცვას შევთხოვთ.

ქმედებები, რომლებიც შესაძლოა, დიდ ცოდვებს მიეკუთვნებოდეს.

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„ვერ ირწმუნებს ვერცერთი თქვენგანი, სანამ მორწმუნე ძმას იმასვე არ უსურვებს, რასაც საკუთარ თავს“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-იმანი,13; მუსლიმი, ქიტაბ-ულ-იმანი, 45)*

„ვერ ირწმუნებს ვერცერთი თქვენგანი, სანამ მე თავის მეგობრებზე შვილებზე და სხვა ადამიანებზე მეტად არ შემიყვარებს“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-იმანი 15; მუსლიმია, ქითაბ-ულ-იმანი, 44)

„ვერ ირწმუნებს ვერცერთი თქვენგანი, სანამ თავის ვნებებს იმას არ დაუმორჩილებს, რითაც მე მოვედი“. (დეილემი, მუნად-ულ-ფირდევს; მუნავი, ქუნუზ-ულ-ჰაქაიქ ალი ჰამიშ-ილ-ჯამიუს-საღირ, 2/171)

„ვფიცავ ალლაჰს, არ შეიძლება მუსლიმი იყოს ის, ვისი ბოროტებისგანაც მე ზობელი დაცული არ არის“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი,49)

„თითოეული თქვენგანი, როდესაც რაიმე ცუდს დაინახავს, მის გამოსწორებას შეეცადოს. თუ ძალები არ ყოფნის, შეეცადოს სიტყვით გამოასწოროს, თუ ამაზეც ძალები არ ყოფნის, სიძულვილი გულით განიცადოს, თუმცა ასეთი რწმენა ყველაზე სუსტია“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი,50)

მუსლიმმა გადმოსცა სხვა ჰადისი უმეცარ თაობებზე (იმ თაობებზე, რომლებიც ამბობდნენ იმას, რასაც არ აკეთებდნენ და აკეთებდნენ იმას, რაც ნაბრძანები არ ჰქონდათ)

„ვინც მათ საკუთარი ხელით შეებრძოლება მორწმუნეა. ვინც მათ საკუთარი ენით შეებრძოლება, მორწმუნეა. ვინც მათ საკუთარი გულით შეებრძოლება, ისიც მორწმუნეა. იმაში, რაც ქვემოთაა

მარცვლისოდენა რწმენაც არ არის“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმარე, 1854)

აქ საჭიროა ყურადღება შემდეგ მომენტს მიექცეს.

თუ ადამიანი თავის გულით არ ეწინააღმდეგება ცოდვის ჩადენას და არ ესწრაფვის მის აღმოფხვრას, ეს რწმენის არარსებობის ნიშანია. გულით ჯიჰადის ერთ-ერთი სახეობაა იმის განადგურების ან გამოსწორების სურვილი, რაც არასწორი და მცდარია.

„მალე თქვენ მმართველთა ჯგუფი დაგენიშნებათ. თქვენ გეცოდინებათ, თუ ვინ არიან ისინი სინამდვილეში და მათზე უარის თქმას მოინდომებთ. გადარჩენილნი იქნებიან ისინი, რომლებიც მათ შეეწინააღმდეგებიან, ხოლო, როგორი იქნება მათი მდგომარეობა, რომლებიც მათით კმაყოფილნი იქნებიან?“

მაშინ მას ჰკითხეს: „ალლაჰის შუამავალო, შეგვიძლია, მათ ვებრძოლოთ?“

რაზეც მან უპასუხა: *„არა, სანამ ისინი თქვენთან ერთად ნამაზს ასრულებენ“. (ჰაქიმი, მუსტედრეკი, ქითაბ-ულ-აჰქამი, 4/99/)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ორ საფლავს შორის ჩაიარა, რომელთა ბინადარნიც იტანჯებოდნენ. მან თქვა:

„უეჭველად, ისინი ტანჯვას განიცდიან, მაგრამ არა დიდი ცოდვებისთვის. ერთ-ერთი მათგანი საკუთარი შარდისგან არ სუფთავდებოდა, ხოლო მეორე ჭორებს ავრცელებდა“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ვუჯუდი)

იბნ ომარის მიერ გადმოცემულ ჰადისში, ალლაჰის შუამავალი ﷺ ამბობს: *„ადამიანი, რომელიც მხარეთა შორის, ამაზე უფლების გარეშე, კამათს აღძრავს, ალლაჰის რისხვის ქვეშ იქნება, სანამ ამაზე უარს არ იტყვის“.* *(ჰაქიმი, მუსტედრექი,ქითაბ-ულ-აჰქამი, 4/99)*

„მატყუარები და თაღლითები ჯოჯოხეთის მკვიდრნი არიან“. *(ბეიხაკი, შაბ-ულ-იმანი, ალ-ჯამი-უს-სიგირ, 2/187)*

„ჩვენგან არ არის ის, ვინც საკუთარ ცოლს ან მონას სხვების წინააღმდეგ განაწყობს“. *(აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ადაბი, 5170)*

„ენის სიმორცხვე და შეკავება რწმენის ნაწილია. ცუდი სიტყვა და სიუხეშე კი—ფარისევლობის ნიშანი“. *(ჰაქიმი, მუსთედრექი, 1/52)*

„სიმორცხვე რწმენისგან მოდის. მორწმუნე სამოთხეში მოხვდება. ცუდი სიტყვები უხეშობისგან მოდის. უხეში ადამიანი ჯოჯოხეთში აღმოჩნდება“. *(ჰაქიმი, მუსთედრექი, 1/52-53)*

მუსტავრიდ ბინ შედადი გადმოგვცემს: *„აღდგომის დღეს ალლაჰი ცეცხლით დააპურებს მას, ვინც მუსლიმანის ქონებას იყენებს. ამ დღეს ალლაჰი ჯოჯოხეთში გამორჩეულ ადგილს მიუჩენს მას, რომელმაც მუსლიმანისთვის ზიანის მიყენებით, პატივი და ავტორიტეტი მოიპოვა. აღდგომის დღეს უზენაესი ცეცხლის ტანსაცმელს ჩააცმევს მას, ვინც ნებართვის გარეშე მუსლიმანის ტანსაცმელს იცვამს“.* *(ჰაქიმი, მუსთედრექი)*

„მან, რომელიც მორწმუნე ძმას ერთი წლის განმავლობაში არ ელაპარაკება, თითქოს მისი სისხლი დაღვარა“. *(ჰაქიმი, მუსთედრექი, ქითაბ-უტ-ეტიმა, 4/127)*

„ადამიანი, რომელმაც ხელი შეუწყო სხვა სასჯელის გამოყენებას იმის ნაცვლად, რაც ალლაჰმა ბრძანა, თითქოს, უზენაესს განუდგა“. (აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-აკზიია, 3597; აჰმედ ბინ ჰანბელი, მუსნადი, 2/70)

„უეჭველად, თუ ადამიანი მნიშვნელობის მიუნიჭებლად რაიმე სიტყვას იტყვის, რომელიც ალლაჰის რისხვას გამოიწვევს, მას ნათქვამისთვის ჯოჯოხეთში წაათრევენ“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-რიკაკი, 6478)

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: *„უეჭველად, თუ ადამიანი, რომელიც დაჯილდოებას არ ელოდება, იტყვის ერთ სიტყვას, რომლითაც ალლაჰი კმაყოფილი იქნება, უზენაესი განკითხვის დღემდე ჯილდოებს ჩაუწერს. თუ იგივე ადამიანი, რომელიც ცოდვის ჩადენას არ ელოდება, ქუფრის სიტყვას იტყვის, განკითხვის დღემდე ალლაჰის რისხვის ქვეშ იქნება“.*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა:

„ფარისეველს სამი ნიშანი გამოარჩევს:

-ცრუობს, როდესაც საუბრობს;

-არღვევს მიცემულ დაპირებას;

-ღალატობს, როდესაც ენდობიან“. (მუთთეფეკუნ ალეიჰ)

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„და მათგან, ვინც ალლაჰს აღუთქვა: თუკი ის გვიბოძებს თავისი წყალობიდან, აუცილებლად გავიღებთ მოწყალებას და დიახაც ვიქნებით მართალთაგანიო, და როცა მათ თავისი წყალობა მოჰმადლა, ძუნწობა დაიწყეს მისადმი და აქციეს ზურგი. სწორედ ეგენი არიან სახემიქცეულნი!

ამიტომაც ჩათესა მათ გულებში ორპირობა იმ დღემდე, როცა მასთან წარსდგებიან იმის გამო, რომ ალლაჰის წინაშე არ შეასრულეს ის, რაც აღუთქვეს მას, და იმის გამო, რომ ცრუობდნენ“. *(სურა თეუბა, აიათი 75-77)*

ზაიდ ბინ არქანი გადმოგვცემს: *„ის, ვინც ულვაშს არ იმოკლებს, ჩვენგანი არ არის“. (თირმიზი, ქითაბ-ულ-ადაბი, 2762)*

იბნ ომარი გვატყობინებს: *„არ დაემგვანოთ წარმართებს: მოუშვით წვერი და შეიჭერით ულვაშები“. (ბუჰარი, ქითაბ-ულ-ლიბასი, 5892, მუსლიმი 259)*

აბუ აიუბ ალ-ანსარი გადმოგვცემს ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვებს, რომელმაც თქვა: *„ალლაჰმა გაუფუჭოს ურთიერთობა საყვარელთან მას, ვინც გააფუჭებს ურთიერთობას დედასა და შვილს შორის“. (თირმიზი, ქითაბ-ულ-ბიუიუ, 1283)*

ენეს ბინ მალიქი გადმოგვცემს: *„ალლაჰმა დაიცვას სამოთხე იმისგან, ვინც თავს არიდებს მემკვიდრეობის გადაცემას მემკვიდრისთვის“. (იბნ მაჯე, ქითაბ-ულ-ბასაია, 2704)*

შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„უეჭველად, შესაძლოა ადამიანმა სამოცი წელი ალლაჰის თაყვანისცემაში გაატაროს, მაგრამ დატოვოს ისეთი ანდერძი, რომ ჯოჯოხეთი გახდეს მისი ადგილსამყოფელი“.*

შემდეგ აბუ ჰურაირამ ეს აიათი წაიკითხა: ***„თქვენ ნახევარი იმისა, რაც დაგიტოვეს თქვენმა ცოლებმა, თუ მათ არ ჰყავთ შვილები. და თუ ჰყავთ შვილი, მაშინ თქვენ მემკვიდრეობის მეოთხედი ანდერძით დანაბარების გამოკლებით და ვალების გასტუმრების შემდეგ. და მათ (თქვენს ქვრივებს) მეოთხედი იმისა,***

რასაც თქვენ ტოვებთ, თუკი შვილი არ გყავთ; და თუ გყავთ შვილი, მაშინ მათ (თქვენს ქვრივებს) რაც დატოვეთ, იმის (მემკვიდრეობის) მერვედი ანდერძით დანაბარების გამოკლებით და ვალების გასტუმრების შემდეგ. და თუ კაცი ან ქალი ისე ტოვებს (ქონებას), რომ არ ჰყავს პირდაპირი მემკვიდრენი და ჰყავს ძმა ან და, მაშინ თითოეულს მეექვსედი; და თუ ამაზე მეტნი არიან, მაშინ იყვნენ თანაზიარნი ერთ მესამედში ანდერძით დანაბარების გამოკლებით და ვალების გასტუმრების შემდეგ, ერთმანეთისთვის ზარალის მიუყენებლად. ეს სავალდებულოა ალლაჰისგან. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, შემწყნარებელია“.

ამრ ბინ ჰარიჯა გადმოგვცემს: „როდესაც აქლემზე იჯდა, ალლაჰის შუამავალმა ﷺ ადამიანებს მიმართა: *„უეჭველად, უზენაესმა ყველას განსაზღვრული უფლებები მისცა. მემკვიდრეს უფლება არ აქვს ანდერძი გააპროტესტოს“. (თირმიზი, ქითაბ-ულ-ვასაი, 2122)*

ორივე სამყაროს მზემ ﷺ თქვა; *„უეჭველად, უზენაეს ალლაჰს ცუდი სიტყვების მთქმელი და უხეში ადამიანი არ უყვარს“. (ახსნა იყო 50 ცოდვაში)*

მანვე ბრძანა: *„უეჭველად, განკითხვის დღეს ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მდგომარეობა ექნება მას, ვისაც მეუღლესთან სიახლოვე ჰქონდა, ხოლო შემდეგ მისი საიდუმლოებები გასცა“. (მუსლიმი, ქითაბ-უნ-ნიკახი, 1457)*

„აბუ ჰურაირა გადმოგვცემს: *„დაწყევლილია ის, ვინც ცოლს უკნიდან მიუახლოვდება“. (აჰმედ ბინ ჰანბელი, მუსნად; აბუ დაუდი, 2163*

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: *„უზენაესი ალლაჰი არ შეხედავს მას, ვინც ანალური სექსით იყო დაკავებული“. (თირმიზი ქითაბულ რიბა, 1176)*

კაცობრიობის სიამაყემ ﷺ თქვა: *„შესცოდავს ის, ვინც ცოლს მენსტრუაციის დროს მიუახლოვდება, ან ანალური სექსით დაკავდება, ან ნათელმხილველს დაეთანხმება“. (თირმიზი ქითაბ-უტ-ტახარეტი, 135; იბნ მაჯახი, ქითაბ-უტ-ტახარეტი, 239)*

„თუ პატარა ქვით იმას ამოუგდებ თვალს, ვინც შენს ფანჯარაში შემოიხედა, შენზე ცოდვა არ იქნება“. (ბუჰარი, ქითაბ-უდ-დიატი, 6902; მუსლიმი, ქითაბ-ულ-ადაბი, 2158)

„იმ ადამიანისთვის, რომელმაც უნებართვოდ სხვის ფანჯარაში შეიხედა, თვალის ამოგდება ნებადართულია“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-ადაბი, 2158)

გადმოგვცემს იბნ აბბასი: *„არ გადააბიჯოთ რელიგიის საზღვრებს. ისინი, რომლებმაც მას თქვენამდე გადააბიჯეს, დაიღუპნენ“. (ან-ნასაი, ქითაბ-ულ-ხაჯი, 5/268)*

„უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა: ***„უთხარი შენ: ჰეი, ღვთიური წიგნის მფლობელნო! ზღვარს ნუ გადახვალთ თქვენს რწმენაში ჭეშმარიტების წინააღმდეგ და ნუ აყვებით იმ ხალხის სურვილებს, ვინც თქვენს უწინ აცდა ჭეშმარიტებას და სხვა ბევრიც შეიყვანა შეცდომაში, და გადამცდარა სწორ გზას“.*** *(სურა მაიდა, აიათი 77)*

იბნ ომარი მოგვითხრობს: *„ალლაჰი მიიღებს იმის ფიცს, ვინც მისი სახელით დაიფიცებს. ალლაჰის კმაყოფილების წინააღმდეგ მიდის ის, ვინც ასეთ ფიცს არ იღებს“.* *(იბნ მაჯა)*

აბუ ბაქრი გადმოგვცემს: *„ვერ შევლენ სამოთხეში; თაღლითი, უკაყოფილო იმით, რაც აქვს და ხარბი“.* *(თირმიზი)*

„საკმარისია თქვა ყველაფერი, რაც გაიგონე, რომ შეცოდო“. *(მუსლიმი)*

„უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: ***„რომელნიც ძუნწობენ და ხალხსაც ძუნწობისკენ მოუწოდებენ; და ვინც ზურგს აქცევს , უეჭველად, ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებულია!“*** *(სურა ჰადიდი, აიათი 24)*

„აი, თქვენ ასეთები ხართ, როცა მოგიწოდებენ გაიღოთ ალლაჰის გზაზე, ამის მიუხედავათ თქვენ შორის არიან ისეთნიც, ვინც ძუნწობს. ვინც ძუნწობს, ის მხოლოდ თავის თავს ავნებს ამით. ალლაჰი მდიდარია, თქვენ კი ღარიბნი. და თუ პირს იბრუნებთ, ჩაგანაცვლებთ იგი სხვა ხალხებით და არ იქნებიან ისინი თქვენი მსგავსნი“. *(სურა მუჰამმედი, აიათი 38)*

„და ვინც იძუნწებს (მიწიერით დაკმაყოფილდება) და თავისთავს ჩათვლის საკმარისად, და ცრუდ მიიჩნევს მშვენიერს, მას ადვილად მოვისვრით გზაზე, რომელიც სიძნელეებით არის სავსე და ვეღარ იხსნის ქონება მისი, როცა ძირს ეშვება!“ *(სურა ლეილი, აიათი 8-11)*

„მაგრამ ვისაც მიეცა თავისი წიგნი მისივე მარცხენაში, იტყვის: ნეტავ, არ მომცემოდა ჩემი წიგნი და არ მცოდნოდა, რაა ჩემი სასჯელი! ნეტავ, იგი ყო-

ფილიყო დასასრული! ვერ შემეწია ჩემმა ქონებამ, მოისპო ძალაუფლება ჩემი!“ *(სურა ჰაქქა, აიათი 25-29)*

„და რომელთაც იმათზე უწინ ბინა ჰქონდათ დადებული და სარწმუნოება მიღებული, უყვართ ვინც გადასახლდა მათთან. გულში არ ივლებენ არანაირ შურს იმის გამო, რაც იმათ მიეცათ, და უპირატესობას ანიჭებენ საკუთარ თავზე მეტად, თუნდ ესაჭიროებოდეთ. და ვინც სიხარბისგან თავს დაიცავს, სწორედ ისინი არიან ნეტარნი!“ *(სურა ალ-ჰაშრი, აიათი 9)*

ალლაჰის შუამავალმა ﷺ ბრძანა: *„უფრთხილდით შევიწროებას. უეჭველად, ის განკითხვის დღეს წყვდიადით შემოგიბრუნდებათ. უფრთხილდით სიხარბეს. მან გაანადგურა თქვენი წინაპრები, მან მოხსნა აკრძალვა მასზე, რაც აკრძალულია და სისხლისღვრის მიზეზი გახდა“.* *(მუსლიმი, ქითაბ-ულ-ბირრი ვას-სილია, 2558)*

„რა შეიძლება იყოს სიხარბეზე უარესი?“ *(ბუჰარი, ქითაბ-ულ-ხუმუსი, 3137; ქითაბ-ულ-მეგაზი, 4383)*

„არის სამი, რამე რომელსაც დაღუპვამდე მიჰყავს სული:

-გაუმართლებელი სიხარბე;

-საკუთარი მიწიერ ვნებებზე აყოლა;

-სიმართლის დაუნახავად, საკუთარ შეხედულებებზე მიყოლა“. *(მუნზირი, ტარგიბი ტარხიბი, 1/540)*

თირმიზის მიერ გადმოცემულ, ერთ სანდო ჰადისში ალლაჰის შუამავალმა ﷺ *დაწყევლა ის ადამიანი, რომელიც გარშემომყოფების ყურადღებას იპყრობდა.* *(თირმიზი; ქითაბ-ულ-ადაბი, 2754)*

აბუ ჰურაირა გადმოგვცემს: *„მოერიდეთ შურს, რადგან ის სანსლავს კეთილ საქმეებს, იმის მსგავსად, როგორც ცეცხლი წვავს შეშას“. (აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ადაბი, 4903)*

„თუ რომელიმე თქვენგანი, დაიდგამს რა წინ წინაღობას, ნამაზს ასრულებს, ხოლო მის წინ გავლას სხვა ადამიანი ცდილობს, ეს უკანასკნელი გაწვდილი ხელით უნდა შევაჩეროთ. თუ ის არ გისმენს, შეიძლება მისი ცემა. რადგან ის შეიძლება მხოლოდ შაითანი იყოს“. (მუსლიმი, ქითაბ-უს-სალახი, 505)

მუსლიმს აქვს ასეთი ჰადისი: „ცემე ის, თუ არ მოგისმენს, ვინაიდან მის გვერდით შაითანი იმყოფება“. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 5193; თირმიზი, ქითაბ-ულ-ისტიხამი, 2689)

აბუ ჰურაირა გადმოგვცემს: *„ვფიცავ მას, ვის განკარგულებაშიც ჩემი სულია, ვერავინ შევა სამოთხეში, მანამდე, სანამ არ ირწმუნებს. თქვენ ვერ ირწმუნებთ, სანამ ერთმანეთს არ შეიყვარებთ. გინდათ, მიგითითოთ, რა უნდა გააკეთოთ, რომ ერთმანეთი შეგიყვარდეთ? გაავრცელეთ მისალმება ერთმანეთში. (მუსლიმი, ქითაბ-ულ-იმანი, 54; აბუ დაუდი, ქითაბ-ულ-ადაბი, 5193; თირმიზი, ქითაბ-ულ-ისტიზჰამი, 2689)*

* * *

სარჩევი

შესავალი 5
ავტორისგან 8
პირველი დიდი ცოდვა
ალლაჰისთვის მოზიარის დაწესება 9
2-ე დიდი ცოდვა
ადამიანის მკვლელობა 11
3-ე დიდი ცოდვა
ჯადოქრობა 16
4-ე დიდი ცოდვა
ნამაზის უგულებელჰყოფა 22
5-ე დიდი ცოდვა
ზექათის გადახდისგან თავის არიდება 26
6-ე დიდი ცოდვა
მშობლების არდაჯერება 29
7-ე დიდი ცოდვა
მევახშეობა 34
8-ე დიდი ცოდვა
ობლის ქონების ხელყოფა 36
9-ე დიდი ცოდვა
ალლაჰის შუამავლისთვის ﷺ არარსებული
სიტყვების მიწერა (ჰადისების შეთხზვა) 37
10-ე დიდი ცოდვა
მარხვის დაუცველობა რამაზნის თვეში
საპატიო მიზეზის გარეშე 38

11-ე დიდი ცოდვა
ბრძოლის ველიდან გაქცევა.....40
12-ე დიდი ცოდვა
მრუშობა 41
13-ე დიდი ცოდვა
სახელმწიფოს მართვა მოქალაქეთა
მოტყუებით და ტირანიით.....44
14-ე დიდი ცოდვა
ალკოჰოლის გამოყენება 50
15-ე დიდი ცოდვა
ამპარტავნობა, ქედმაღლობა, მედიდურობა 52
16-ე დიდი ცოდვა
ცრუმოწმეობა 56
17-ე დიდი ცოდვა
ჰომოსექსუალიზმი.....59
18-ე დიდი ცოდვა
ცილიწამება წესიერ ქალზე.....61
19-ე დიდი ცოდვა
ნადავლის, სახელმწიფო ხაზინის სახსრებისა
და შეწირულობის უკანონოდ გამოყენება.....63
20-ე დიდი ცოდვა
სხვისი ქონების მითვისება.....67
21-ე დიდი ცოდვა
ქურდობა.....70
22-ე დიდი ცოდვა
ყაჩაღობა 72
23-ე დიდი ცოდვა
ტყუილზე დაფიცება 73

24-ე დიდი ცოდვა
ტყუილი 76
25-ე დიდი ცოდვა
თვითმკვლელობა 79
26-ე დიდი ცოდვა
უპატიოსნება სასამართლო გადაწყვეტილებების
გამოტანის დროს 81
27-ე დიდი ცოდვა
ცოლის, ქალიშვილებისა და ა.შ. მსუბუქი
ყოფაქცევის დაშვება 84
28-ე დიდი ცოდვა
ქალების დამსგავსება მამაკაცებზე, ხოლო
მამაკაცების—ქალებზე 86
29-ე დიდი ცოდვა
თაღლითური ქორწინება (ჰულლა) 88
30-ე დიდი ცოდვა
საკვებში სისხლის, ლეშისა და ღორის ხორცის
გამოყენება 89
31-ე დიდი ცოდვა
არააკურატულობა შარდთან მიმართებაში 90
32-ე დიდი ცოდვა
გადასახადების არაღვთისნიერი ამკრები 91
33 დიდი ცოდვა
ფარისევლობა 92
34-ე დიდი ცოდვა
ღალატი 95
35-ე ცოდვა
ცოდნის მიღება და მისი დაფარვა მიწიერის გულისთვის .. 96

36-ე დიდი ცოდვა
გაწეული მოწყალების დაყვედრება 99
37-ე დიდი ცოდვა
ბედისწერის უარყოფა 100
38-ე დიდი ცოდვა
სხვისი საიდუმლოებების გამომჟღავნება 104
39-ე დიდი ცოდვა
წყევლა 105
40-ე დიდი ცოდვა
ბრძანებისადმი არ დამორჩილება 107
41-ე დიდი ცოდვა
ნათელმხილველებისა და წინასწარმეტყველების
რწმენა 110
42-ე დიდი ცოდვა
ქალების დაუმორჩილებლობა ქმრების მიმართ 112
43-ე დიდი ცოდვა
ნათესავებთან ურთიერთობებზე უარის თქმა 114

44-ე დიდი ცოდვა
ცოცხალი არსებების გამოსახვა 117
45-ე დიდი ცოდვა
ჭორები 119
46-ე დიდი ცოდვა
მიცვალებულის ხმამაღლა დატირება 120
47-ე დიდი ცოდვა
ავსიტყვაობა ადამიანის საგვარეულოს შესახებ 122

48-ე დიდი ცოდვა
შევიწროება და წყენინების მიყენება..... 123
49-ე დიდი ცოდვა
მორწმუნეებზე იარაღის აღმართვა და
მორწმუნის ურწმუნოებაში დადანაშაულება 126
50-ე დიდი ცოდვა
მუსლიმისადმი ზიანისა და შეურაცხყოფის მიყენება ... 128
51 დიდი ცოდვა
წრფელი გულით მორწმუნეებისთვის ზიანის მიყენება .. 133
52-ე დიდი ცოდვა
ტანსაცმლის დაგრძელება 134
53-ე დიდი ცოდვა
მამაკაცებისთვის აბრეშუმის ტანსაცმლისა
და ოქროს ტარება 137
54-ე დიდი ცოდვა
მონის გაქცევა..... 139
55-ე დიდი ცოდვა
ცხოველის მსხვერპლად შეწირვა არა უზენაესის
გულისთვის..... 141
56-ე დიდი ცოდვა
მიწის ნაკვეთების აღმნიშვნელი ნიშნულების შეცვლა ... 143
57-ე დიდი ცოდვა
თანამიმდევართა შეურაცხყოფა..... 144
58-ე დიდი ცოდვა
ენსარების შეურაცხყოფა..... 147
59-ე დიდი ცოდვა
აკრძალულისა და ცოდვისკენ მოწოდება 148

60-ე დიდი ცოდვა
პარიკის ტარება და სვირინგის გაკეთება 149
61-ე დიდი ცოდვა
მუსლიმისადმი იარაღით დამუქრება..... 150
62-ე დიდი ცოდვა
იმ ადამიანის მამად აღიარება, ვინც
ასეთად არ გვევლინება..... 151
63-ე დიდი ცოდვა
ცუდის წინასწარმეტყველება 153
64-ე დიდი ცოდვა
ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლის გამოყენება..... 154
65-ე დიდი ცოდვა
დავა 155
66-ე დიდი ცოდვა
მონის დასაჭურისება, ცემა და დაჩაგვრა 158
67-ე დიდი ცოდვა
მყიდველის მოტყუება წონაში 160
68-ე დიდი ცოდვა
თვითდაჯერებულობა იმაში, რომ ალლაჰის
სასჯელისგან უსაფრთხოდ იქნები 161
69-ე დიდი ცოდვა
უზენაესი ალლაჰის იმედის დაკარგვა..... 162
70-ე დიდი ცოდვა
ბოძებული სიკეთისთვის უმადურობა 163
71-ე დიდი ცოდვა
ადამიანებისთვის წყლის მიცემაზე უარის თქმა,
მისი დიდი რაოდენობით არსებობის შემთხვევაში 164

72-ე დიდი ცოდვა

ცხოველების დადაღვა 166

73-ე დიდი ცოდვა

აზარტული თამაშები 167

74-ე დიდი ცოდვა

დანაშაული მესჯიდი ჰარემში..... 168

75-ე დიდი ცოდვა

პარასკევის ლოცვაზე უარის თქმა
და მისი შესრულება მარტოობაში 170

76-ე დიდი ცოდვა

ჯაშუშობა მუსლიმანთა წინააღმდეგ და მათი
საიდუმლოებების ფარული გამჟღავნება 171